საქართველოს სასამართლოებში მიმდინარე სამართალწარმოების შეფასება

ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები მართლმსაჯულების კონტექსტში

თბილისი
2025

კვლევის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
თამარ ონიანი

ავტორები: მარიამ ოქრუაშვილი
თამაზ კირტავა

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

მადლობას ვუხდით საიას ანალიტიკოსებს, **ნინო ნოზაძესა** და **იოსებ ედიშერაშვილს,** ასევე, თანაშემწეებს, **ნინო ყარალაშვილსა** და **ნიკა ამირანაშვილს** კვლევაზე მუშაობაში შეტანილი წვლილისთვის.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 5

კვლევის მეთოდოლოგია 7

1. კვლევის კონტექსტი 8

საქართველო და ევროპის საბჭოს სისტემა 8

სქემა N1: საქართველოს მიერ დარღვეული (ევროპული) კონვენციური უფლებები 9

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია 9

მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური გამოწვევები საქართველოში ... 11

2. ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები მართლმსაჯულების კონტექსტში 12

I. მე-6 მუხლთან დაკავშირებული საქმეები 12

(1) ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2009) 12

(2) კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ (2009) 13

(3) გახარია საქართველოს წინააღმდეგ (2017) 13

(4) სტურუა საქართველოს წინააღმდეგ (2017) 14

(5) ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2018) 15

(6) მერაბ ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ და თამარ ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2018) 16

(7) ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ (2018) 17

(8) ბართაია საქართველოს წინააღმდეგ (2018) 18

(9) როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2018) 19

(10) კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2019) 20

(11) კერესელიძე საქართველოს წინააღმდეგ (2019) 21

(12) სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ (2019) 22

(13) გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ (2019) 23

(14) მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2020) 24

(15) მჭედლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2021) 25

(16) შრადე საქართველოს წინააღმდეგ (2021) 26

(17) ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2021) 27

(18) კალანდია საქართველოს წინააღმდეგ (2021) 28

(19) შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ (2021) 28

(20) კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ (2021) 29

(21) გლოველი საქართველოს წინააღმდეგ (2022) 30

(22) რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2022) 31

(23) მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ (2022) 32

(24) ხავშაბოვა საქართველოს წინააღმდეგ (2023) 33

(25) უგულავა საქართველოს წინააღმდეგ (No. 2) (2024) 35

(26) ხაჭაპურიძე და ხაჩიძე საქართველოს წინააღმდეგ (2024) 36

(27) წულუკიძე და რუსულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2024) 37

(28) კეზერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2024) 38
(29) ზაალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2025) 38
(30) ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2025) 39

II. საქმეები, რომლებზეც მე-6 მუხლთან ერთად სხვა დარღვევებიც დადგინდა 40
(31) ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ (2010) 40
(32) კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2012) 41
(33) მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2014) 43
(34) ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ (2016) 44
(35) მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ (2017) 45
(36) ბოხონკო საქართველოს წინააღმდეგ (2020) 46
(37) მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2022) 47

III. საქმეები, რომლებშიც მართლმსაჯულების ხარვეზებმა გამოიწვია ადამიანის უფლებების სხვა სერიოზული დარღვევები 48
(38) ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (2011) 48
(39) მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2012) 50
(40) დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2012) 50
(41) A და B საქართველოს წინააღმდეგ (2022) 51
(42) ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2022) 52
(43) უგულავა საქართველოს წინააღმდეგ (2023) 53
(44) ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ (2023) 54
(45) ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2023) 55
(46) გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (2023) 56
(47) ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ (2024) 57
(48) რომანჩენკო და ხარაზიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2025) 58

3. ეროვნულ დონეზე საქმეთა განხილვაში მონაწილე მოსამართლეები 60

4. ძირითადი მიგნებები 67
გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა 67
მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის დარღვევა 67
გაჭიანურებული მართლმსაჯულება 68
უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა 69
ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება სათანადო დასაბუთების გარეშე 69
ადვოკატით სარგებლობის უფლების დარღვევა 70
მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებული გამოწვევები 70
დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება მოსამართლეების წინააღმდეგ 71
მოსამართლის თანაშემწეთა მიუკერძოებლობის გარანტიები 73
მოსამართლეთა მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა 73

შესავალი

საქართველოში დემოკრატიის ბოლოდროინდელი უკუსვლის, მათ შორის, ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის[1] მიღებისა და ძალადობრივი პრაქტიკის[2] გაძლიერების ფონზე, დამოუკიდებელი, ადამიანის უფლებების პერსპექტივაზე დაფუძნებული მართლმსაჯულების ნაკლებობა კიდევ უფრო დაუცველს ტოვებს ინდივიდს. პრობლემურია და გაუმჯობესებას საჭიროებს როგორც სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, ასევე მისი ხარისხი და ეფექტიანობა.[3] მართლმსაჯულების პროცესში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ წლების განმავლობაში გამოვლენილი პრობლემები და ხარვეზები, რომლებმაც სამართლიანი სასამართლოს ან სხვა უფლებების დარღვევა გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ეროვნული სამართალწარმოების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან მნიშვნელოვანია საქართველოს ევროინტეგრაციის კონტექსტშიც.[4]

კვლევის მიზანია, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის შუქზე, მართლმსაჯულების სისტემის ძირითადი გამოწვევებისა და დარღვევების გამოკვეთა. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, ასევე, განხილულია ამ საქმეების ფარგლებში გამოკვეთილი საკითხები, რომლებიც პრობლემური იყო ეროვნულ დონეზე მართლმსაჯულების კონტექსტში. ***აღსანიშნავია, რომ, ზოგ შემთხვევაში, მოსამართლეები, რომელთა მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა <u>საფუძველი დაუდო კონვენციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან დარღვევებს, კვლავ სასამართლო სისტემაში საქმიანობენ, თანაც, ზოგიერთი მათგანი - მაღალ პოზიციაზე. წინამდებარე კვლევაში იდენტიფიცირებულია ეს საქმეები და ასეთი მოსამართლეებიც.</u>***

გარდა ცალკეული საქმეების მიმოხილვისა, **კვლევის მიზანია**, **მიგნებების გენერალიზებით გამოკვეთოს საქართველოს სასამართლოში არსებული სისტემური პრობლემები**, რაც მათი მოგვარების საფუძველი უნდა გახდეს. ეს არსებითია, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება მნიშვნელოვანი გამოწვევებით ხასიათდება. გადაწყვეტილებების აღსრულების სტატისტიკის მიხედვით, საქართველო ბოლოდან მეოთხე ადგილზეა. მას ამ სიაში მხოლოდ ალბანეთი, აზერბაიჯანი და რუსეთის ფედერაცია მოსდევენ.[5]

კვლევა 4 თავისგან შედგება. პირველი თავი შეეხება მართლმსაჯულების სისტემის გამოწვევებს, ასევე, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კუთხით არსებულ კონტექსტს და ამ საკითხების ბმას ევროინტეგრაციის პროცესთან.

---

[1] მაგ. რუსული სტილის კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ცენზურის დამწესებელი ჰომოფობიური/ტრანსფობიური კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“.

[2] მაგ. იხ. საია, საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში, 2024.

[3] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2024 Report, SWD(2024) 697 final, Brussels, 30.10.2024, 33-35, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf [04.11.2024].

[4] 2022 წლის 17 ივნისს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრის კანდიდატის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პუნქტიდან ერთ-ერთი სწორედ ქართული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულ გამოყენებას შეეხებოდა. https://www.consilium.europa.eu/en/policies/enlargement/georgia/ [27.04.2023].

[5] 2024 წლის 4 ნოემბრის მონაცემები. იხ. https://www.coe.int/en/web/execution/georgia [03.10.2024].

მე-2 თავში მოცემულია ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით მიღებული რელევანტური გადაწყვეტილებები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ეს თავი ფოკუსირებულია განხილული საქმეების იმ ასპექტებზე, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემის გამოწვევებს უკავშირდება და არა - საქმეში არსებულ ყველა მნიშვნელოვან ასპექტზე.

მართალია, სამართლიანი სასამართლოს უფლება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით არის დაცული, თუმცა მართლმსაჯულების პროცესში არსებული ხარვეზები ხშირად ადამიანის სხვა ძირითად უფლებებთან იკვეთება. კვლევის მიზნებისთვის არასაკმარისი იქნებოდა მხოლოდ იმ საქმეებზე ფოკუსირება, რომლებზეც ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა. მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფილი შესწავლისთვის, საჭიროა, ასევე, იმ საქმეების განხილვა, რომლებშიც უშუალოდ კონვენციის მე-6 მუხლი არ დარღვეულა, თუმცა, კონტექსტის გათვალისწინებით, ამ საქმეებში სწორედ მართლმსაჯულების სისტემის გამოწვევები იკვეთება. ამასთანავე, იმ საქმეთა ნაწილში, რომელშიც მე-6 მუხლის დარღვევა დგინდება, შესაძლოა, დარღვეული იყოს კონვენციის სხვა მუხლებიც, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება მიუთითებდეს, რომ სასამართლო ვერ ახერხებს საკუთარი ფუნქციის შესრულებას და პირისთვის დარღვეული უფლების აღდგენას.

შესაბამისად, მე-2 თავი გაყოფილია სამ ქვეთავად. პირველში გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 27 გადაწყვეტილება, რომლებშიც დადგინდა კონვენციის მხოლოდ მე-6 მუხლის დარღვევა, მეორე ქვეთავში მოცემულია 7 გადაწყვეტილება, რომლებშიც, მე-6 მუხლთან ერთად, დადგინდა კონვენციის სხვა მუხლით დაცული უფლების დარღვევაც, ხოლო მესამეში განხილულია 10 საქმე, რომლებშიც მართლმსაჯულების ხარვეზებმა გამოიწვია ადამიანის უფლებების სხვა მნიშვნელოვანი დარღვევები. მე-3 თავში მოცემულია ინფორმაცია იმ მოსამართლეების შესახებ, რომლებიც მართლმსაჯულების ეფექტიან ფუნქციონირებასთან მიმართებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში ფიგურირებენ და საქმიანობას აგრძელებენ სასამართლო სისტემაში. ბოლოს, მე-4 თავში, შეჯამებულია კვლევის ძირითადი მიგნებები.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტის მოსამზადებლად ჩატარდა სამაგიდე კვლევა, გაანალიზდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რელევანტური ლიტერატურა, ასევე, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშები და რეკომენდაციები, კონკრეტულად: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება მე-6 მუხლთან (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დაკავშირებით (2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით). ამ გადაწყვეტილებებიდან დაიდენტიფიცირდა ისეთი საქმეები, რომლებიც უშუალოდ სამართალწარმოების სისტემაში არსებულ გამოწვევებს/ხარვეზებს შეეხებოდა, შესაბამისად, რელევანტური იყო წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებული საკითხები, მე-6 მუხლის მიღმა, ასევე განხილულია სხვა მუხლების ფარგლებში, დაიდენტიფიცირდა ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უფლებების, ასევე, ინსტრუმენტული უფლებების დარღვევები (მაგალითად, შეკრების და გაერთიანების თავისუფლების კონტექსტში) დაკავშირებული იყო მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ გამოწვევებთან. ამგვარი გადაწყვეტილებები გაანალიზდა მათში ასახული სამართალწარმოების ხარვეზების გამოვლენის მიზნით. იმავდროულად, ყურადღება გამახვილდა ისეთ საქმეებზე და მათთან მიმართებით გამოვლენილ გარემოებებზე, რომლებიც, გარდა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა, ასევე, სხვა რელევანტური ლიტერატურის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების შეფასებების/ანგარიშების მიხედვით, გამოწვევაა ქართული მართლმსაჯულების სისტემისთვის.

კვლევის ფარგლებში ასევე მოძიებული იყო იმ მოსამართლეთა ვინაობა, რომლებიც დღესაც მოსამართლის პოზიციას იკავებენ და მათ მიერ ეროვნულ დონეზე განხილულ საქმეებში ევროპულმა სასამართლომ მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოავლინა. მოსამართლეების იდენტიფიცირებისთვის შეირჩა ისეთი საქმეები, რომლებიც სენსიტიური ან გახმაურებული იყო, ხოლო ეროვნულ დონეზე განხორციელებული მართლმსაჯულების ხარისხი სასამართლოში არსებულ სისტემურ პრობლემებზე მიუთითებდა, მათ შორის, სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის კუთხით. ამ საქმეების მოსამართლეთა შესახებ ინფორმაცია მოძიებული იყო როგორც ღია წყაროებიდან, ასევე, იმ იურისტებთან კომუნიკაციის შედეგად, რომლებიც აღნიშნულ საქმეებს ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე აწარმოებდნენ. აქედან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში, გამოწვევა იყო საქმეზე მომუშავე იურისტებთან დაკავშირება. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეთა ნაწილზე გადაწყვეტილების გამოტანიდან წლებია გასული, იურისტებს ზოგჯერ უჭირდათ ამ მოსამართლეების ვინაობის გახსენება/მოძიება და ამის შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

1. კვლევის კონტექსტი

საქართველო და ევროპის საბჭოს სისტემა

1999 წლის 27 აპრილს საქართველო შეუერთდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას *(კონვენცია),* რომლის რატიფიკაციაც განხორციელდა იმავე წლის 20 მაისს.[6] დღევანდელი მდგომარეობით, 46 სახელმწიფოა ევროპის საბჭოს წევრი.[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს *(ევროპული სასამართლო)* გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებების სტანდარტების განვითარების კუთხით კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში,[8] მათ შორის, საქართველოში.

2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს წინააღმდეგ ევროპულმა სასამართლომ განიხილა 6496 საჩივარი და განაგრძობს 155-ის განხილვას.[9] ამავე თარიღის მონაცემებით, ევროპულმა სასამართლომ საქართველოსთან მიმართებით 143 გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელთაგან 118-ში დაადგინა დარღვევა.[10] საქართველო, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფო, ვალდებულია, დაემორჩილოს ევროპული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას იმ საქმეებზე, რომლებშიც ის მხარეს წარმოადგენს.[11] ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები აღსასრულებლად გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს,[12] რომელიც აღსრულების პროცესს ზედამხედველობს.[13]

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესების სამართლიანობის გაზრდის მიზნით წლების განმავლობაში გაუმჯობესდა საპროცესო გარანტიები, რაც მოიცავს სასამართლოს უფრო მეტ ხელმისაწვდომობას და შეჯიბრებითობის პრინციპის გაძლიერებას,[14] სავალალოა, რომ საქართველო ბოლოდან მეოთხე ადგილზეა[15] ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების სტატისტიკური მონაცემებით. ამ ოთხეულში, საქართველოსთან ერთად, ალბანეთი, რუსეთი და აზერბაიჯანი შედიან.[16]

სისტემური რეფორმები, რომლებიც სახელმწიფოს უნდა გაეტარებინა, კვლავაც აღსასრულებელი ღონისძიებების ჩამონათვალშია. მათ შორისაა აუცილებელი ცვლილებები, რომლებიც შეეხება წამებას, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან სიცოცხლის უფლების ხელყოფას (მაგალითად, დამოუკიდებელი საგამოძიებო

[6] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მიღების თარიღი: 27.04.1999, ძალაში შევიდა: 20.05.1990).
[7] იხ. https://www.coe.int/en/web/portal/46-members-states [27.04.2024].
[8] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 19 (მიღების თარიღი: 27.04.1999, ძალაში შევიდა: 20.05.1990).
[9] The ECHR and Georgia, Facts and Figures, 2023, https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Facts_Figures_Georgia_ENG [03.10.2024].
[10] The ECHR and Georgia, Facts and Figures, 2023, 3, https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Facts_Figures_Georgia_ENG [03.10.2024].
[11] ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ (მიღების თარიღი: 23.05.1969, ძალაში შევიდა: 08.07.1995), მუხლი 26.
[12] მინისტრთა კომიტეტი - ევროპის საბჭოს წარმომადგენელი ორგანოა, რომელიც შედგება ევროპის საბჭოს წევრო სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებისგან. ევროპის საბჭოს წესდება (მიღებულია 1949 წლის 5 მაისს, ძალაში შევიდა 1949 წლის 3 აგვისტოს), მუხლები: 13 და 14.
[13] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მიღებულია: 27.04.1999, ძალაში შევიდა: 20.05.1999), 46.1-2 მუხლები.
[14] The ECHR and Georgia, Facts and Figures, 2023, 5, https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Facts_Figures_Georgia_ENG [03.10.2024].
[15] 2024 წლის 20 სექტემბრის მონაცემები. იხ. https://www.coe.int/en/web/execution/georgia [03.10.2024].
[16] იქვე.

სამსახურის მანდატის გაძლიერება),[17] სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს,[18] ფემიციდს,[19] რომელთან დაკავშირებითაც ასევე მნიშვნელოვანი და არსებითია მართლმსაჯულების სისტემის როლი. ამასთანავე, სამართლიანი სასამართლოს უფლება არის ის უფლება, რომელიც, საქართველოსთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, ყველაზე ხშირად არის დარღვეული.

სქემა N1: საქართველოს მიერ დარღვეული (ევროპული) კონვენციური უფლებები



საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიული გათვალისწინება საქართველოს სასამართლოების მიერ, მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან ერთად, ის საკითხებია, რომლებიც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია ევროკავშირში ინტეგრაციის საგარეო კურსი.[20] თუმცა, ამჟამად ეს პროცესი შეჩერებულია, რაც ქვეყანაში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" რუსული სტილის კანონის[21] მიღებასა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, პოლიტიკური ლიდერების, სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების მიმართ დაშინების, მუქარისა და ფიზიკური თავდასხმის მზარდ შემთხვევებს უკავშირდება.[22]

წინარეისტორიის კუთხით, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადი წარადგინა, ხოლო ამავე წლის 17 ივნისს

[17] 1492nd meeting (12-14 March 2024) (DH) - H46-14 Tsintsabadze group v. Georgia (Application No. 35403/06), იხ. https://hudoc.exec.coe.int/#{%22fulltext%22:[%22tsintsabadze%20group%22],%22execdocumenttypecollection%22:[%22CEC%22],%22execidentifier%22:[%22004-5830%22]} [08.10.2024].

[18] 507th meeting (17-19 September 2024) (DH) - H46-9 Identoba and Others group v. Georgia (Application No. 73235/12), https://hudoc.exec.coe.int/#{%22fulltext%22:[%22identoba%20group%22],%22execdocumenttypecollection%22:[%22CEC%22],%22execidentifier%22:[%22004-5894%22]} [08.10.2024].

[19] 1483rd meeting (DH), December 2023 - H46-14 Tkhelidze group v. Georgia (Application No. 33056/17), https://hudoc.exec.coe.int/#{%22fulltext%22:[%22tkhelidze%22],%22execdocumenttypecollection%22:[%22CEC%22],%22execidentifier%22:[%22004-58703%22]} [08.10.2024].

[20] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78.

[21] რუსული კანონის, მისი შემუშავებისა და მიღების პროცესში ადამიანის უფლებების დარღვევის მზარდი ტენდენციის შესახებ უფრო ვრცლად იხ. საია, საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, 2024, https://shorturl.at/Y7gMW [08.10.2024].

[22] European Council conclusions, 27 June 2024, 36-39, https://www.consilium.europa.eu/media/qa3lblga/euco-conclusions-27062024-en.pdf [08.10.2024].

გამოქვეყნდა ევროკომისიის დასკვნა, რომლითაც კანდიდატის სტატუსის მისაღებად განისაზღვრა სახელმწიფოს მიერ შესასრულებელი 12-პუნქტიანი ამოცანები.[23] აქედან ერთ-ერთი, მე-11 პრიორიტეტი გულისხმობდა, რომ უნდა შემუშავებულიყო **„[...] კანონი, რომლის თანახმადაც,** ქართული სასამართლოები პროაქტიულად გაითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს თავიანთ გადაწყვეტილებებში". 2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიშში ევროკომისიამ საქართველოს მე-11 პრიორიტეტი შესრულებულად ჩაუთვალა, ვინაიდან პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენებას, ამ გადაწყვეტილებებზე წვდომის უზრუნველყოფას, ასევე, მოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატების კვალიფიკაციის ამაღლებას შეეხებოდა.[24] თუმცა, იმავდროულად, ევროკომისიამ მიუთითა, რომ საჭიროა, კვლავ გაგრძელდეს მუშაობა ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გასაუმჯობესებლად.[25]

2023 წლის 8 ნოემბრის კომუნიკაციით, ევროკომისიამ რეკომენდაცია გაუწია საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას იმის გათვალისწინებით, რომ ევროკომისიის მიერ განსაზღვრული შესაბამისი 9 მიმართულებით ნაბიჯები გადაიდგმებოდა.[26] 2023 წლის 14 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ, ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 9 ნაბიჯის შესრულების დათქმით, საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა.[27] ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 9 პრიორიტეტიდან ერთ-ერთი არის **„ყოვლისმომცველი და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის დასრულება და განხორციელება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმის ჩათვლით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად განხორციელებისა და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის უზრუნველყოფის გზით".**[28]

ევროკომისიის 2024 წლის 30 ოქტომბრის შეფასების მიხედვით, 2024 წელს საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები არ პასუხობს 2023 წლის გაფართოების ანგარიშის და ვენეციის კომისიის სისტემურ და შინაარსობრივ რეკომენდაციებს.[29] ცვლილებები არ არის ყოვლისმომცველი და ეფექტიანი.[30] ამ დროისთვის კვლავ გამოწვევად რჩება ის, რომ ხელისუფლება არ წარმართავს ფართო და ინკლუზიურ პროცესს, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოებას ექნება

[23] იხ. https://www.consilium.europa.eu/en/policies/enlargement/georgia/ [27.04.2023].

[24] European Commission, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697 final, Brussels, 8.11.2023, 12.

[25] ევროკომისიამ საქართველოს განუსაზღვრა 9 პრიორიტეტი, რომელთაგან ერთ-ერთია: „ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის ამბიციური სტრატეგიის მიღებითა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფით. მიუკერძოებელი, ეფექტური და დროული გამოძიების დაწყება და ძალადობის ორგანიზატორების/დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა მოწყვლადი ჯგუფების, მედიაპროფესიონალებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ მუქარის ფაქტებზე. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესში და მათი თავისუფლად მუშაობის უზრუნველყოფა". იხ. https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/2023-communication-eu-enlargement-policy-extract-about-georgia_en [27.04.2023].

[26] 9 ნაბიჯი ევროკავშირისკენ, შესრულების მდგომარეობა 2023 წლის 8 ნოემბრიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით, 7, https://gyla.ge/files/1142024.pdf [08.10.2024].

[27] იქვე.

[28] COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS, COM(2023) 690 final, Brussels, 8.11.2023, 25.

[29] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2024 Report, SWD(2024) 697 final, Brussels, 30.10.2024, 24, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf [04.11.2024].

[30] იქვე.

მონაწილეობის და წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა სასამართლო რეფორმის საკითხებზე.[31] სასამართლო სისტემაში მაღალ თანამდებობაზე დანიშნული/არჩეული პირების კეთილსინდისიერების თაობაზე არსებობს საფუძვლიანი კითხვები, თუმცა წამყვან თანამდებობებზე დანიშნული/არჩეული მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმის დანერგვასთან დაკავშირებით პოლიტიკური ხელისუფლება, ასევე, სასამართლოს წარმომადგენლები გამოხატავენ მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას და საკითხს აცხადებენ დახურულად.[32] სახელმწიფოს არ შეუმუშავებია სასამართლოში რეფორმების და გამოწვევების დეტალური და სიღრმისეული ანალიზი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების სწორად იდენტიფიცირებას და მის საფუძველზე სასამართლოს რეფორმის ეფექტიანი სამომავლო სტრატეგიის შემუშავებას.[33]

მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური გამოწვევები საქართველოში

ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ სასამართლომ ვერ შეძლო მიუკერძოებელ სტრუქტურად ჩამოყალიბება. ხელისუფლებათა ცვლილების კვალდაკვალ, მუდმივად პრობლემად რჩებოდა დამოუკიდებელი, გავლენებისგან თავისუფალი მართლმსაჯულების სისტემის არარსებობა. რეფორმის არაერთი ტალღისა და საკონსტიტუციო ცვლილებების მიუხედავად, სასამართლო კვლავ სისტემური გამოწვევების წინაშეა. ფრაგმენტული საკანონმდებლო ცვლილებები სისტემაში არსებულ კორპორატივიზმს, მათ შორის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით არსებულ საკვანძო პრობლემებს ვერ უმკლავდება.[34] ამას ადასტურებს ევროპული კომისიის ანგარიში, რომელშიც საუბარია საქართველოში ყოვლისმომცველი და ეფექტიანი რეფორმის განხორციელების აუცილებლობაზე.[35] ანგარიშში ხაზგასმულია არა მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაზე, არამედ, ასევე, სასამართლო სისტემაში ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფი პირებისა და კანდიდატების კეთილსინდისიერების შემოწმებაზეც.[36] მართლმსაჯულების კუთხით შექმნილი მძიმე ვითარების დადასტურება იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავლენიანი ჯგუფის წევრების, მოქმედი და ყოფილი მოსამართლეების - მიხეილ ჩინჩალაძის, ლევან მურუსიძის, ვალერიან ცერცვაძისა და ირაკლი შენგელიასთვის, კორუფციაში ჩართულობის გამო, ქვეყანაში შესვლაზე პერსონალური შეზღუდვების დაწესება.[37]

---

[31] სამოქალაქო საზოგადოების ფონდი; GRASS; GFSIS; საია; ISFED; სასამართლოს გუშაგი; სოციალური სამართლიანობის ცენტრი; IDFI; GMC; DRI; GDI; საფარი, 9 ნაბიჯი ევროკავშირისკენ, შესრულების მდგომარეობა 2023 წლის 8 ნოემბრიდან 2024 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით, 52.

[32] იქვე.

[33] იქვე.

[34] ნოზაძე ნ. იუსტიციის საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №12, თბილისი, 2024 წელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/4N8jE, განახლებულია: 9.10.24.

[35] Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, Brussels, 8.11.2023 page 20-21, ხელმისაწვდომია: chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://neighbourhood enlargement.ec.europa.eu/document/download/388e01b7-e283-4bc9-9d0a-5600ea49eda9_en?filename=SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf, განახლებულია: 11.10.24.

[36] იქვე.

[37] Public Designations of Mikheil Chinchaladze, Levan Murusidze, Irakli Shengelia, and Valerian Tsertsvadze, Due to Involvement in Significant Corruption, Press Statement, U.S. Department of State, 5 April 2023, available at: https://www.state.gov/public-designations-of-mikheil-chinchaladze-levan-murusidze-irakli-shengelia-and-valerian-tsertsvadze-due-to-involvement-in-significant-corruption/, accessed: 2.10.24.

2. ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები მართლმსაჯულების კონტექსტში

ამ თავში მოცემულია ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით მიღებული 48 გადაწყვეტილება, რომლებიც სამ ქვეთავშია განაწილებული. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ეს თავი ფოკუსირებულია განხილული საქმეების იმ ასპექტებზე, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემის გამოწვევებს უკავშირდება და არა - საქმეში არსებულ ყველა მნიშვნელოვან ასპექტზე.

ხაზგასასმელია, რომ კვლევაში განხილულ საქმეებზე სახელმწიფოს მომჩივნებისთვის, სამართლიანი დაკმაყოფილების სახით, ჯამურად, დაახლოებით, **460'000**[38] ევროს გადახდა დაეკისრა.

I. მე-6 მუხლთან დაკავშირებული საქმეები

ამ ქვეთავში განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 30 გადაწყვეტილება, რომლებშიც კონვენციის მხოლოდ მე-6 მუხლის დარღვევა დადგინდა და ამ საქმეებში გამოვლენილი პრობლემები დღესაც აქტუალურია. საქმეები ევროსასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროის მიხედვით, ქრონოლოგიურად არის მოცემული.

(1) ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2009)

საქმის დასახელება/ნომერი	ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 41057/04
საჩივრის წარდგენის თარიღი	10 ნოემბერი, 2004 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	10 თებერვალი, 2009 წელი
მომჩივანი	ლალი ხარიტონაშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 3 200 EUR ხარჯები და დანახარჯები - 36 EUR

ეს საქმე ეხება გაჭიანურებულ სამოქალაქო მართლმსაჯულებას. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დროისთვის საქმის წარმოება კვლავაც მიმდინარეობდა საქალაქო სასამართლოში. ის 8 წელიწადსა და თერთმეტ თვეზე მეტხანს გრძელდებოდა.[39] **აღსანიშნავია, რომ მთავრობა ამის ერთ-ერთ მიზეზად სასამართლოს გადატვირთულობას და სასამართლო სისტემის რეორგანიზაციას ასახელებდა. ევროპული სასამართლოს განმარტებით**, საქმეების ქრონიკული დაგროვება არ არის გადამეტებული დაყოვნების დასაბუთებული ახსნა, გარდა ამისა, სახელმწიფო **ვალდებულია**, **იზრუნოს სასამართლოს ორგანიზებაზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყოველი მოქალაქის უფლება**, **დაიცვას საკუთარი უფლებები გონივრულ ვადაში.**[40]

[38] ზუსტი რიცხვია 458'917 ევრო და 9'418 ლარი.

[39] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ" *(CASE OF KHARITONASHVILI v. GEORGIA)*, 41957/04, პარ. 30.

[40] იქვე, *პარ. 44.*

(2) კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ (2009)

საქმის დასახელება/ნომერი	კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ, 40022/05
საჩივრის წარდგენის თარიღი	29 სექტემბერი, 2005 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	16 ივლისი, 2009 წელი
მომჩივანი	ლევან კობელიანი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 1 000 EUR

ეს საქმე ეხება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას, რომელიც მიმდინარეობდა 6 წლის, 9 თვისა და 25 დღის განმავლობაში სამ ინსტანციაში.[41] ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს დრო იყო მეტისმეტად ხანგრძლივი და არ აკმაყოფილებდა „გონივრული ვადის" მოთხოვნას.[42]

(3) გახარია საქართველოს წინააღმდეგ (2017)

საქმის დასახელება/ნომერი	გახარია საქართველოს წინააღმდეგ, 30459/13
საჩივრის წარდგენის თარიღი	17 აპრილი, 2013 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	17 იანვარი, 2017 წელი
მომჩივანი	რევაზ გახარია
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 1 500 EUR

ეს საქმე ეხება 2008 წელს მომჩივნის წინააღმდეგ გამოტანილ დაუსწრებელ გადაწყვეტილებებს, რომელთა საფუძველზეც, მას მშობლის უფლებები შეეზღუდა.[43] სამართალწარმოებისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ ეროვნულ სასამართლოს აცნობა, რომ მომჩივანმა საქართველოში სახლი გაყიდა და ცხოვრობს მოსკოვში.[44] მიუხედავად ამისა, სასამართლოებმა გამოიყენეს ფორმალისტური მიდგომა - უწყებები და გადაწყვეტილებები გაგზავნეს იმ მისამართზე, სადაც მომჩივანი არ ცხოვრობდა. ხოლო, ვინაიდან ამ მისამართზე მომჩივანმა დოკუმენტები ვერ ჩაიბარა, დავის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში.[45] მომჩივანმა დაუსწრებელი გადაწყვეტილებების შესახებ 2012 წლის მაისში შეიტყო.[46]

ევროპული სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის ცნობილი იყო მომჩივნის საზღვარგარეთ ცხოვრების შესახებ, თუმცა ამ ინფორმაციის შესამოწმებლად მან არანაირ ძალისხმევას არ მიმართა. ამასთანავე, სასამართლოს მოსარჩელისგან არ მოუთხოვია დამატებითი ინფორმაცია მომჩივნის ადგილსამყოფლის შესახებ, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე არ უარყოფდა მომჩივანთან რეგულარულ სატელეფონო კონტაქტს.

---

[41] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ" *(CASE OF KOBELYAN v. GEORGIA)*, 40022/05, პარ. 17.
[42] იქვე, პარ. 19.
[43] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „გახარია საქართველოს წინააღმდეგ" (*GAKHARIA v. GEORGIA*), 30459/13, პარ. 1-3.
[44] იქვე, პარ. 9.
[45] იქვე, პარ. 7-9.
[46] იქვე.

გარდა ამისა, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველო მინსკის კონვენციის წევრი სახელმწიფოა, ეროვნულ სასამართლოებს შეეძლოთ, მოეთხოვათ იურიდიული დახმარება კონვენციის იმ წევრი სახელმწიფოსგან, სადაც მომჩივანი ცხოვრობდა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, იმის გამო, რომ საქმე ეხებოდა მშობლის უფლებებს, საკმაოდ სენსიტიური იყო. შესაბამისად, სასამართლოებს უნდა ემოქმედათ განსაკუთრებული გულისხმიერებით, თუმცა მათ ეს არ გააკეთეს.

(4) სტურუა საქართველოს წინააღმდეგ (2017)

საქმის დასახელება/ნომერი	სტურუა საქართველოს წინააღმდეგ, 45729/05
საჩივრის წარდგენის თარიღი	29 ნოემბერი, 2005 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	28 მარტი, 2017 წელი
მომჩივანი	მიტროფანე სტურუა
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 3 500 EUR ხარჯები და დანახარჯები - 3 380 EUR

ეს საქმე ეხება ყოფილი მოსამართლისთვის, დისციპლინური დარღვევის გამო, პასუხისმგებლობის სახით, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების დაკისრებას.[47] 2004 წლის 23 დეკემბერს სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიამ (4 მოსამართლის შემადგენლობით) მომჩივანი, როგორც მოსამართლე, დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის მასალების 6 თვით შეყოვნების გამო და ამ კუთხით გამოჩენილი გულგრილობისთვის.[48] ამ გადაწყვეტილებაზე მომჩივნის საჩივარი განიხილა 8 მოსამართლისგან შემდგარმა სადისციპლინო პალატამ, რომელთაგან ოთხმა მონაწილეობა მიიღო პირველ მოსმენაშიც. ამასთანავე, ორივე მოსმენაზე თავმჯდომარე და მომხსენებელი მოსამართლე ერთი და იგივე პირი იყო.[49] სადისციპლინო საბჭომ კოლეგიის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.[50] მომჩივანმა საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში, თუმცა უშედეგოდ - მისი საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოდ ცნეს.[51] ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ იგივე 4 მოსამართლე იყო მოწვეული, რათა ხელახლა განეხილათ საკუთარი გადაწყვეტილება და გამოერკვიათ, ფაქტების შეფასებისას ან გამოყენებული სამართლებრივი დებულებების განმარტებისას, **თავად ხომ არ დაუშვეს რაიმე შეცდომა**.[52] გარდა ამისა, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სადისციპლინო საბჭოს 8 წევრმა გადაწყვეტილება მიიღო ხმათა უმრავლესობით, ხოლო, ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმა ეკუთვნოდა თავმჯდომარეს. რაც ნიშნავს, რომ მოსამართლეების ნახევარი, თავმჯდომარის ჩათვლით, ჩართულნი იყვნენ საქმის პირველ ინსტანციაში განხილვის პროცესში. ეს გარემოებები კი ევროპულმა სასამართლომ საკმარის საფუძვლად მიიჩნია სადისციპლინო საბჭოს მოსამართლეთა მიკერძოებულობასთან დაკავშირებით.[53]

[47] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF STURUA v. GEORGIA*), 45729/05, პარ. 8.
[48] იქვე.
[49] იქვე, პარ. 9.
[50] იქვე, პარ. 10.
[51] იქვე, პარ. 12.
[52] იქვე, პარ. 35.
[53] იქვე.

(5) ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2018)

საქმის დასახელება/ნომერი	ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 17716/08
საჩივრის წარდგენის თარიღი	3 აპრილი, 2008 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	7 ივნისი, 2018 წელი
მომჩივანი	გიორგი ქართველიშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 2 500 EUR ხარჯები და დანახარჯები - 300 EUR

ეს საქმე ეხება სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას დაცვის მოწმეთა დაკითხვაზე სასამართლოს უარს. მომჩივანი გიორგი ქართველიშვილი იყო მსჯავრდებული და, 2000 წლის 24 ოქტომბრის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სასჯელის სახით შეფარდებულ 9-წლიან პატიმრობას იხდიდა.[54] სასჯელის მოხდის პერიოდში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 1-ლი მარტის განაჩენით, მომჩივანს მსჯავრი დაედო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული საგნის ტარებისთვის.[55] ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება დაეყრდნო ციხის ოფიცრების ჩვენებას, ვიდეოჩანაწერს და ჩხრეკა-ამოღების წერილობით ჩანაწერს.[56] მომჩივანმა მიმართა ეროვნულ სასამართლოს მისი თანამესაკნეების დაკითხვის შუამდგომლობით,[57] რომელიც არ დაკმაყოფილდა. ეროვნული სასამართლოს განმარტებით, ქართველიშვილმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა იმ მოწმეთა გამოძახების აუცილებლობა, რომლებიც, მსჯავრდებულის სტატუსის გამო, სანდოები არ იყვნენ.[58] **ევროპული სასამართლოს შეფასებით, მომჩივნის მოთხოვნა, სასამართლოში დაეკითხათ მისი თანამესაკნეები, პირდაპირ უკავშირდებოდა მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს**, ვინაიდან მის თანამესაკნეებს ჰქონდათ ჩხრეკის პროცესისთვის თვალყურის დევნების შესაძლებლობა.[59] **ეროვნული სასამართლოების დაუსაბუთებელმა უარმა კი**, მოესმინათ მომჩივნის მოწმე**თა ჩვენებები, ამ უკანასკნელს წაართვა მის ხელთ არსებული ერთადერთი შესაძლებლობა, ეფექტურად შეჰპასუხებოდა წარდგენილ ბრალდებას.**[60]

---

[54] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF KARTVELISHVILI v. GEORGIA)*, 17716/08, პარ. 7. 2004 წლის 24 დეკემბრის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს (იმ დროს მოქმედი თბილისის საოლქო სასამართლო) განაჩენით, მომჩივანს კვლავ დაედო მსჯავრი სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის დაუმორჩილებლობის გამო და მისი თავდაპირველი სასჯელი გაიზარდა ერთი წლით (იქვე, პარ. 8).

[55] იქვე, პარ. 20. მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს (იხ. იქვე).

[56] იქვე. ჩხრეკის ჩამტარებელი სასჯელაღსრულების დაწესებულების ოფიცერთა ჩვენებები დანის აღმოჩენის შესახებ შეუთავსებელია. გარდა ამისა, პროკურორმა სასამართლო განხილვისას აღიარა, რომ ჩხრეკის ვიდეოჩანაწერი ნათლად არ ასახავდა, დანა მომჩივნის საწოლში იყო ნაპოვნი თუ - არა. ამასთანავე, არსებობდა აშკარა წინააღმდეგობა ვიდეოჩანაწერსა და ჩხრეკის ოქმს შორის (იხ. იქვე, პარ. 63).

[57] იქვე, პარ. 14.

[58] 2007 წლის 12 თებერვლის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მხარეთა მოსმენის შემდეგ დაუსაბუთებლად მიიჩნია მომჩივნის შუამდგომლობა თანასაკნელთა დაკითხვის შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით, არ დაკმაყოფილდა მომჩივნის საჩივარი და მისი სასჯელი სამიდან ოთხ წლამდე გაზარდა, ხოლო უზენაესმა სასამართლომ მისი საჩივარი დაუშვებლად ცნო (იხ. იქვე, პარ. 16, 23-24).

[59] იქვე, პარ. 63.

[60] იქვე, პარ. 64.

(6) მერაბ ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ და თამარ ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2018)

საქმის დასახელება/ნომერი	მერაბ ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ და თამარ ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 7607/07 და 8710/07
საჩივრის წარდგენის თარიღი	7607/07 - 8 თებერვალი, 2007 წელი 8710/07 - 5 თებერვალი, 2007 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	27 ნოემბერი, 2018 წელი
მომჩივნები	მერაბ ტურავა (7607/07) ნინო გვენეტაძე (7607/07) მურმან ისაევი (7607/07) თამარ ლალიაშვილი (8710/07)
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი; ხარჯები და დანახარჯები - 10 000 EUR (მურმან ისაევსა და თამარ ლალიაშვილს, თითოეულს)

ეს საქმეები შეეხება მოსამართლეების მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას და თანამდებობიდან მათ გათავისუფლებას. 1999-2000 წლებში მომჩივნები 10-წლიანი ვადით აირჩიეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მოსამართლეებად.[61] 2005 წლის 19 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მომჩივანთა მიმართ დაიწყო დისციპლინური წარმოება.[62] პროფესიული ვალდებულების მრავალჯერადი დარღვევისთვის მათ დაეკისრათ პასუხისმგებლობა - თანამდებობიდან გათავისუფლება, ამასთანავე, აეკრძალათ მოსამართლის პოზიციის დაკავება.[63]

2016 წლის 1-ელ **სექტემბერს და 2017 წლის 17 იანვარს მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია,[64] რომლითაც აღიარა, რომ მურმან ისაევისა და თამარ ლალიაშვილის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით (სამოქალაქო ნაწილში) გათვალისწინებული უფლება**, იმავდროულად, **იკისრა თითოეულისთვის 10 000 ევროს გადახდის ვალდებულება.[65] მერაბ ტურავასა და ნინო გვენეტაძის საჩივრებთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს შეფასებით, რელევანტური კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, წაიშალა ორივე მომჩივნის დისციპლინარული ჩანაწერი და მათ კვლავ შეუძლიათ მოსამართლის**

[61] ევროპული სასამართლოს 2018 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეებზე: მერაბ ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ და თამარ ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ *(MERAB TURAVA AND OTHERS v. GEORGIA AND TAMAR LALIASHVILI v. GEORGIA), 7607/07 და 8710/07*, პარ. 4.

[62] იქვე, პარ. 5.

[63] იქვე, პარ. 8.

2005 წლის 12 დეკემბერს, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების თანახმად, მოსამართლეებმა (მომჩივნებმა) დაარღვიეს თავიანთი პროფესიული ვალდებულებები და სანქციის სახით სამსახურიდან გათავისუფლება დაეკისრათ. 2006 წლის 10 აგვისტოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა *(*იხ. იქვე, პარ. 6-7).

[64] მესამე და მეოთხე მომჩივნებთან ვერ შედგა მეგობრული მორიგება, ამიტომაც, მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია საჩივრებში წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად *(*იხ. იქვე, პარ. 17).

[65] იქვე, პარ. 18.

თანამდებობის დაკავება.[66] **აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მათი საჩივრები ამორიცხა განსახილველთა ნუსხიდან.**[67]

(7) ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ (2018)

საქმის დასახელება/ნომერი	ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ, 31536/07
საჩივრის წარდგენის თარიღი	5 ივნისი, 2007 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	28 ივნისი, 2018 წელი
მომჩივანი	ელდარ ჭოხონელიძე
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 2 500 EUR

ეს საქმე ეხება სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირის მიერ დასაბუთებული არგუმენტების არასათანადო განხილვას.[68] 2005 წლის 13 დეკემბერს ქრთამის აღებისას დააკავეს მომჩივანი ელდარ ჭოხონელიძე - იმ დროს მარნეულის რაიონის გუბერნატორის მოადგილე.[69] სასამართლოში სამართალწარმოებისას მომჩივანი აღნიშნავდა, რომ ქრთამის მიმცემი იყო საიდუმლო აგენტი[70] და სამართალდამცავების მხრიდან მოხდა პროვოცირება.[71] ბოლნისის რაიონულ სასამართლოს საერთოდ არ განუხილავს მომჩივნის არგუმენტი და მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.[72] მომჩივნის არგუმენტი აგენტ-პროვოკატორის მიერ განხორციელებული დანაშაულის პროვოცირების შესახებ არც თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა,[73] ხოლო უზენაესმა სასამართლომ მისი საჩივარი დაუშვებლად ცნო.[74]

ეროვნულ სასამართლოსთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი დარღვევები:

ბრალდებულის შუამდგომლობის განუხილველობა

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ძირითადი პროცედურული ხარვეზი, რომელიც, სავარაუდოდ, ღიად დარჩა ეროვნულ დონეზე, იყო ეროვნული სასამართლოების მიერ ჭოხონელიძის იმ შუამდგომლობის განუხილველობა, რომლის მიხედვითაც, ის პოლიციის პროვოკაციის მსხვერპლი გახდა.[75] მეტიც, ეროვნულ სასამა-

[66] იქვე, პარ. 47. უფრო მეტიც, 2012 წლის 27 მარტს გაუქმდა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ სადავო ნორმის მოქმედება, ხოლო 2014 წლის პირველ აგვისტოს შევიდა ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, 2012 წელს გაუქმებული ნორმის შედეგად გათავისუფლებულ მოსამართლეს აღარ აეკრძალება მოსამართლის თანამდებობის დაკავება (იხ. პარ. 28-29). გარდა ამისა, მესამე მომჩივანი უვადოდ დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ (იხ. იქვე).

[67] იქვე, პარ. 47.

[68] იქვე.

[69] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF TCHOKHONELIDZE v. GEORGIA*), 31536/07, პარ. 6-14.

[70] ქრთამის მიმცემმა არ უარყო, რომ სხვა სისხლის სამართლის საქმეებში მოქმედებდა, როგორც კუდ-ის საიდუმლო აგენტი. პირველი ინსტანციის სასამართლოში მან განაცხადა, რომ უკვე კუდ-ის საიდუმლო აგენტი იყო, როდესაც პირველად მიმართა მომჩივანს (იხ. იქვე, პარ. 25).

[71] იქვე, პარ. 17.

[72] იქვე, პარ. 27.

[73] იქვე, პარ. 33.

[74] იქვე, პარ. 34.

[75] იქვე, პარ. 47.

რთლოებს უნდა დაედგინათ მომჩივნის წინააღმდეგ ფარული ოპერაციის ჩატარების მიზეზი, უკანონო ქმედებაში სამართალდამცავების მონაწილეობის ფარგლები, წაქეზების ან ზეწოლის ხასიათი. თუმცა, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულმა სასამართლოებმა, მომჩივნის კარგად დასაბუთებული არგუმენტების საპასუხოდ, არ წარმოადგინეს მიზეზი, რატომ უნდა დარჩენილიყო საკითხი განუხილველი.[76]

მთავარი მოწმის დაკითხვის განუხორციელებლობა

მომჩივანმა პირველი ინსტანციის სასამართლოს სთხოვა, მოეწვიათ დამატებითი მოწმე, რომლის ქმედებებმაც ჭოხონელიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა გამოიწვია.[77] ამ მოწმესთან (შემდგომში ნ.) დაკავშირებით ბოლნისის რაიონული სასამართლო დაეყრდნო პროკურატურის ინფორმაციას, რომ უცნობი იყო მისი ადგილსამყოფელი. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ობიექტურად შეუძლებელი იყო მოწმის სახით მისი გამოძახება.[78] სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას მომჩივნის წარმომადგენლები მივიდნენ ნ-ს სახლში და სთხოვეს სასამართლოში ჩვენების მიცემა, თუმცა მან უარი თქვა. ამასთანავე, პროკურატურამ განაცხადა, რომ უზრუნველყოფდა ნ-ს მოსვლას მომდევნო მოსმენაზე.[79] მოსმენამდე 4 დღით ადრე ნ-მ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომ, ოჯახური მდგომარეობის გამო, ვერ შეძლებდა გამოცხადებას,[80] ხოლო მოსმენის დღეს პროკურატურამ წარმოადგინა სხდომამდე 2 დღით ადრე პერიოდით დათარიღებული ნ-ს მეზობლის წერილი, რომლის მიხედვითაც, მან სახლი დიდი ხნის წინ დატოვა და მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. ამის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვერ ხერხდებოდა მოწმის ადგილსამყოფლის იდენტიფიცირება, რის გამოც, ობიექტურად შეუძლებელი იყო მოწმედ მისი გამოძახება.[81] ამგვარად, ევროპული სასამართლოს შეფასებით, **ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს მეორე მთავარი მოწმის დასწრება და დაკითხვა, შედეგად**, სასამართლო პროცესი არ ჩატარდა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით.[82]

(8) ბართაია საქართველოს წინააღმდეგ (2018)

საქმის დასახელება/ნომერი	ბართაია საქართველოს წინააღმდეგ, 10978/06
საჩივრის წარდგენის თარიღი	16 თებერვალი, 2006 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	26 ივლისი, 2018 წელი
მომჩივანი	ალექსანდრე ბართაია
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 1 500 EUR ხარჯები და დანახარჯები - 1000 EUR

ეს საქმე ეხება სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოებისას მომჩივნის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, მაშინ, როდესაც ის ადვოკატის

[76] იქვე, პარ. 52.
[77] იქვე, პარ. 26.
[78] იქვე.
[79] იქვე, პარ. 30.
[80] იქვე, პარ. 31.
[81] იქვე, პარ. 32.
[82] იქვე, პარ. 52.

გარეშე ესწრებოდა სასამართლო პროცესს.[83] ადვოკატმა სხდომის ჩატარებამდე 6 დღით ადრე სასამართლოს პროცესის გადადების თაობაზე შუამდგომლობით მიმართა, თუმცა მისი მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა.[84] პროცესზე **მომჩივანმა განაცხადა, რომ ადვოკატის გარეშე ვერ შეძლებდა საქმეში მონაწილეობას და მოითხოვა სხდომის გადადება,[85] თუმცა სასამართლომ მისი თხოვნა არ გაითვალისწინა და დაადგინა, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობაზე მომჩივნის უარი სასამართლოში მისი გამოუცხადებლობის ტოლფასი იყო.[86] ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულმა სასამართლომ არ გამოიკვლია, არსებობდა თუ არა იმის მტკიცებულება, რომ მომჩივანი ან მისი ადვოკატი, რომლებმაც პროცესის გადადებისთვის წარმოადგინეს არსებითი და გადამოწმებადი მიზეზი, მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად, ან ცდილობდნენ სამართალწარმოების უმიზეზოდ გაჭიანურებას.[87] მომჩივნის უარი ადვოკატის დასწრების გარეშე საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე რაიონულმა სასამართლომ, ფაქტობრივად, გააიგივა მომჩივნის მიერ საკუთარ უფლებაზე უარის თქმასთან – საქმე არსებითად განხილულიყო მისი მონაწილეობით. თუმცა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის რისკთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის მოსამართლემ მომჩივანს არ განუმარტა, რომ ეს გულისხმობდა მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე ავტომატურ უარს, ყოველგვარი მიზეზის მითითების გარეშე.[88] ამის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა სამართალწარმოებაში მომჩივნის ეფექტიანი მონაწილეობისა და მხარეთა თანასწორობის უფლება.[89]**

(9) როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2018)

საქმის დასახელება/ნომერი	როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 13185/07
საჩივრის წარდგენის თარიღი	2 მარტი, 2007 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	8 ნოემბერი, 2018 წელი
მომჩივანი	პაატა როსტომაშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 3 600 EUR

ეს საქმე ეხება სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობას. 2004 წლის 16 აგვისტოს მომჩივანი და ორი სხვა პირი დააკავეს დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ჩადენისთვის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო წარმოების, ფლობისა და ტარებისთვის.[90] 2006 წლის 8 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.[91] მომჩივანმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა[92] ზემდგომში,

[83] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ბართაია საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF BARTAIA v. GEORGIA*), 10978/06, პარ. 7.
[84] იქვე, პარ. 9.
[85] იქვე, პარ. 8.
[86] იქვე, პარ. 9.
[87] იქვე, პარ. 33.
[88] იქვე, პარ. 35.
[89] იქვე, პარ. 38.
[90] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF ROSTOMASHVILI v. GEORGIA*), 13185/07, პარ. 6.
[91] იქვე, პარ. 13.
[92] ეროვნული სასამართლოები სრულად დაეყრდნნენ გარდაცვლილის მამის ჩვენებას, რომელიც, მისი

თუმცა - უშედეგოდ.[93] ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულმა სასამართლოებმა პასუხი არ გასცეს მომჩივნის ორ მთავარ არგუმენტს.[94] კონკრეტულად, სხვა ბრალდებულისგან განსხვავებით, არცერთი მტკიცებულება არ ეხებოდა უშუალოდ მომჩივანს და არ ცხადყოფდა დანაშაულში მის მონაწილეობას.[95] ამასთანავე, მომჩივნის წინააღმდეგ ერთადერთი მტკიცებულება - გარდაცვლილის მამის ჩვენება - იყო საეჭვო, ვინაიდან ეწინააღმდეგებოდა სხვა მოწმეთა ჩვენებებს. ამიტომ, კითხვის ნიშნის ქვეშაა, იყო თუ არა გარდაცვლილის მამა დანაშაულის თვითმხილველი.[96] მეტიც, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ზემოაღნიშნული არგუმენტები უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმის ძირითად ნაწილს და მოითხოვდა ზუსტ პასუხს, რაც ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს. საბოლოოდ, სასამართლოს დასაბუთება როსტომაშვილის დამნაშავედ ცნობის შესახებ იყო ზოგადი.[97]

(10) კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2019)

საქმის დასახელება/ნომერი	კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 36416/06
საჩივრის წარდგენის თარიღი	21 აგვისტო, 2006 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	14 მარტი, 2019 წელი
მომჩივანი	არჩილ კობიაშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 3 500 EUR

ეს საქმე შეეხება სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანი გარემოებების არასაკმარისად გამოკვლევას და ჩხრეკის კანონიერების არასათანადოდ შეფასებას. მომჩივანი, რომელიც ნარკოტიკული დანაშაულის გამო იყო მსჯავრდებული, აცხადებდა, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები, რომლებიც, სავარაუდოდ, აღმოუჩინეს, მას არ ეკუთვნოდა.[98] ამ საქმეში პირადი ჩხრეკა იყო ის საგამოძიებო ღონისძიება, რომლის შედეგადაც იყო მოპოვებული მტკიცებულება და სწორედ ამ მტკიცებულებას ეფუძნებოდა მსჯავრდება.[99] მომჩივნის განცხადებით, მას არ მისცემია ადეკვატური შესაძლებლობა, რომ ეჭვქვეშ დაეყენებინა პირადი ჩხრეკის კანონიერება, ეროვნულმა სასამართლოებმა დასაშვებად ცნეს უკანონო მტკიცებულებები და, შესაბამისად, სამართალწარმოება არ იყო სამართლიანი.[100]

ეროვნულ სასამართლოსთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი დარღვევები:

ჩხრეკის ფაქტობრივი გარემოებების არასაკმარისად გამოკვლევა

თქმით, იყო დანაშაულის თვითმხილველი (იქვე, პარ. 14, 17). ასევე, აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილის მამისა და სხვა ორი მოწმის ჩვენება ურთიერთსაწინააღმდეგოა. მოწმეები აღნიშნავენ, რომ მკვლელობის შემდეგ მალევე ნახეს გარდაცვლილის მამა სახლში და მას არ უხსენებია, რომ დანაშაულის თვითმხილველი იყო (იქვე, პარ. 16).

[93] იქვე, პარ. 17.

[94] იქვე, პარ. 59.

[95] იქვე, პარ. 16.

[96] იქვე, პარ. 59.

[97] იქვე.

[98] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF KOBIASHVILI v. GEORGIA)*, 36416/06, პარ. 59.

[99] იქვე, პარ. 60.

[100] იქვე, პარ. 59.

ევროპული სასამართლოს თანახმად, მომჩივნის პირად ჩხრეკაზე ორი მოწმის დასწრება და სასამართლოს მიერ მათი შემდგომი დაკითხვა ადეკვატურად ხელს არ უწყობდა ჩხრეკის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას.[101] ეროვნულმა სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ პირველმა მოწმემ შეცვალა წინასასამართლო ჩვენება - მისი თქმით, ის ჩხრეკას არ ესწრებოდა და ყალბი ჩვენების მიცემა აიძულეს. სასამართლოში მის მიერ გაკეთებული განცხადებები მოსამართლემ არასანდოდ და ალოგიკურად მიიჩნია.[102] გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ[103] ასევე უგულებელყო მეორე მოწმის ჩვენების სანდოობასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხი.[104]

ჩხრეკის გადაუდებლობის დაუსაბუთებლობა

ევროპული სასამართლოს აზრით, ჩხრეკის კანონიერების შემოწმება არ იყო მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი. სასამართლომ ჩხრეკა გადაუდებლად მიიჩნია ისე, რომ ხელთ არ ჰქონია ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები/ინფორმაცია, როგორიცაა პოლიციის ოქმი, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის შესახებ დადგენილება, ოპერატიული ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც, ჩხრეკა ჩატარდა და, ასევე, არ დაუსაბუთებია საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლობა.[105] პოლიციელთა ჩვენებები არ შეესაბამებოდა მომჩივნის ჩხრეკის თაობაზე დადგენილებას, თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა ეს ხარვეზი უგულებელყვეს.[106] ამასთანავე, ეროვნულმა სასამართლოებმა პოლიციელების ჩვენებები ავტომატურად ობიექტურად მიიჩნიეს, განსხვავებით მომჩივნის მეგობრების მიერ მიცემული ჩვენებებისგან, რომლებიც არ გაითვალისწინეს სუბიექტურობისა და არასანდოობის არგუმენტით.[107]

(11) კერესელიძე საქართველოს წინააღმდეგ (2019)

საქმის დასახელება/ნომერი	კერესელიძე საქართველოს წინააღმდეგ, 39718/09
საჩივრის წარდგენის თარიღი	27 ივლისი, 2009 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	28 მარტი, 2019 წელი
მომჩივანი	ირაკლი კერესელიძე
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 1 500 EUR ხარჯები და დანახარჯები - 2 370 EUR

ეს საქმე ეხება მომჩივნისთვის დანიშნული სასჯელის ათვლის თარიღის ცვლილებასთან დაკავშირებით სასამართლოს წინაშე საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობის არმიცემას. მომჩივანი იყო მსჯავრდებული, რომელიც 1995 წლის 24 აგვისტოდან იხდიდა სასჯელის სახით შეფარდებულ თავისუფლების აღკვე-

[101] იქვე, პარ. 64.
[102] იქვე, პარ. 62.
[103] მან უარი თქვა პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე გამოცხადებაზე, თუმცა გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოში, სადაც თავისი პირველადი განცხადებები დაადასტურა.
[104] დაცვის მხარემ სასამართლოს წარუდგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, ხსენებული მოწმე იყო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი. დაცვის მხარე ეჭვქვეშ აყენებდა მისი ჩვენების სანდოობას და აცხადებდა, რომ იგი ჩხრეკისას მოქმედებდა, როგორც პოლიციის აგენტი და, რომ იგი ასევე სხვა მრავალ სისხლის სამართლის საქმეზე იყო მოწმე სამართლებრივი დოკუმენტის შედგენისას (იქვე, პარ. 63).
[105] იქვე, პარ. 67-68.
[106] იქვე, პარ. 72.
[107] იქვე.

თას.[108] 2006 წლის 12 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ, ციხიდან გაქცევის გამო, მას ოთხი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.[109] საკანონმდებლო ცვლილებებისა[110] და სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად, მისი გათავისუფლების თარიღი გახდა სადავო და რამდენჯერმე შეიცვალა.[111] ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში ცვლილების შეტანის პროცესში მომჩივანი არ იყო ჩართული და ამის შესახებ ეცნობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც უზენაეს სასამართლოს უკვე მიღებული ჰქონდა საბოლოო განჩინება.[112] იმის გათვალისწინებით, რომ უზენაესმა სასამართლომ საკითხი გადაწყვიტა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, მომჩივნისთვის ცნობილი არ გახდა შესწორებული სააპელაციო განჩინების თაობაზე. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, მომჩივანს არ მიეცა საშუალება, წარედგინა არგუმენტები (როგორც სააპელაციო საჩივრის ნაწილი, ან ცალკე), განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლის შესწორებულ თარიღსა და ეროვნულ კანონმდებლობასთან მის შესაბამისობაზე.[113] **ამგვარად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ზეპირად ან წერილობით წარედგინა საკუთარი არგუმენტები განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლის თარიღის ცვლილებასთან დაკავშირებით, შედეგად, სისხლის სამართალწარმოება იყო უსამართლო და დაირღვა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.**[114]

(12) სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ (2019)

საქმის დასახელება/ნომერი	სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ, 37809/08
საჩივრის წარდგენის თარიღი	1-ლი ივლისი, 2008 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	25 ივლისი, 2019 წელი

[108] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „კერესელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF KERESELIDZE v. GEORGIA)*, 39718/09, პარ. 6.

[109] იქვე, პარ. 8.

[110] 2006 წლის 29 დეკემბერს შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის ის დებულება, რომელიც არეგულირებდა განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნას. შეცვლილი კანონის 59-ე მუხლის თანახმად, განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი აითვლება ბოლო განაჩენის მიღების დღიდან. შესწორებული კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებდა მისი უკუძალის საკითხს (იხ. იქვე, პარ. 9).

[111] 2008 წლის 20 თებერვალს ჯერ კიდევ მიმდინარეობდა სააპელაციო სამართალწარმოება, როდესაც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის პირველი მსჯავრდების მოუხდელი ნაწილი და მეორე მსჯავრდება უნდა შეკრებილიყო, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლა უნდა დაწყებულიყო მეორე დანაშაულის ჩადენის დღიდან და არა - შემდგომი სასჯელის დაკისრების თარიღიდან. ამგვარად მომჩივნის სასჯელი იწურებოდა 2010 წლის 29 სექტემბერს. ხოლო სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, მომჩივანს უნდა მოეხადა განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელი, რომლის ათვლაც უნდა დაწყებულიყო მეორე დანაშაულის ჩადენის თარიღიდან, შესაბამისად, სასჯელი ამოიწურებოდა 2015 წლის 29 სექტემბერს. სააპელაციო სასამართლომ შეასწორა განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლის თარიღი და მიუთითა დღე, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო განაჩენი მეორე მსჯავრდების შესახებ. საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა შესწორებული სააპელაციო განჩინება და განაცხადა, რომ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ხელახლა დაანგარიშებული შვიდწლიანი ვადის ათვლა იწყებოდა 2006 წლის 12 აპრილს, ანუ მეორე მსჯავრდებისთვის სასჯელის დაკისრების დღეს. ეს ვადა უნდა ამოწურულიყო 2013 წლის 12 აპრილს. მომჩივანმა აღნიშნა, რომ მხოლოდ უზენაესი სასამართლოს საბოლოო განჩინებით გახდა მისთვის ცნობილი 2009 წლის 3 აპრილის შესწორებული სააპელაციო განჩინების შესახებ (იხ. იქვე. პარ. 11-16).

[112] იქვე, პარ. *39.*

[113] იქვე.

[114] იქვე, პარ. 40.

მომჩივანი	თინა სვანიძე
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 3 500 EUR

ეს საქმე ეხება სისხლის სამართალწარმოებისას სათადარიგო მოსამართლის უარს მომჩივნის ადვოკატის შუამდგომლობებზე - ხელახლა გამოეკვლია მტკიცებულებები და დაეკითხა სასამართლოში დაცვის მხარის მოწმეები.[115] მომჩივანმა სააპელაციო სასამართლოში სამართალწარმოებისას კვლავ მოითხოვა ორი დამატებითი მოწმის დაკითხვა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ეს შუამდგომლობა უკვე იყო განხილული პირველი ინსტანციის სასამართლოში.[116] ევროპული სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სათადარიგო მოსამართლეს ჰქონდა ყველა მოწმის გამოკითხვის ჩანაწერი,[117] მას საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ჩვენებების ზეპირ მოსმენაში, არ მოუსმენია ჩვიდმეტი მოწმიდან არც ერთისთვის, ორი ექსპერტისა და მომჩივნის დამცველების ჩათვლით, და მხოლოდ სასამართლოს ჩანაწერების საფუძველზე ცნო მომჩივანი დამნაშავედ.[118] ევროპული სასამართლოს აზრით, საქმის რთული **ფაქტობრივი წინაპირობებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სათადარიგო მოსამართლე საქმეს ერთპიროვნულად განიხილავდა, ის უშუალოდ ვერ შეაფასებდა შესაბამისი პირების განცხადებებსა და ქცევას, ამან კი შეამცირა მისი შესაძლებლობები, ჩამოეყალიბებინა საკუთარი აზრი მათი სანდოობის შესახებ და ჰქონოდა სათანადო წარმოდგენა მტკიცებულებებისა და არგუმენტების თაობაზე.**[119] **გარდა ამისა, ევროპული სასამართლოს განმარტებით**, ზედა ინსტანციის სასამართლოების მიერ, **გარკვეული ჩვენებების უშუალოდ მოსმენის გარეშე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვებით, ვერ გამოსწორდა ქვედა ინსტანციის ხარვეზები.**[120]

(13) გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ (2019)

საქმის დასახელება/ნომერი	გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ, 72916/10
საჩივრის წარდგენის თარიღი	5 ნოემბერი, 2010 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	7 ნოემბერი, 2019 წელი
მომჩივანი	მანანა გელენიძე
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 5 000 EUR

ეს საქმე შეეხება სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარის არგუმენტის განუხილველად დატოვებას და, ბრალდების თვითნებური გადაკვალიფიცირების შედეგად, დაცვის მხარისთვის ჯეროვნად მომზადების შესაძლებლობის არმიცემას. მომჩივანი იყო მოსამართლე, რომელიც 2006 წელს ეროვნულმა სასამართლოებმა დაუსწრებლად დამნაშავედ ცნეს უკანონო გადაწყვეტილების გამოტანის გამო.[121]

[115] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF SVANIDZE v. GEORGIA*), 37809/08, პარ. 13.
[116] იქვე, პარ. 19.
[117] იქვე, პარ. 35.
[118] იქვე, პარ. 34.
[119] იქვე, პარ. 35.
[120] იქვე, პარ. 37.
[121] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF GELENIDZE v. GEORGIA)*, 72916/10, პარ. 5-7.

2007 წელს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმა, რომლითაც მომჩივანს მსჯავრი დაედო.[122] 2009 წელს კი საქართველოში ჩამოსული მომჩივანი დააკავეს. მომჩივანმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც ითხოვდა მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას, რადგან დანაშაული, რომლის ჩადენის გამოც სასჯელი მიესაჯა, დეკრიმინალიზებული იყო,[123] თუმცა ქმედება გადაკვალიფიცირდა სხვა დანაშაულად.[124]

ეროვნულ სასამართლოსთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი დარღვევები:

დასაბუთებული არგუმენტის განუხილველად დატოვება

ევროპული სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს ყოველმხრივ უნდა განეხილა მომჩივნის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა ზღუდავდა სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას, მსჯავრდებული პირის მიერ წარდგენილი საჩივრის ფარგლებში, მიეღო რაიმე გადაწყვეტილება, რომელიც უფრო არახელსაყრელი იქნებოდა ამ უკანასკნელისთვის. თუმცა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მომჩივნის ეს არგუმენტი უპასუხოდ დატოვა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, უზენაესმა სასამართლომ, საჩივრის დაუშვებლად ცნობით, ვერ უზრუნველყო სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაში დაშვებული ხარვეზის გამოსწორება.[125]

ბრალდების თვითნებური გადაკვალიფიცირება და მხარეთა შორის თანასწორობის პრინციპის დარღვევა

სააპელაციო სასამართლომ არ გააფრთხილა მომჩივანი დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლაზე, არც სხდომა გადადო შემდგომი განხილვისთვის და არც ახალი ბრალდების ელემენტები განიხილა.[126] სასამართლომ ბრალდების ერთი მუხლი უბრალოდ ჩაანაცვლა მეორით და არ იმსჯელა ამ ორ დანაშაულს შორის არსებულ აშკარა განსხვავებებზე.[127] ევროპული სასამართლოს შეფასებით, დაცვის პოზიცია შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო ფორმულირებული, თუმცა სააპელაციო სასამართლომ, თავისი ქმედებით, მომჩივანს არ მისცა ამ პოზიციის ჩამოყალიბების შესაძლებლობა ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, უზენაესმა სასამართლომ, მდუმარე *post factum* დადასტურებით, ვერ უზრუნველყო სააპელაციო სამართალწარმოების დროს დაშვებული ხარვეზების გამოსწორება.[128] შედეგად, მომჩივნის მიმართ გამოტანილი იყო პროცედურულად და არსებითად უსამართლო გადაწყვეტილება.[129]

(14) მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2020)

საქმის დასახელება/ნომერი	მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 30364/09
საჩივრის წარდგენის თარიღი	18 მაისი, 2009 წელი

[122] იქვე, პარ. 8.
[123] იქვე, პარ. 9.
[124] იქვე, პარ. 10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, ხოლო უზენაესმა სასამართლომ მისი საჩივარი დაუშვებლად ცნო (იქვე, პარ. 12, 15).
[125] იქვე, პარ. 32.
[126] იქვე, პარ. 37.
[127] იქვე, პარ. 33.
[128] იქვე, პარ. 37.
[129] იქვე, პარ. 34.

გადაწყვეტილების თარიღი	7 მაისი, 2020 წელი
მომჩივანი	მერაბ მეგრელიშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 3 000 EUR

ეს საქმე ეხება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული 4 ჩხრეკის შედეგად ნარკოტიკული ნივთიერების ამოღებას, ჩხრეკისას დაშვებულ პროცედურულ დარღვევებს და არაადეკვატურ სასამართლო მოკვლევას, მათ შორის, ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივნის განცხადების არასაკმარისად გამოკვლევას იმასთან დაკავშირებით, რომ ნარკოტიკები მას არ ეკუთვნოდა.

ოთხივე ჩხრეკა ჩატარდა ე.წ. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის სასამართლო მოკვლევაც არ ჩატარებულა არც წინასასამართლო სხდომაზე და არც საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე.[130] ოთხივე ჩხრეკა ჩატარდა „გადაუდებელ გარემოებებში", წინასწარი სასამართლო ორდერის გარეშე, თუმცა შესაბამისი გადაწყვეტილებები არ იყო დასაბუთებული, რადგან მათში არ იყო მითითებული ის გადაუდებელი გარემოებები, რომლებმაც, სავარაუდოდ, სასამართლოს განჩინების გარეშე ჩხრეკის ჩატარების საჭიროება განაპირობა.[131] სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) თანამშრომლებმა უარი უთხრეს მომჩივანსა და მის მეუღლეს ჩხრეკაზე დასასწრებად დამსწრეთა მოწვევის უფლებით სარგებლობაზე. ამის გასამართლებლად მათ მიუთითეს „გადაუდებელ გარემოებებზე", თუმცა არც პოლიციის შესაბამის ოქმებში და არც შემდგომ, მათ მიერ მიცემულ ჩვენებებში, კონკრეტულ „გადაუდებელ გარემოებებზე" საუბარი არ ყოფილა.[132]

ეროვნულ სასამართლოებს არ შეუფასებიათ ჩხრეკასთან დაკავშირებული ხარვეზები და მიიჩნიეს, რომ ჩატარებული ოთხი ჩხრეკის დროს პროცედურული დარღვევები არ გამოვლენილა, შესაბამისად, ჩხრეკის ოქმები დასაშვები მტკიცებულებები იყო. ასევე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებში მოცემული არც ერთი სხვა მტკიცებულება, ჩხრეკის ოქმების არარსებობის პირობებში, თავისთავად, არ იყო საკმარისად მყარი.[133]

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, რადგან სოდ-ის თანამშრომლები მომჩივნის წინააღმდეგ გამოდიოდნენ საქმისწარმოების საწყის ეტაპზე და მიეკუთვნებოდნენ იმ ორგანოს, რომელმაც ეს საქმისწარმოება წამოიწყო, ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ბრალდების შედეგით. მათი ინტერესი განსაკუთრებით აშკარა იყო მომჩივნის განცხადების გათვალისწინებით იმასთან დაკავშირებით, რომ ნარკოტიკები მას სოდი-ის თანამშრომლებმა „ჩაუდეს". ამის მიუხედავად, ეროვნულმა სასამართლოებმა მათი ჩვენება ავტომატურად ობიექტურად მიიჩნიეს, მომჩივნის ოჯახის წევრების ჩვენებებისგან განსხვავებით, რომლებიც უარყვეს, როგორც სუბიექტური და არასანდო.[134]

(15) მჭედლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2021)

საქმის დასახელება/ნომერი	მჭედლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 894/12

[130] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „**მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ**" *(MEGRELISHVILI v. GEORGIA),* 30364/09, **პარ.** 33.
[131] იქვე.
[132] იქვე.
[133] იქვე, პარ. 36.
[134] იქვე, პარ. 38.

საჩივრის წარდგენის თარიღი	20 დეკემბერი, 2011 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	25 თებერვალი, 2021 წელი
მომჩივანი	ვერა მჭედლიშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ევროპულ სასამართლოს სახელმწიფოსთვის კომპენსაცია არ დაუკისრებია

ეს საქმე შეეხება აპელაციის ეტაპზე ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვას. 2011 წლის 14 თებერვალს მომჩივანი პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო დიდი ოდენობით ფარმაცევტული საშუალებების, საბაჟო წესების დარღვევით, უკანონო შემოტანის 2 ფაქტზე.[135] 2011 წლის 31 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.[136] ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მომჩივნისთვის ორივე ეპიზოდში მსჯავრის დადების შემთხვევაში, სასჯელის საერთო ხანგრძლივობა გადააჭარბებდა 5 წელს, რაც ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისთვის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ლიმიტი იყო.[137] ამასთანავე, ვინაიდან მომჩივანი დავობდა, რომ მეორე ბრალდებული მის ბრალეულობაზე მიუთითებდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით, საქმეში წამოიჭრა მომჩივნისა და მეორე ბრალდებულის სანდოობის საკითხი.[138] შესაბამისად, **რადგანაც სააპელაციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა ისეთი ასპექტები, როგორებიცაა მომჩივნისა და საქმეზე მეორე ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები და პიროვნულობა, მომჩივანი უშუალოდ უნდა დაეკითხათ**.[139] **ამასთანავე**, სააპელაციო სასამართლოს უარი ზეპირ მოსმენაზე არ იყო დასაბუთებული.[140]

(16) შრადე საქართველოს წინააღმდეგ (2021)

საქმის დასახელება/ნომერი	შრადე საქართველოს წინააღმდეგ, 15016/07
საჩივრის წარდგენის თარიღი	26 მარტი, 2007 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	11 მარტი, 2021 წელი
მომჩივანი	როლფ შრადე
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-13 მუხლი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 600 EUR

[135] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „მჭედლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF MTCHEDLISHVILI v. GEORGIA)*, 894/12, პარ. 14.
[136] იქვე, პარ. 19.
[137] იქვე, პარ. 38. იგულისხმება, რომ სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე (იგივე წესია გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციის 295-ე მუხლის მე-7 ნაწილით). ნაკლებად მძიმეა განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას (სსკ-ის მუხლი 12, ნაწილი 2). სსკ-ის იმ დროისთვის მოქმედი რედაქციით (მუხლი 59), დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნებოდა თითოეული დანაშაულისთვის და საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ხდებოდა მათი შეკრება.
[138] იქვე.
[139] იქვე.
[140] იქვე, პარ. 39.

ეს საქმე ეხება გაჭიანურებულ სამოქალაქო მართლმსაჯულებას. ინტელექტუალური საკუთრების შესახებ დავა სასამართლოს 3 ინსტანციაში 6 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.[141] ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქმის წარმოება შეაფერხა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2-წლიანმა უმოქმედობამ.[142] ამ პერიოდში მოხდა სასამართლო სისტემის სტრუქტურული რეფორმა და ეს საქმე თბილისის საოლქო სასამართლოდან გადაეცა ახლად შექმნილ თბილისის საქალაქო სასამართლოს. თუმცა, ევროპული სასამართლოს შეფასებით, სასამართლოს რეფორმა არ არის საქმის გონივრულ ვადაში განუხილველობის საპატიო მიზეზი.[143]

(17) ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2021)

საქმის დასახელება/ნომერი	ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 41674/10
საჩივრის წარდგენის თარიღი	29 ივნისი, 2010 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	25 მარტი, 2021 წელი
მომჩივნები	თამაზ ტლაშაძე რომან კაკაშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 3 600 EUR (თითოეულს)

ეს საქმე ეხება 2009 წელს სასამართლოს მიერ წინასწარი ნებართვის გაცემის გარეშე ჩატარებული ჩხრეკის სავარაუდო არაკანონიერებას, ამის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების არასანდოობას და, ამის საფუძველზე, ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივნების მსჯავრდებას.[144] ორივე მომჩივანი აცხადებდა, რომ პოლიციელების მხრიდან ჩხრეკისას ხდებოდა გარკვეული საგნების ჩადება.[145] ჩხრეკის ოქმების დაუშვებლობის მიზნით, მათ შუამდგომლობით მიმართეს ეროვნულ სასამართლოებს, თუმცა - უშედეგოდ. რომან კაკაშვილის შუამდგომლობა მიიჩნიეს დაუსაბუთებლად, ხოლო თამაზ ტლაშაძეს მიუთითეს, რომ ჩხრეკების კანონიერება, ნებისმიერ შემთხვევაში, უკვე დამტკიცებული იყო. სააპელაციო სამართალწარმოებისას დაკავებისა და ჩხრეკის ოქმების დაუშვებლობის შესახებ ხელმეორედ წარდგენილ შუამდგომლობაზე მომჩივნებმა უარი მიიღეს იმ პოლიციელების ვერსიაზე დაყრდნობით, რომლებმაც ეს ჩხრეკა განახორციელეს.[146]

ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ოპერატიული ინფორმაციის არსებობის შესახებ მოხსენებები იყო ზედაპირული და შეიცავდა ირიბ მონაცემებს, ხოლო ეროვნულმა სასამართლოებმა არც კი სცადეს მისი შეფასება. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა პასუხი არ გასცეს მომჩივანთა ბრალდებებს მტკიცებულებების ჩადების შესახებ.[147] რაც შეეხება პოლიციელების ჩვენებებს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ, ვინაიდან მათ დაიწყეს მომჩივნების წინააღმდეგ საქმის წარმოება, ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ბრალდების შედეგით. განსაკუთრე-

[141] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *SCHRADE v. GEORGIA*, 41957/04, პარ. 47. აღსანიშნავია, რომ დავა დაიწყო 2005 წლის იანვარში და დასრულდა 2021 წლის თებერვალში (იქვე).
[142] იქვე, 48.
[143] იქვე, 52.
[144] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF TLASHADZE AND KAKASHVILI v. GEORGIA)*, 41674/10, პარ. 45.
[145] იქვე, პარ. 23, 32.
[146] იქვე, პარ. 49.
[147] იქვე, პარ. 50.

ბით, მათი ინტერესი აშკარა იყო მომჩივნების ბრალდებების გათვალისწინებით იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მტკიცებულება ჩაუდეს. ყოველგვარი არსებითი მცდელობის გარეშე, რომ გაეფანტათ ბუნდოვანებები პოლიციელების ვერსიაში და მომჩივნების შესაბამისი არგუმენტები განეხილათ, ეროვნულმა სასამართლოებმა პოლიციელთა ჩვენებები მიიჩნიეს სანდოდ და ობიექტურად.[148]

(18) კალანდია საქართველოს წინააღმდეგ (2021)

საქმის დასახელება/ნომერი	კალანდია საქართველოს წინააღმდეგ, 57255/10
საჩივრების წარდგენის თარიღი	27 სექტემბერი, 2010 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	22 აპრილი, 2021 წელი
მომჩივანი	კონსტანტინე კალანდია
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 3 600 EUR

ეს საქმე ეხება 2009 წელს სასამართლოს მიერ წინასწარი ნებართვის გაცემის გარეშე ჩატარებული ჩხრეკის სავარაუდო არაკანონიერებას, ამის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების არასანდოობას, მომჩივნის დაკავებას და ეროვნული სასამართლოების მიერ, ამ მტკიცებულებების საფუძველზე, მის მსჯავრდებას.[149] შესაბამის ოქმში არ იყო მითითებული დაკავების, ჩხრეკის გარემოებები და საფუძვლები, ასევე, არ იყო აღნიშნული მომჩივნის სავარაუდო უარი მოწმეთა მოწვევასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მისი დაკავების თაობაზე პოლიციელთა ჩვენებები იყო ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგალითად, მომჩივანი ნებაყოფლობით გადმოვიდა მანქანიდან, თუ პოლიციელებმა ამისთვის ძალა გამოიყენეს.[150]

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ჩხრეკის ჩატარების გარემოებებმა, მათ შორის, მომჩივნის მხრიდან მისი დაცვის უფლებების სავარაუდო უგულებელყოფამ ეჭვქვეშ დააყენა მომჩივნის წინააღმდეგ არსებული გადამწყვეტი მტკიცებულების სანდოობა, ამასთანავე, ამ უკანასკნელის არგუმენტებს ეროვნული სასამართლოს მხრიდან არ გაეცა ადეკვატური პასუხი.[151] რაც შეეხება შესაბამისი პოლიციელების ჩვენებებს, ვინაიდან მათი ქმედებები იყო მომჩივნის წინააღმდეგ სამართალწარმოების საფუძველი, ისინი დაინტერესებულნი იყვნენ სამართლებრივი დევნის შედეგებით. განსაკუთრებით, აშკარა იყო მათი ინტერესი მომჩივნის ბრალდების გათვალისწინებით იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივანს ნარკოტიკი ჩაუდეს. ყოველგვარი არსებითი მცდელობის გარეშე, მხედველობაში მიეღოთ პოლიციელთა ვერსიაში არსებული წინააღმდეგობები, ეროვნულმა სასამართლოებმა პოლიციელების ჩვენებები მიიჩნიეს სანდოდ და ობიექტურად.[152]

(19) შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ (2021)

საქმის დასახელება/ნომერი	შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ, 43854/12
საჩივრის წარდგენის თარიღი	9 ივლისი, 2012 წელი

[148] იქვე, პარ. 52.
[149] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „კალანდია საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF KALANDIA v. GEORGIA)*, 57255/10, პარ. 45.
[150] იქვე, პარ. 40.
[151] იქვე, პარ. 42.
[152] იქვე, პარ. 43.

გადაწყვეტილების თარიღი	17 ივნისი, 2021 წელი
მომჩივანი	კაკო შუბითიძე
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 3 600 EUR

ეს საქმე ეხება ნარკოტიკული ნივთიერების ამოღებას ჩხრეკის შედეგად, რომლის საეჭვო გარემოებებიც ეროვნულმა სასამართლომ ჯეროვნად არ შეაფასა.

მომჩივნის დაკავება და ჩხრეკა განხორციელდა სასამართლო განჩინების და მოწმის გარეშე.[153] პირადი ჩხრეკის ფაქტობრივი გარემოებები სადავო იყო მთელი საქმისწარმოების განმავლობაში.[154] მიუხედავად ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა დაკავების და ჩხრეკის კანონიერება დადგენილ ფაქტებად მიიჩნიეს.[155]

ეროვნულმა სასამართლოებმა საერთოდ არ განიხილეს მომჩივნის არგუმენტების მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორებიცაა: მისი დაპატიმრებისა და ჩხრეკის კანონიერება, პირადი ჩხრეკის გარემოებები, ჩხრეკის ოქმის სადავო დასაშვებობა, განცხადება იმის შესახებ, რომ ნარკოტიკები მას არ ეკუთვნოდა. ამასთანავე, სადავო ოქმის გარდა, არანაირი სხვა მტკიცებულება არ ყოფილა წარმოდგენილი, რაც არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ მომჩივანი დამნაშავედ ეცნოთ ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო შეძენისა და შენახვისთვის.[156] პირადი ჩხრეკის ჩატარების გარემოებები ბადებდა ეჭვებს ამ ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სანდოობასთან დაკავშირებით. ხოლო მომჩივანს არ მიეცა ჯეროვანი შესაძლებლობა, გაესაჩივრებინა ისინი და შესწინააღმდეგებოდა სადავო მტკიცებულების გამოყენებას.[157]

(20) კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ (2021)

საქმის დასახელება/ნომერი	კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ, 57642/12
საჩივრის წარდგენის თარიღი	29 აგვისტო, 2012 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	16 ნოემბერი, 2021 წელი
მომჩივანი	ლევან კიკაბიძე
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 5 000 EUR ხარჯები და დანახარჯები - 200 EUR

ეს საქმე ეხება, სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებებზე დაგვიანებული წვდომის გამო, მომჩივნის დაცვის უფლების შეზღუდვას და მის მიერ არჩეული ადვოკატის ყოლის უფლების დარღვევას, ასევე, გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობას.[158] 2011 წლის 11 ოქტომბერს, მომჩივნისათვის ბრალის წარდგენის ეტაპზე, ის

[153] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (*SHUBITIDZE v. GEORGIA*), 43854/12, პარ. 8-9.
[154] იქვე, პარ. 34.
[155] იქვე, პარ. 35.
[156] იქვე, პარ. 36.
[157] იქვე, პარ. 37.
[158] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF KIKABIDZE v. GEORGIA*), 57642/12, პარ. 12.

სარგებლობდა უფასო იურიდიული დახმარების ადვოკატის მომსახურებით.[159] ამ უკანასკნელს გადაეცა მომჩივნის წინააღმდეგ შეგროვებული მტკიცებულებების სია და შესაბამისი მტკიცებულებების ასლები.[160] მომჩივანმა რამდენჯერმე მიმართა პროკურატურას, გადაეცათ საქმის მასალები მისი კერძო ადვოკატისთვის.[161]

ეროვნულ სასამართლოსთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი დარღვევები:

საქმის მასალების გასაცნობად არასაკმარისი დრო და საშუალებები

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ 5-დღიანი ვადა[162] საკმაოდ მცირეა იმის გათვალისწინებით, რომ დაცვის მხარე შეზღუდულია, ან მას ამ ვადის მიღმა სრულად ეკრძალება რაიმე მტკიცებულების წარდგენა. ამიტომაც, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უნდა დარწმუნებულიყო, რომ ბრალდების მხარემ იმოქმედა ოპერატიულად და გულმოდგინედ დაცვის მხარის მოთხოვნისამებრ საქმის მასალებზე წვდომის უზრუნველყოფისას.[163] მართალია, სასამართლო სხდომამდე 1 თვით ადრე მომჩივნის იურიდიული დახმარების უფასო ადვოკატს მიეცა დაშვება საქმის მასალებზე, თუმცა მას აღარ წარმოუდგენია მომჩივანი წინასასამართლო სხდომის შემდეგ. უფასო იურიდიული დახმარებისა და კერძო ადვოკატებს შორის თანამშრომლობის აშკარა ნაკლებობა ვერ ათავისუფლებს სახელმწიფოს და მის წარმომადგენლებს შესაბამისი პასუხისმგებლობისგან. ამგვარად, **თავმჯდომარეს უნდა უზრუნველეყო, რომ იმ სირთულეებს**, რომლებიც, **სავარაუდოდ**, **წარმოეშვა დაცვის მხარეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის მომზადებისას, გავლენა არ მოეხდინა მომჩივნის უფლებების დაცვაზე**.[164]

გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მომჩივნის არგუმენტები იმსახურებდა საფუძვლიან და დეტალურ პასუხს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებისას. ამ ასპექტის უგულებელყოფით კი ეროვნულმა სასამართლომ დაარღვია დასაბუთებული გადაწყვეტილების წარმოდგენის ვალდებულება.[165]

(21) გლოველი საქართველოს წინააღმდეგ (2022)

საქმის დასახელება/ნომერი	გლოველი საქართველოს წინააღმდეგ, 18952/18
საჩივრის წარდგენის თარიღი	3 აპრილი, 2018 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	7 აპრილი, 2022 წელი
მომჩივანი	მარინა გლოველი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 3600 EUR

[159] იქვე, პარ. 7.
[160] იქვე, პარ. 8.
[161] იქვე, პარ. 9-10.
[162] „წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისთვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ“ (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი).
[163] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF KIKABIDZE v. GEORGIA*), 57642/12, პარ. 49.
[164] იქვე.
[165] იქვე, პარ. 65.

ეს საქმე ეხება მოსამართლის თანამდებობაზე მომჩივნის კანდიდატურის უარყოფის შესახებ მისი საჩივრის არსებითად განუხილველობას საკვალიფიკაციო პალატის მიერ,[166] რითაც მომჩივნის მიმართ დაირღვა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება. მომჩივანი პრაქტიკოსი ადვოკატია, 20 წელზე მეტხნიანი გამოცდილებით, ხოლო 1999-2005 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. ამის შემდეგ, მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად, მან 6-ჯერ მიიღო კონკურსში მონაწილეობა (ბოლოს - 2017 წლის ოქტომბერში), თუმცა ყველა მისი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.[167] ეროვნულ დონეზე მომჩივნის საჩივართან დაკავშირებით საკვალიფიკაციო პალატამ განმარტა, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ გააჩნდა იურისდიქცია, განეხილა დავები მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე, თუ საკონკურსო პროცედურა არ მიაღწევდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ კენჭისყრის სტადიას. ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მომჩივანი, განაცხადის ფორმის საფუძველზე, წინასწარ შეირჩა კონკურსში მონაწილეობისთვის, გაიარა წარსულის შემოწმება, გამოიკითხა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ და შეფასდა კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით. ყველა ზემოაღნიშნული ეტაპი ჩაატარა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. მეტიც, სწორედ ეს უკანასკნელი იყო ის ორგანო, რომელიც კენჭისყრაშიც მიიღებდა მონაწილეობას. ამგვარად, ევროპული სასამართლოს შეფასებით, სასამართლო განხილვიდან კონკურსის ზემოაღნიშნული სტადიების ერთიანად გამორიცხვით საკვალიფიკაციო პალატამ საკუთარ თავს ჩამოართვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ მომჩივნის საჩივრის განხილვის იურისდიქცია, რითაც დაარღვია მომჩივნის სასამართლოზე წვდომის უფლების ძირითადი პრინციპი.[168]

(22) რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2022)

საქმის დასახელება/ნომერი	რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 15269/13
საჩივრის წარდგენის თარიღი	15 თებერვალი, 2013 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	30 ივნისი, 2022 წელი
მომჩივანი	დავით რუსიშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ევროპულ სასამართლოს სახელმწიფოსთვის კომპენსაცია არ დაუკისრებია

ეს საქმე შეეხება დაკავების საწყის საათებში ადვოკატზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გავლენას სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, დაცვის მხარის მოწმეთა დაკითხვის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობას, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტისა და საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების დაუსაბუთებლობას. 2012 წლის 14 ივნისის ვერდიქტით ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაში.[169] ევროპუ-

[166] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „გლოველი საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF GLOVELI v. GEORGIA*), 18952/18, პარ. 58.
[167] იქვე, პარ. 5.
[168] იქვე, პარ. 59.
[169] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF RUSISHVILI v. GEORGIA)*, 15269/13, პარ. 22-26.

ლმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა სააპელაციო სასამართლოს განჩინების დაუსაბუთებლობის ნაწილში.

მომჩივანმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა და, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, უთითებდა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევაზე.[170] მომჩივნის მიერ სააპელაციო სასამართლოს წინაშე წარდგენილი საკითხები, ევროპული სასამართლოს შეფასებით, სამართლებრივად მნიშვნელოვანი და რელევანტური იყო.[171] ეს ასპექტები (დაკავების პირველ საათებში მომჩივნისთვის ადვოკატის უფლების სავარაუდო შეზღუდვა და მისი გავლენა პროცესის საერთო სამართლიანობაზე) შეფასებული არ ყოფილა არც წინასასამართლო სხდომის მოსამართლის და არც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოსამართლის მიერ.[172] სააპელაციო სასამართლოს ვალდებულება იყო ამ საკითხის ვალიდურობის შემოწმება, და, ზოგადად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამართლიანობისთვის რელევანტური გარანტიების გამოყენების შეფასება.[173] შესაძლოა, სააპელაციო სასამართლომ ეს გარემოებები შეაფასა, თუმცა მის გადაწყვეტილებაში მოცემული არ იყო, რატომ მიიჩნია მომჩივნის საჩივარი დაუსაბუთებლად და დაუშვებლად.[174] ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს განსაკუთრებით პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ ეს იყო სამართლებრივი რეფორმის შემდგომ ჩატარებული ერთ-ერთი პირველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი.[175]

(23) მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ (2022)

საქმის დასახელება/ნომერი	მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ, 9487/19
საჩივრის წარდგენის თარიღი	31 იანვარი, 2019 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	3 ნოემბერი, 2022 წელი
მომჩივანი	გიორგი მამალაძე
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები
სამართლიანი დაკმაყოფილება	ხარჯები და დანახარჯები - 9 418 GEL[176]

ეს საქმე ეხება სასამართლო სხდომის დახურვასა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას. კერძოდ, 2017 წლის 10 თებერვალს დააკავეს მომჩივანი, დეკანოზი გიორგი მამალაძე, რომელიც ეროვნულმა სასამართლოებმა დამნაშავედ ცნეს მკვლელობის მომზადებისთვის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა- შენახვისთვის.[177]

ეროვნულ სასამართლოსთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი დარღვევები:

საჯაროობის პრინციპის დარღვევა

ევროპული სასამართლოს შეფასებით, გარემოება, რომელსაც დაეფუძნა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება სასამართლო სხდომის დახურვის შე-

[170] იქვე, პარ. 78.
[171] იქვე.
[172] იქვე, პარ. 79.
[173] იქვე.
[174] იქვე.
[175] იქვე.
[176] ამ საქმეში მომჩივანმა ხარჯებისა და დანახარჯების გადახდა მოითხოვა ლარში, შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვეტილებაში ეს ვალუტა მიუთითა.
[177] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF MAMALADZE v. GEORGIA*), 9487/19, პარ. 11.

სახებ, არ იყო გათვალისწინებული ეროვნულ კანონმდებლობით. ვინაიდან მომჩივნის საქმესთან მიმართებით იყო მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი, ეროვნულ სასამართლოს მკაფიოდ უნდა დაესაბუთებინა და ემსჯელა, რატომ იყო მიზანშეუწონელი სასამართლო სხდომის ნაწილობრივ დახურვა სრულად დახურვასთან შედარებით, რაც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებს არ გაუკეთებიათ, ხოლო საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება წერილობითი სამართალწარმოების გზით მიიღო.[178]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეროვნული სასამართლოების დასაბუთება, რომლის მიხედვითაც, „საზოგადოებაში დამკვიდრებული რელიგიური და მორალური პრინციპები" უპირატესია, ვიდრე კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.[179]

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა

სასამართლო სხდომის დახურვისა და გაუთქმელობის ვალდებულების გამო, მომჩივანი მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაეკეთებინა საჯარო კომენტარი მის წინააღმდეგ წარმოებულ საქმესთან დაკავშირებით.[180] **იმავდროულად, ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე, მთავარი მოწმე, ასევე, პროკურატურისა**[181] **და ხელისუფლების წარმომადგენლები,**[182] **აკეთებდნენ საჯარო განცხადებებს, რომლის მიხედვითაც, მომჩივანი იყო დამნაშავე.**[183] **ამ გარემოებათა კუმულაციური შეფასებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა.**[184]

(24) ხავშაბოვა საქართველოს წინააღმდეგ (2023)

საქმის დასახელება/ნომერი	ხავშაბოვა საქართველოს წინააღმდეგ, 26134/19
საჩივრის წარდგენის თარიღი	6 მაისი, 2019 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	29 ივნისი, 2023 წელი
მომჩივანი	ანჟელა ხავშაბოვა
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 1 200 EUR

[178] იქვე, პარ. 98-101.
[179] იქვე, პარ. 97.
[180] იქვე, პარ. 99.
[181] იქვე.
[182] დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმესთან დაკავშირებით საჯარო განცხადება გააკეთა ხელისუფლების არაერთმა წარმომადგენელმა, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, პრემიერ-მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა. ევროპულმა სასამართლომ შეაფასა ეს განცხადებები და დაადგინა, რომ ვიცე-პრემიერის განცხადება იყო მკაფიო და არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას (იხ. იქვე, პარ. 111).
„ყველაზე მძიმე დანაშაული აღკვეთილია. მე მჯერა, რომ ეს იყო კარგად გააზრებული გეგმა, რომელიც ჩაფიქრებული იყო [სრულად] განსახორციელებლად. ეს არ იქნებოდა თავდასხმა მხოლოდ ეკლესიაზე, მართლმადიდებელ მრევლზე, ეს იქნებოდა თავდასხმა მთელ საქართველოზე, ჩვენს ინსტიტუტებზე, შესაბამის სამსახურებზე, ქვეყნის მშვიდობასა და სიმშვიდეზე. თუმცა, მათი ეს გეგმა ჩაიშალა. მინდა მადლობა გადავუხადო შესაბამის სამსახურებს, [მაგრამ] დაველოდოთ გამოძიებას და სხვა დეტალებს, [რომლებიც] უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. თუმცა, არის ერთი რამ, რისი თქმაც მინდა, რომ ყველა დამნაშავედ გამოვლენილი, კანონის უმკაცრესი პირობებით დაისჯება. გამოძიება გრძელდება და ყველაფერი გვეცოდინება, მაგრამ აშკარაა, რომ დაკავებისას კონკრეტული პიროვნება, მამალაძე, გერმანიაში სპეციფიკური შხამით მიემგზავრებოდა" (იხ. იქვე, პარ. 18).
[183] იქვე, პარ. 111.
[184] იქვე, პარ. 115.

ეს საქმე ეხება მომჩივნის დამნაშავედ ცნობას მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, რომელთა სასამართლოში შემოწმების უფლება მომჩივანს არ მიეცა.[185] ბრალდების ორი მთავარი მოწმე დაიკითხა ბრალდების მხარის მიერ წინასასამართლო სხდომის ეტაპზე, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, მომჩივნის ცნობის გარეშე, იურიდიული დახმარების ფარგლებში დანიშნული ადვოკატის მონაწილეობით.[186] პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა გამოიტანეს მომჩივნის მიმართ გამამართლებელი განაჩენი და დაადგინეს, რომ არ შეეძლოთ თავიანთი გადაწყვეტილებების მხოლოდ იმ მოწმეთა ჩვენებებზე დაფუძნება, რომლებიც სასამართლოში არ დაუკითხავთ.[187] ხოლო უზენაესმა სასამართლომ გააუქმა გამამართლებელი განაჩენი და დაადგინა, რომ დაკითხვის შედეგად მიღებული ჩვენებები, სხვა ირიბ მტკიცებულებებთან ერთად, საკმარისი იყო მომჩივნის ბრალეულობის დასამტკიცებლად.[188]

ეროვნულ სასამართლოსთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი დარღვევები:

მომჩივნის შეუტყობინებლობა იურიდიული დახმარების ადვოკატის დანიშვნის შესახებ

საქმის მასალები არ შეიცავს არც ერთ პროცედურულ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება, რომ მომჩივანს ეცნობა მის საქმეზე იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ადვოკატის დანიშვნის შესახებ.[189] მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს შემდგომში სათანადოდ წარმოადგენდა მის მიერ არჩეული ადვოკატი, სასამართლო მიიჩნევს, რომ იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის დანიშვნის წესმა და მისმა მონაწილეობამ მოწმეთა დაკითხვის პროცესში მომჩივნის ინფორმირების გარეშე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ უკანასკნელის დაცვის უფლებებზე.[190]

მოწმის დაუსწრებლობის არასაპატიო მიზეზი

ეროვნული სასამართლოებისთვის მოწმეთა გამოუცხადებლობის ერთადერთი საპატიო მიზეზი იყო აზერბაიჯანში ყოფნა.[191] ევროპული სასამართლოს შეფასებით კი საზღვარგარეთ გამგზავრება არ არის საკმარისი მიზეზი სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის გასამართლებლად.[192] მეტიც, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულმა სასამართლოებმა არ გასწიეს გონივრული ძალისხმევა არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში ბრალდების მხარის[193] ორი მოწმის სასამართლო სხდომაზე დასწრების უზრუნველსაყოფად, შესაბამისად, არ არსებობდა ამ მოწმეთა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.[194]

---

[185] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ხავშებოვა საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF KHAVSHABOVA v. GEORGIA*), 26134/19, პარ. 1.
[186] იქვე. პარ. 1, 15.
[187] იქვე, პარ. 17-18.
[188] იქვე, პარ. 20.
[189] იქვე, პარ. 35.
[190] იქვე, პარ. 38.
[191] იქვე, პარ. 45.
[192] იქვე, პარ. 46.
[193] ევროპული სასამართლოს შეფასებით, პროკურატურის წარმომადგენლები ვარაუდობდნენ მოწმეთა საზღვარგარეთ გამგზავრებას და ფიქრობდნენ, რომ არსებობდა მათი ჩვენებების დაკარგვის საფრთხე, ამიტომ, მნიშვნელოვანი იყო, რომ შესაბამის ორგანოებს მომჩივნისთვის მიეცათ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დებულებებით გათვალისწინებული შესაძლებლობა, გამოეკითხა ორი მთავარი მოწმე გამოძიების ეტაპზე, მომჩივნის ანდა მის მიერ არჩეული ადვოკატის თანდასწრებით (იხ. იქვე, პარ. 54.).
[194] იქვე, პარ. 47.

ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ არ არსებობდა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმეთა დაკითხვის ვიდეოჩანაწერები, რის გამოც, ვერც მომჩივანმა და ვერც მოსამართლეებმა ვერ შეძლეს ამ პროცესის ნახვა, დაკითხვისას ვერ დააკვირდნენ მოწმის ქცევას, რითაც მოაკლდათ შესაძლებლობა, შეექმნათ უფრო ნათელი წარმოდგენა მოწმის სანდოობაზე.[195] ევროპული სასამართლოს შეფასებით, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხული მოწმის ჩვენება ვერ ჩაითვლება მომჩივნის უფლების შემცვლელად, დაკითხოს მოწმე საქმის განმხილველი მოსამართლის წინაშე, რომელიც, საბოლოოდ, იღებს გადაწყვეტილებას მომჩივნის ბრალეულობასთან დაკავშირებით.[196]

(25) უგულავა საქართველოს წინააღმდეგ (No. 2) (2024)

საქმის დასახელება/ნომერი	უგულავა საქართველოს წინააღმდეგ (No. 2), 22431/20
საჩივრის წარდგენის თარიღი	29 მაისი, 2020 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	1-ლი თებერვალი, 2024 წელი
მომჩივანი	გიორგი უგულავა
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-6 მუხლი 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ევროპულ სასამართლოს სახელმწიფოსთვის კომპენსაცია არ დაუკისრებია.

ეს საქმე ეხება პოლიტიკურად სენსიტიური საქმის განხილვისას უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის შემადგენლობაში ყოფილი გენერალური პროკურორის, შალვა თადუმაძის ყოფნას, რაც ეჭვის ქვეშ აყენებდა სასამართლოს მიუკერძოებლობას, ვინაიდან გენერალური პროკურორობის დროს შალვა თადუმაძე ინფორმირებული იყო მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის პროცესის სტრატეგიის შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შალვა თადუმაძეს, როგორც გენერალურ პროკურორს, ექვემდებარებოდა ყველა პროკურორი. შესაბამისად, მას შეეძლო, დაქვემდებარებული პროკურორებისგან მოეთხოვა განახლებული ინფორმაცია მომჩივნის საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით და გაეწია ზედამხედველობა.[197] ამგვარად, გენერალური პროკურორის როლის, ფართო უფლებამოსილებებისა და პოლიტიკურად მგრძნობიარე კონტექსტის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ თანამდებობაზე ყოფნისას შალვა თადუმაძე ინფორმირებული იყო მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის პროცესის სტრატეგიის შესახებ.[198] **ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლის სასამართლო პროცესის უკიდურესი პოლიტიკური მგრძნობელობის, გენერალური პროკურორის როლისა და უფლებამოსილებების გათვალისწინებით, მთავარი პროკურორის მოსამართლედ ჩართვა საკმარისი იყო უზენაესი სასამართლოს ობიექტურ მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანისთვის.**[199]

[195] იქვე, პარ. 55.
[196] იქვე, პარ. 52.
[197] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 1-ლი თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „უგულავა საქართველოს წინააღმდეგ“ (No. 2), (*CASE OF UGULAVA v. GEORGIA (No. 2))*, 22431/20, პარ. 60.
[198] იქვე, პარ. 62.
[199] იქვე, პარ. 64.

(26) ხაჭაპურიძე და ხაჩიძე საქართველოს წინააღმდეგ (2024)

საქმის დასახელება/ნომერი	ხაჭაპურიძე და ხაჩიძე საქართველოს წინააღმდეგ, 59464/21, 13079/22
საჩივრის წარდგენის თარიღი	59464/21 - 4 დეკემბერი, 2021 წელი 13079/22 - 10 მარტი, 2022 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	29 აგვისტო, 2024 წელი
მომჩივნები	თამარ ხაჭაპურიძე (პირველი მომჩივანი 59464/21) კახაბერ ხაჩიძე (მეორე მომჩივანი, 59464/21) დავით ხაჩიძე (მესამე მომჩივანი, 13079/22)
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 2 000 EUR ხარჯები და დანახარჯები - 3 000 EUR

ეს საქმე შეეხება დაცვის მხარის მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად ზომების მიუღებლობას**, დაუსწრებელი მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობას და წესრიგის დარღვევის გამო სხდომიდან გაძევებული ბრალდებულებისთვის მომდევნო სხდომებზე დაშვებაზე უარს.**[200] 2016 წლის 26 აგვისტოს პოლიციაში შევიდა ორი შეტყობინება გონიოში მომხდარი ინციდენტის შესახებ. პირველი მოხსენება შეადგინა პირველმა მომჩივანმა, რომელიც ჩიოდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მაშინდელმა თავმჯდომარემ, მოსამართლე გიორგი მიქაუტაძემ**,** სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას და მის შვილს (მესამე მომჩივანს). დაახლოებით ორმოცი წუთის შემდეგ გიორგი მიქაუტაძემ პოლიციას შეატყობინა, რომ პირველი მომჩივნისა და მისი ოჯახის მხრიდან ის იყო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი.[201] 2016 წლის 27 აგვისტოს პირველი და მეორე მომჩივანი დააკავეს სისხლის სამართლის კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალდებით - მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან, გამოძიებასა ან დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით.[202] სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის, ხულიგნობის ჩადენაში.[203] ევროპული სასამართლოს შეფასებით, ამ საქმესთან მიმართებით ეროვნულ დონეზე გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები: **ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაასახელეს მესამე მომჩივნის, როგორც დაცვის მოწმის მოსმენაზე უარის თქმის საკმარისი მიზეზი**. ***გარდა ამისა, ისინი დაეყრდნენ დაუსწრებელი მოწმეების ჩვენებებს, დაცვის მხარისთვის სპირწონე ფაქტორების არსებობის გარეშე.*** **ამასთანავე, ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ განმარტეს** 2018 წლის 22 ივნისის **შემდგომ, დარჩენილი სასამართლო პროცესებიდან პირველი და მეორე მომჩივნების სრული გამორიცხვის მიზეზი**.[204]

---

[200] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ხაჭაპურიძე და ხაჩიძე საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF KHACHAPURIDZE AND KHACHIDZE v. GEORGIA)*, 59464/21; 13079/22, პარ. 1. (ვინაიდან კვლევის წერის მომენტისთვის, გადაწყვეტილება არ არის საბოლოო - არ არის გასული მისი გამოტანიდან 3-თვიანი ვადა, ის შეიძლება გასაჩივრდეს დიდ პალატაში).

[201] იქვე, პარ. 7.

[202] იქვე.

[203] იქვე, პარ. 57.

[204] იქვე, პარ. 143.

(27) წულუკიძე და რუსულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2024)

საქმის დასახელება/ნომერი	წულუკიძე და რუსულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 44681/21, 17256/22
საჩივრების წარდგენის თარიღი	44681/21 - 10 აგვისტო, 2021 წელი 17256/22 - 24 მარტი, 2022 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	29 აგვისტო, 2024 წელი
მომჩივნები	ზურაბ წულიკიძე (44681/21) ლევან რუსულაშვილი (17256/22)
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 3 600 EUR (თითოეულისთვის) ხარჯები და დანახარჯები - 1 500 EUR (თითოეულისთვის)

საქმე ეხება საკასაციო სასამართლოში სს „თელასის“ წინააღმდეგ მომჩივანთა შრომითი დავის განხილვისას მოსამართლის აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარს. მომჩივანთა შუამდგომლობის ფაქტობრივი საფუძველი იყო ის, რომ მოპასუხის, სს „თელასის“ იურისტის შვილები იყვნენ საქმის განმხილველი მოსამართლეების - ლევან მიქაბერიძისა და მირანდა ერემაძის თანაშემწეები.[205] მომჩივნების შუამდგომლობები მოსამართლეთა აცილების შესახებ მიჩნეული იყო დაუსაბუთებლად და არ დაკმაყოფილდა, ასევე, დაუშვებლად ცნეს მათი საკასაციო საჩივრებიც.[206]

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლის თანაშემწისთვის დაკისრებული კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე,[207] მის ჩართულობას შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. შესაბამისად, პირი, რომელიც ამ ამოცანებს ასრულებს, მიუკერძოებელი უნდა იყოს.[208] ევროპული სასამართლოს შეფასებით, იმ ფაქტმა, რომ მოპასუხე მხარის კანონიერი წარმომადგენელი იყო საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწის მამა, წარმოშვა ინტერესთა შესაძლო კონფლიქტი, რაც საჭიროებდა უზენაესი სასამართლოს სათანადო რეაგირებას - საკითხის მოგვარებას ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნის შესაბამისად.[209]

ამასთანავე, ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ შიდა პროცედურული წესების არარსებობაზე, რომლებიც დაადგენდნენ პროფესიონალურ და ეთიკურ სტანდარტებს მოსამართლის თანაშემწის მიმართ. ამ პოზიციაზე მომუშავე

---

[205] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე „წულუკიძე და რუსულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF TSULUKIDZE AND RUSULASHVILI v. GEORGIA)*, 44681/21; 17256/22; პარ. 7, 13.

[206] იქვე, პარ. 11, 17.

[207] მოსამართლის თანაშემწეების პასუხისმგებლობა მოიცავს ადმინისტრაციულ და სამართლებრივ სამუშაოებს, *ამასთანავე,* შესაძლოა, შეეხოს გადაწყვეტილებებს და მათ შემუშავებას. იქვე, პარ. 52, 24.

[208] იქვე, პარ. 52.

[209] იქვე, პარ. 54.

სასამართლოში მოსული მხარეები მოელიან მიუკერძოებლობას არა მხოლოდ მათი საქმის განმხილველი მოსამართლისგან, არამედ საქმეზე მომუშავე მოსამართლის თანაშემწისგანაც. *შესაბამისად, სასამართლოს* თანაშემწეები ვალდებულნი არიან, დაექვემდებარონ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ რეგულაციებს. *მეტიც, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა* იმსჯელონ ისეთი წესების შემოღებაზე, *რომლებიც* უზრუნველყოფს მოსამართლის თანაშემწეების მიმართ იმავე კრიტერიუმების გავრცელებას, *რომლებიც მოსამართლის აცილების შემთხვევაში* გამოიყენება *(*იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა no. 22, *2019).*

პირის მჭიდრო ოჯახურ კავშირებს პროცესში მონაწილე მხარესა ან მის კანონიერ წარმომადგენელს შორის, შეუძლია, შელახოს სასამართლო პროცესის მიუკერძოებლობა. ამგვარად, ასეთი შიდა პროცედურული წესების არარსებობის გამო, შეუძლებელი იყო პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება და რეგულირება.[210]

(28) კეზერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2024)

საქმის დასახელება/ნომერი	კეზერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 11027/22
საჩივრის წარდგენის თარიღი	17 თებერვალი, 2022 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	5 დეკემბერი, 2024 წელი
მომჩივანი	დავით კეზერაშვილი
დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ევროპულ სასამართლოს სახელმწიფოსთვის კომპენსაცია არ დაუკისრებია

საქმე ეხება მიკერძოებულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას. 2018 წლის 22 ივნისს მომჩივნის გამამართლებელი განაჩენი პროკურატურამ გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში, ხოლო 1 თვეში შალვა თადუმაძე გახდა საქართველოს მთავარი პროკურორი. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა საქართველოს პროკურატურის იერარქიული სტრუქტურა, მთავარი პროკურორის ფართო უფლებამოსილებები, საქმის პოლიტიკური კონტექსტი და აღნიშნა, რომ შალვა თადუმაძე პასუხისმგებელი იყო პროკურატურის საქმიანობაზე, მათ შორის, ამ საქმეზეც და შეეძლო საკასაციო საჩივრის უკან გამოთხოვნა, თუმცა მან ეს არ გააკეთა.[211] ევროპული სასამართლოს თანახმად, ყველა ეს ფაქტორი ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მთავარი პროკურორი შალვა თადუმაძე აგრძელებდა საქმის მხარდაჭერას და, შესაძლოა, ჰქონდა წვდომა შიდა ინფორმაციაზე. ევროპული სასამართლოს შეფასებით, შალვა თადუმაძის ჩართვა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიაში, რომელმაც განმცხადებლის გახმაურებული საქმე განიხილა, საკმარისი იყო საკასაციო სასამართლოს ობიექტური მიუკერძოებლობის მიმართ ეჭვის გასაჩენად.[212]

(29) ზაალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2025)

საქმის დასახელება/ნომერი	ზაალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 45681/22
საჩივრის წარდგენის თარიღი	10 სექტემბერი, 2022 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	11 თებერვალი, 2025 წელი
მომჩივანი	ლეილა ზაალიშვილი
დარღვეული უფლება	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 2 200 EUR

[210] იქვე, პარ. 54.
[211] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „კეზერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF KEZERASHVILI v. GEORGIA*), 11027/22, პარ. 94.
[212] *იქვე*, პარ. 95.

საქმე ეხება გაჭიანურებულ სამოქალაქო მართლმსაჯულებას. სასამართლოში სამართალწარმოება დაიწყო 2012 წლის 2 თებერვალს და დასრულდა 2022 წლის 18 მაისს.[213] ევროპული სასამართლოს შეფასებით, სასამართლოში საქმის წარმოების ხანგრძლივობა - სამივე ინსტანციაში 10 წელი და 3 თვე[214] - არ შეესაბამება გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის მოთხოვნას.[215]

(30) ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2025)

საქმის დასახელება/ნომერი	ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 13708/18
საჩივრის წარდგენის თარიღი	14 მარტი, 2018 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	11 თებერვალი, 2025 წელი
მომჩივნები	გიზო ღლონტი გიორგი ლობჟანიძე დავით წიფურია არჩილ ალავიძე ნუგზარ კაიშაური
დარღვეული უფლებები	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები
სამართლიანი დაკმაყოფილება	ევროპულ სასამართლოს სახელმწიფოსთვის კომპენსაცია არ დაუკისრებია

საქმე ეხება ბრალდებულთა არასათანადო ინფორმირებას წარდგენილი ბრალდების შესახებ და დაცვის მოსამზადებლად არასაკმარისი დროის მიცემას.[216] თავდაპირველად, მომჩივნებს ბრალად წარედგინათ გაფლანგვა, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლომ ბრალდების კვალიფიკაცია შეცვალა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის გაასამართლა, ამის შესახებ წინასწარ გაფრთხილების გარეშე. მეტიც, არც სასამართლო პროცესი გადადებულა დამატებითი განხილვისთვის და არც ახალი ბრალდების შემადგენელი ელემენტები განხილულა სასამართლოში.[217]

ამ დანაშაულთა განზრახვის ელემენტები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან, ხოლო ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა სახელმწიფოს პოზიცია, რომ დანაშაულის სამართლებრივი კვალიფიკაცია იყო მცირედ მნიშვნელოვანი, ვინაიდან ხელახალი კვალიფიკაცია ეფუძნებოდა იმავე ფაქტებს.[218] ევროპული სასამართლოს შეფასებით, ახალი ბრალდების ფარგლებში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მომჩივნებს არ მისცა დაცვის შესაძლებლობა, ხოლო უზენაესმა სასამართლომ, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობით, ვერ გამოასწორა მეორე ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოებისას ბრალდებულების მიმართ დარღვეული უფლებები.[219]

---

[213] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2025 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „ზაალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF ZAALISHVILI v. GEORGIA*), 45681/22, პარ. 10.
[214] *იქვე*.
[215] *იქვე*, პარ. 12.
[216] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2025 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF GLONTI AND OTHERS v. GEORGIA*), 13708/18, პარ. 16.
[217] *იქვე*, პარ. 12.
[218] იქვე, პარ. 13.
[219] იქვე, პარ. 15.

II. საქმეები, რომლებზეც, მე-6 მუხლთან ერთად, სხვა დარღვევებიც დადგინდა

ამ ქვეთავში განხილულია 7 საქმე, რომლებზეც, სამართლიანი სასამართლოს უფლების გარდა, კონვენციით დაცული სხვა ძირითადი უფლებაც დაირღვა.

(31) ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ (2010)

საქმის დასახელება/ნომერი	ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ, 18156/05
საჩივრის წარდგენის თარიღი	12 აპრილი, 2005 წელი. 2006 წლის 12 აგვისტოსა და 6 ნოემბერს მომჩივანმა წარმოადგინა დამატებითი საჩივრები
გადაწყვეტილების თარიღი	27 მაისი, 2010 წელი
მომჩივანი	სულხან ჭიჭინაძე
დარღვეული უფლებები	მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 39 000 EUR

ეს საქმე ეხება ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მომჩივნის საკუთრების უფლების დამდგენი 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას საპროცესო ნორმების დარღვევით, იმ ნოტარიუსის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც არ ყოფილა ამ სამოქალაქო საქმის მხარე.

ეროვნულ სასამართლოსთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი დარღვევები:

მხარეთა შორის თანასწორობის პრინციპის დარღვევა

ევროპულმა სასამართლომ მიუღებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა მხოლოდ ნოტარიუსის პოზიცია, ისე, რომ არ დაინტერესებულა მომჩივნის საპასუხო არგუმენტებით.[220] შედეგად, მომჩივანი გაუმართლებლად აღმოჩნდა უთანასწორო პირობებში ოპონენტის პირისპირ.[221]

მნიშვნელოვანი გარემოებების შეუფასებლობა

ნოტარიუსმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ მისთვის ობიექტურად შეუძლებელი იყო, უფრო ადრე სცოდნოდა სამოქალაქო საქმის შესახებ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გამორჩა ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადასინჯვა და მისი სათანადო გულმოდგინებითა და ზედმიწევნით შემოწმება, სანამ გამოიტანდა დასკვნას, რომ ბათილად ცნობის მოთხოვნა დროული და საფუძვლიანი იყო.[222]

---

[220] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF TCHITCGINADZE v. GEORGIA)*, 18156/05, პარ. 56.

[221] იქვე.

[222] იქვე, პარ. 57. ევროპულმა სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 1996 წლის 3 მაისის ნოტარიატის შესახებ აქტის თანახმად, ნოტარიუსები, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ნოტარიუსთა პალატაში, იმყოფებოდნენ იუსტიციის სამინისტროს უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ნათელი იყო, რომ სამინისტრო, რომელიც მოქმედებს ორი დაქვემდებარებული სააგენტოს – ნოტარიუსთა პალატისა და მიწის რეესტრის სააგენტოს მეშვეობით – ინფორმირებული იყო მომჩივნის სამოქალაქო საქმის თაობაზე, როდესაც ეს საქმე ბათუმის საქალაქო სასამართლოში განიხილებოდა და მაშინაც, როცა 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება გახდა საბოლოო და სავალდებულო.

საპროცესო ნორმის არასწორი გამოყენება

ევროპულმა სასამართლომ ყველაზე სამწუხარო უწოდა იმ ფაქტს, რომ ნოტარიუსმა, რომელიც პირველი სამოქალაქო საქმის მხარე არ ყოფილა, მიაღწია 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი (ბ) პუნქტის საფუძველზე.[223] ეს ნორმა, სინამდვილეში, შეეხებოდა მხოლოდ პროცესის რეალურ მხარეებს, მათი პროცედურული უფლებების დასაცავად.[224] ევროპული სასამართლოს განმარტებით, ლოგიკურად, პირი, რომელიც პროცესის მხარე არ ყოფილა, ვერ გაასაჩივრებს თავისი პროცედურული უფლებების შელახვას ასეთი პროცესის მსვლელობისას.[225] სასამართლოს შეფასებით, მაშინაც კი, თუ ვიფიქრებთ, რომ მომჩივნის სამოქალაქო სარჩელით ნოტარიუსის პროფესიული რეპუტაცია დაზარალდა, ისეთი რადიკალური ზომის სანაცვლოდ, როგორიც იყო საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მხრიდან უფრო შესაფერისი იქნებოდა, ნოტარიუსისთვის მიეცა რჩევა, მომჩივნის წინააღმდეგ ახალი სარჩელი შეეტანა.[226]

გადაწყვეტილების თარიღთან დაკავშირებული საეჭვო გარემოებები

მომჩივანი მიუთითებდა, რომ, სინამდვილეში, 2005 წლის 27 ოქტომბერს სხდომა ბათუმის საქალაქო სასამართლოში საერთოდ არ ჩატარებულა, ხოლო გადაწყვეტილება მოსამართლემ ძველი თარიღით 2006 წლის მარტში გააფორმა.[227] მომჩივანი ამასთან დაკავშირებით მიუთითებს საეჭვო შემთხვევაზე, კონკრეტულად, მოსამართლე მას იმავე პროცესზე ამ თარიღის გასვლის შემდეგაც იბარებდა, ხოლო 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება მას 2006 წლის მარტის დასაწყისში გაუგზავნა.[228] ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალებით არ მტკიცდება, რომ 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაყალბებული იყო, თუმცა თვალს ვერ დახუჭავდა იმ სამწუხარო ფაქტზე, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი პროცესზე ამ თარიღის გასვლის შემდეგაც დაიბარა.[229]

(32) კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2012)

საქმის დასახელება/ნომერი	კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 1484/07
საჩივრის წარდგენის თარიღი	28 დეკემბერი, 2006 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	2 ოქტომბერი, 2012 წელი
მომჩივნები	ირაკლი კაკაბაძე (პირველი მომჩივანი) ლაშა ჩხარტიშვილი (მეორე მომჩივანი) ჯაბა ჯიშკარიანი (მესამე მომჩივანი) ზურაბ რთველიაშვილი (მეოთხე მომჩივანი) დავით დალაქიშვილი (მეხუთე მომჩივანი)

[223] იქვე, პარ. 58.
[224] იქვე.
[225] იქვე.
[226] იქვე.
[227] იქვე, პარ. 52.
[228] იქვე. 2005 წლის 9 ნოემბერს მოსამართლემ მომჩივანი, მოპასუხის სტატუსით, 2005 წლის 14 ნოემბრისთვის, დეპეშით დაიბარა სასამართლოში „ნოტარიუსის მიერ დაწყებულ პროცესზე“. მომჩივანმა მეორე დღეს გაგზავნა საპასუხო დეპეშა და ითხოვა სხდომის გადადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (იქვე, პარ. 27).
[229] იქვე, პარ. 56.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მე-11 მუხლი მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 6 000 EUR (თითოეულს) ხარჯები და დანახარჯები - 5 957 EUR (ერთობლივად)

ეს საქმე ეხება 2006 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში პროტესტის გამართვისას მანდატურების მიერ დემონსტრანტების დაკავებას, მათ ჩაკეტვას სამორიგეო ოთახში,[230] ამასთანავე, მხოლოდ მანდატურების განმარტებითი ბარათების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მათთვის, პასუხისმგებლობის სახით, **30**-დღიანი პატიმრობის შეფარდებას იმ ნორმის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას სასამართლოს შიგნით წესრიგის დარღვევისთვის.[231] მომჩივნებმა ეს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოშიც გაასაჩივრეს,[232] თუმცა - უშედეგოდ.[233]

ეროვნულ სასამართლოსთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი დარღვევები:

ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების არასათანადოდ გამოკვლევა

ევროპული სასამართლოსთვის შემაშფოთებელია, რომ, ნაცვლად თავისი მოვალეობების შესრულებისა და იმ საფუძვლიანი მიზეზების დადგენისა, რომლებიც გაამართლებდა აქციის დაშლასა და მომჩივნებისთვის პატიმრობის შეფარდებას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ განკარგულებაში მიუთითა შიდა კანონმდებლობის მიხედვით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის კვალიფიკაციის ზოგად და აბსტრაქტულ ტერმინებზე. იმავდროულად, მან არ განმარტა, ინციდენტის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, როგორ შეეშალა ხელი მართლწესრიგის უზრუნველყოფას და მომჩივნების მიერ წარმოთქმული რომელი კონკრეტული ფრაზები ჩაითვალა სასამართლოს შეურაცხყოფად.[234]

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მომჩივანთა დაკავების ფაქტობრივი და იურიდიული საფუძვლების შესწავლისას გამოიკვეთა გაუფრთხილებლობა მოსამართლის მხრიდან, ამასთანავე, მან თავისი უფლებამოსილება განახორციელა თვითნებობის წინააღმდეგ მიმართული ელემენტარული პროცედურული გარანტიების აშკარად საწინააღმდეგოდ.[235]

მიუკერძოებლობის დარღვევა და დაცვის მხარის გარანტიების უგულებელყოფა

ევროპული სასამართლოს შეფასებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ საქმე მოისმინა ზედაპირული პროცედურით, დახურულ კარს მიღმა, მხოლოდ მანდატურთა მოხსენებითი ბარათების საფუძველზე და არ მისცა მომ-

[230] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“*(CASE OF KAKABADZE AND OTHERS v. GEORGIA),* 1484/07, პარ. 6-10.
[231] იქვე, პარ. 16-18.
[232] იქვე, პარ. 19.
[233] იქვე, პარ. 20.
[234] იქვე, პარ. 90
[235] იქვე, პარ. 69.

ჩივნებს შესაძლებლობა, დასწრებოდნენ მოსმენას, რაც არის იმ სამართლიანი სასამართლო განხილვის ელემენტარული პროცედურული მოთხოვნების სრული უარყოფა, როგორებიცაა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, დაცვის მომზადებისთვის საჭირო ადეკვატური დროისა და საშუალებების, ასევე, კვალიფიციური იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლებები.

ევროპული სასამართლოსთვის შემაშფოთებელია, რომ პრესკონფერენციისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ განცხადება გააკეთა მომჩივანთა პატიმრობის შესახებ. ამით მან ფაქტები აშკარად ნაჩქარევად შეაფასა და ბრალის დამტკიცებამდე საჯაროდ გამოხატა აზრი, რითაც მომჩივნებს, ფაქტობრივად, დამნაშავეები უწოდა.[236]

არაპროპორციული სანქცია

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანთა მხრიდან აქციის მიმდინარეობისას არ გამოვლენილა არანაირი ძალადობრივი ქმედება, ისინი მაინც დაექვემდებარნენ სადავო სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებულ ყველაზე მკაცრ სასჯელს.[237]

ზემდგომი ინსტანციის მიერ გადასინჯვის უფლება

მართალია, მომჩივანთა სააპელაციო სარჩელი განიხილა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, თუმცა, ევროპული სასამართლოს შეფასებით, შიდა კანონმდებლობაში არსებული უჩვეულო კონტროლის პროცედურას, რომლის გამოყენებაც დამოკიდებულია შესაბამის ორგანოთა დისკრეციაზე, არ აქვს ნათლად განსაზღვრული წესები, ან მისი ვადის ლიმიტი იყო არაეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება.[238]

(33) მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2014)

საქმის დასახელება/ნომერი	მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 39726/04
საჩივრის წარდგენის თარიღი	27 ოქტომბერი, 2004 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	30 სექტემბერი, 2014 წელი
მომჩივანი	სულხან მოლაშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-3 მუხლი მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მე-3 და მე-4 პუნქტები მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები, მე-3 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები მე-14 მუხლი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი; ხარჯები და დანახარჯები - 20 000 EUR

ეს საქმე შეეხება პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლისსამართლებრივ დევნას, მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობას, მხარეთა თანასწორობის პრინციპის და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას. 2004 წლის 22-23 აპრილის ღამეს მომჩივანი სულხან მოლაშვილი გახდა თბილისის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი. ამასთან დაკავშირებით არ ჩატარებულა ქმედითი გამოძიება. გარდა ამისა, დაკავებისას მომ-

[236] იქვე, პარ. 77.
[237] იქვე, პარ. 91.
[238] იქვე, პარ. 97.

ჩივანი იყო არაადამიანურ პირობებში და მისთვის არ გაუწევიათ ადეკვატური სამედიცინო მომსახურება.[239]

2014 წლის 11 მარტს საქართველოს მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლი**თაც აღიარა, რომ მოლაშვილის საქმესთან მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი დარღვევები**:

დაკავების უკანონობა და ადეკვატური სამედიცინო დახმარების ნაკლებობა

სასამართლოს არ ჰქონდა გაცემული დაკავების ორდერები, წინასწარი დაკავების მთლიანი ვადა იყო გაუმართლებლად ხანგრძლივი და არ ეფუძნებოდა სათანადოდ დასაბუთებულ დაკავების ორდერებს, სასამართლოს მიერ მომჩივნის დაკავების საკითხის გადასინჯვისას არ არსებობდა სამართლიანობისთვის აუცილებელი მინიმალური გარანტიები.[240] მომჩივანმა არაერთხელ გაასაჩივრა ადეკვატური მკურნალობის ნაკლებობა, თუმცა მისი მოთხოვნა ეროვნულმა უწყებებმა ან რეაგირების გარეშე დატოვეს, ან დაუსაბუთებლად მიიჩნიეს და განსახილველად არ მიიღეს.[241]

მხარეთა შორის თანასწორობის პრინციპის დარღვევა

მომჩივანს არ მიეცა საკმარისი დრო საქმის მოცულობითი მასალების გასაცნობად, ასევე, არ ჰქონდა შესაძლებლობა, ესარგებლა მის მიერ შერჩეული ადვოკატის მომსახურებით, ეროვნულმა სასამართლოებმა უარი თქვეს დაცვის მხარის ზოგიერთი მოწმისა და ექსპერტის მოსმენაზე, ხოლო მოსამართლის განჩინებებში მოყვანილი დასაბუთება, ევროპული სასამართლოს შეფასებით, აშკარად თვითნებური იყო.[242]

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა

საქართველოს პრეზიდენტის და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის საჯაროდ გაკეთებული განცხადებებით დაირღვა მომჩივნის უდანაშაულობის პრეზუმფცია.[243]

დისკრიმინაცია და პოლიტიკურად მოტივირებული შურისძიება

მომჩივნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა იყო ორგანიზებული, პოლიტიკურად მოტივირებული შურისძიება.[244] ვინაიდან წარდგენილ ცალმხრივ დეკლარაციაში საქართველოს მთავრობამ აღიარა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა, ევროპულმა სასამართლომ საქმე განსახილველთა ნუსხიდან ამორიცხა.

(34) ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ (2016)

საქმის დასახელება/ნომერი	ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ, 15256/05
საჩივრის წარდგენის თარიღი	12 მარტი, 2005 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	21 ივნისი, 2016 წელი
მომჩივანი	ზურაბ ჭანკოტაძე

[239] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინება საქმეზე „სულხან მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF MOLASHVILI v. GEORGIA),* 39726/04, პარ. 27.
[240] იქვე, პარ. 28.
[241] იქვე, პარ. 14.
[242] იქვე, პარ. *29*.
[243] იქვე.
[244] იქვე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 20 000 EUR ხარჯები და დანახარჯები - 15 000 EUR

ეს საქმე ეხება სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანი გარემოებების შეუფასებლობის გამო სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ბრალდებულის პატიმრობას.

მომჩივანი მსჯავრდებული იყო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარეობის დროს განხორციელებული ორი ქმედების საფუძველზე: (i) მომჩივნის მიერ სამოქალაქო ავიაციის სამ კომპანიასთან 2003 წლის 28 მარტსა და 13 აგვისტოს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები მომსახურების საფასურის შეგროვების მიზნით, რომელიც, სინამდვილეში, იყო რეგულირების საფასური 2003 წლის 1-ლი აპრილიდან 1-ელ ოქტომბრამდე პერიოდში; (ii) იმავე რეგულირების საფასურს იღებდა რვა სხვა სამოქალაქო ავიაციის კომპანიისგან, განმცხადებლის მიერ 2003 წლის 25 ნოემბერს გამოცემული N1 ბრძანების საფუძველზე.[245] ეს ქმედებები, სახელმწიფოს არგუმენტების მიხედვით, ეწინააღმდეგებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებას.[246] ევროპული სასამართლოს შეფასებით, გადაჭრით არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ აშკარად აუკრძალა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მომსახურების ხელშეკრულებების დადება სამოქალაქო ავიაციის კომპანიებთან.[247] ამდენად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გაუგებარი იყო, რატომ არ გასცა დასაბუთებული პასუხი ეროვნულმა სასამართლომ მომჩივნის ძირითად არგუმენტს, რომ იგი ემორჩილებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებას ასეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებით.[248] გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა შეფასების გარეშე დატოვეს ისეთი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, როგორებიცაა აუდიტის დასკვნა, განმცხადებლის მიერ გამოცემული სადავო ბრძანების სამართლებრივი საფუძველი, ასევე ის ფაქტი, რომ, თუკი სადავო ბრძანება იყო აშკარად უკანონო, იუსტიციის სამინისტროს, რომელიც კანონქვემდებარე აქტების კანონიერებას ზედამხედველობდა, ეს სამართლებრივი დეფექტები უნდა გამოევლინა.[249] მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა სათანადოდ ისაუბრა ყველა შესაბამის არგუმენტზე ეროვნული სასამართლოების წინაშე, მათ თავიანთ გადაწყვეტილებებში ამას არავითარი მნიშვნელობა არ მიანიჭეს.[250]

(35) მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ (2017)

საქმის დასახელება/ნომერი	მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ, 21571/05
საჩივრის წარდგენის თარიღი	9 მაისი, 2005 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	1 ივნისი, 2017 წელი

[245] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ“ *(TCHANKOTADZE v. GEORGIA) 15256/05,* პარ. 104.
[246] იქვე, პარ. 9-13,
[247] იქვე, პარ. 105.
[248] იქვე.
[249] იქვე, პარ. 105-107
[250] იქვე, პარ. 107.

მომჩივნები	დავით მინდაძე (პირველი მომჩივანი) ვალერიან ნემსიწვერიძე (მეორე მომჩივანი)
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-3 მუხლი (პირველ მომჩივანთან მიმართებით) მე-5 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 44 000 EUR ხარჯები და დანახარჯები - 4 800 EUR

ეს საქმე ეხება უკანონო პატიმრობას, წამებას, წამების შედეგად მტკიცებულებების მოპოვებას და მნიშვნელოვანი გარემოებების არასათანადოდ შეფასებას ეროვნული სასამართლოების მიერ. 2004 წელს მომჩივნები დააკავეს საქართველოს პარლამენტის წევრზე თავდასხმის გამო. ეროვნულმა სასამართლომ 2007 წელს ისინი დამნაშავედ ცნო, მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობისთვის.[251]

ეროვნულ სასამართლოსთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი დარღვევები:

პატიმრობის ვადის გახანგრძლივების დაუსაბუთებლობა

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნების პატიმრობაში დატოვების საჭიროების შესახებ გადაწყვეტილება დაასაბუთეს შაბლონურად, რელევანტური ინდივიდუალური გარემოებების შეფასების გარეშე.[252]

მომჩივნების არგუმენტების უგულებელყოფა

ორივე მომჩივანი სასამართლოს წინაშე მიუთითებდა, რომ ამოცნობა ჩატარდა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის დარღვევით, რადგან პირველი მომჩივანი და სხვა ამოსაცნობი პირები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ. თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა ეს გარემოებები უპასუხოდ დატოვეს.[253] ამასთანავე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა სათანადოდ გაახმოვანა ყველა მძიმე ბრალდება გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების წინაშე, ასევე, საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინა საიდუმლო ჩანაწერები, სახელმწიფო ორგანოები საეჭვოდ ინდიფერენტულები აღმოჩნდნენ დაზარალებულის მიერ მართლმსაჯულებისთვის ხელშეშლის თაობაზე კარგად დოკუმენტირებული ბრალდებების მიმართ.[254]

(36) ბოხონკო საქართველოს წინააღმდეგ (2020)

საქმის დასახელება/ნომერი	ბოხონკო საქართველოს წინააღმდეგ, 6739/11
საჩივრის წარდგენის თარიღი	20 იანვარი, 2011 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	22 ოქტომბერი, 2020 წელი
მომჩივანი	ორესტ ბოხონკო

[251] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 1-ლი ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia), 21571/05, პარ. 6-22, 72-76.
[252] იქვე, პარ. 124-125.
[253] იქვე, პარ. 143.
[254] იქვე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-3 მუხლი მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 10 000 EUR

ეს საქმე ეხება **2008-2009 წლებში** მომჩივნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმოებისას არასათანადო მოპყრობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენებას.[255] ევროპული სასამართლოს თანახმად, ჩხრეკის გარემოებების თაობაზე პოლიციელების ვერსიის მოსმენისას ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს წინასასამართლო და საქმის არსებითი განხილვისას წარმოდგენილი მტკიცებულებების შეუსაბამობა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, საკმაოდ შაბლონური დასკვნით, რომ მომჩივანმა ვერ დაადასტურა თავისი ბრალდებები შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ჩხრეკის შესახებ, ეროვნულმა სასამართლოებმა მტკიცების ტვირთი მთლიანად მომჩივანს დააკისრეს.[256] ეროვნული სასამართლოების მიერ ამ საკითხის სათანადოდ შეუსწავლელობამ და დამადასტურებელი მტკიცებულების სისუსტემ შეუქცევადი ზიანი მიაყენა მთლიანად საქმის სასამართლო განხილვის სამართლიანობას.[257]

(37) მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2022)

საქმის დასახელება/ნომერი	მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 23158/20, 31365/20, 32525/20
საჩივრის წარდგენის თარიღი	23158/20 – 24 მაისი, 2020 წელი 31365/20 – 15 ივნისი, 2020 წელი 32525/20 – 15 ივნისი, 2020 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	1-ლი სექტემბერი, 2022 წელი
მომჩივნები	გიორგი მაქარაშვილი (23158/20) ირაკლი კაჭარავა (31365/20) ზურაბ ბერძენიშვილი (32525/20)
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი მე-11 მუხლი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 1 600 EUR

ეს საქმე ეხება **2019 წლის 18 ნოემბრის საპროტესტო დემონსტრაციებისას** მომჩივანთა ადმინისტრაციული წესით დაკავებას,[258] სასამართლო განხილვისას პატიმრობის შეფარდებას, პოლიციის ჩვენებებისთვის მომეტებული მნიშვნელობის მინიჭებას და მტკიცების ტვირთის არასწორ გადანაწილებას.[259] პირველი ინსტა-

[255] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ბოხონკო საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF BOKHONKO v. GEORGIA*), 6739/11, პარ. 1.

[256] იქვე, პარ. 77.

[257] იქვე, პარ. 98.

[258] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1-ლი სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF MAKARASHVILI AND OTHERS v. GEORGIA*), 23158/20, 31365/20, 32525/20, პარ. 14-16, 27.
საქმეში მე-2 მომჩივნის მიმართ ასევე დადგინდა კონვენციის მე-11 მუხლის (მშვიდობიანი შეკრების უფლება) დარღვევა. მისი დაკავება მოხდა ორი საათის შემდეგ, რაც პოლიციამ პარლამენტის შესასვლელი გახსნა (თუნდაც, ნაწილობრივ), ხოლო ეროვნულმა სასამართლომ არც კი შეაფასა, იყო თუ არა გზის სავალ ნაწილზე მისი გადასვლის მიზეზი დემონსტრანტთა რაოდენობა, შესაბამისად, რამდენად კანონიერი იყო პოლიციის მოთხოვნა (პარ. 104-106).

[259] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1-ლი სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (*CASE OF MAKARASHVILI AND OTHERS v. GEORGIA*), 23158/20, 31365/20, 32525/20, პარ. 14-16, 27.

ნციის სასამართლოს განმარტებით, პოლიციელების ჩვენება სანდოობის მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა, რადგან არსებობდა ე.წ. „კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზუმფცია“, მაშინ, როდესაც მომჩივანთა მიზანი იყო პასუხისმგებლობის თავიდან არიდება, შესაბამისად, მათი ჩვენებები არასანდოდ უნდა შეფასებულიყო, თუკი არ დადასტურდებოდა დამატებითი მტკიცებულებებით.[260] ვინაიდან მეორე მომჩივანთან მიმართებით პოლიციელის განცხადება სხვა სახის მტკიცებულებით არ იყო გამყარებული, მას მოუწია საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება.[261] ასევე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გადახედა პირველი ინსტანციის მიდგომას.[262]

III. საქმეები, რომლებშიც მართლმსაჯულების ხარვეზებმა გამოიწვია ადამიანის უფლებების სხვა მნიშვნელოვანი დარღვევები

წინამდებარე ქვეთავში განხილულ 11 საქმეში, მართალია, არ დადგენილა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, თუმცა დადგინდა სხვა მუხლებით დაცული უფლებების დარღვევა, რაც თავისი არსით დაკავშირებული იყო ეროვნულ დონეზე სასამართლოს პრობლემებთან.

(38) ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (2011)

საქმის დასახელება/ნომერი	ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ, 25091/07
საჩივრის წარდგენის თარიღი	11 ივნისი, 2007 წელი 17 მარტი, 2008 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	26 აპრილი, 2011 წელი
მომჩივნები	ირინა ენუქიძე გურამ გირგვლიანი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-2 მუხლი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 50 000 EUR ხარჯები და დანახარჯები - 388 EUR

ეს საქმე ეხება მკვლელობის არაეფექტიან გამოძიებას და სახელმწიფო ინსტიტუციების, მათ შორის, სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელშეშლას.[263] 2006 წლის 28 იანვარს იპოვეს მომჩივანთა შვილის - სანდრო გირგვლიანის გვამი,[264] ხოლო 2006 წლის 20 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თანამშრომელს ბრალი წარედგინა სიცოცხლის მოსპობის გამომწვევი სხეულის განზრახ დაზიანების, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და სხვისი ნივთის დაზიანებისა და განადგურებისთვის.[265]

[260] იქვე, პარ. 23.
[261] იქვე, პარ. 64.
[262] იქვე.
[263] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF ENUKIDZE AND GIRGVLIANI v. GEORGIA)*, 25091/07, პარ. 276.
[264] იქვე, პარ. *19.*
[265] იქვე, პარ. 145. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 6 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ, სსკ-ის 119-ე მუხლის გაუქმების გამო, სსკ-ის 117-ე მუხლის მე-6 ნაწილით მისცა კლასიფიკაცია. შესაბამისად, სიცოცხლის მოსპობის გამომწვევი სხეულის განზრახ დაზიანებიდან საქმე გადაკვალიფიცირდა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებად, რომელსაც სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა (იხ. იქვე, პარ. 171).

ეროვნულ სასამართლოსთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი დარღვევები:

უარი დაზარალებულისთვის მასალების შესასწავლად საკმარისი დროისა და საშუალების მიცემაზე

ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების მთავარი ხარვეზი იყო სასამართლოების სისტემატური უარი, მომჩივნისთვის მიეცათ საკმარისი დრო და საშუალება საქმის მასალების შესასწავლად. ამგვარად, მომჩივნებს წაერთვათ უფლება, ჯეროვნად მომზადებულიყვნენ სასამართლო პროცესისთვის და მასში ეფექტიანი მონაწილეობა მიეღოთ.[266] პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა 9 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, თითქმის შეუძლებელია ამ პერიოდში დაზარალებულთა, თუნდაც მოსამართლეთა, მიერ საქმის მოცულობითი მასალების შესწავლა.[267] ხაზგასასმელია, რომ მომჩივნებს არ მისცეს საშუალება, გასცნობოდნენ 14 მტკიცებულებას. მეტიც, ეს მტკიცებულებები დედნის სახით სასამართლო სხდომაზე არ გამოქვეყნებულა და ჯეროვნად, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით არ გამოკვლეულა.[268] ამასთანავე, სასამართლომ უგულებელყო მომჩივანთა არაერთი შუამდგომლობა საქმესთან პირდაპირ დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვების შესახებ.[269]

გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა

ევროპული სასამართლოს თანახმად, გამოვლინდა არაერთი საეჭვო გარემოება, რომელთა ჯეროვნად შეფასება ეროვნული სასამართლოების მხრიდან სანდრო გირგვლიანის საქმეს ჭეშმარიტებას მოჰფენდა.[270] შესაბამისად, მომჩივნებს არა მხოლოდ შეეზღუდათ უფლება, მონაწილეობა მიეღოთ სასამართლო პროცესში, არამედ, ევროპული სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოს სურვილიც კი არ ჰქონდა, დაედგინა სანდრო გირგვლიანის გატაცებისა და სიკვდილის გარემოებები.[271]

დამნაშავეთათვის მსუბუქი სასჯელის შეფარდება

მაშინ, როდესაც ეროვნულმა სასამართლომ არ უნდა დაუშვას სიცოცხლისთვის საშიში დანაშაულების დაუსჯელობა,[272] გირგვლიანის საქმეზე დამნაშავედ ცნობილ პირებს სასჯელის სახით 7-8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.[273] ეს

[266] იქვე, პარ. 259.
[267] იქვე.
[268] იქვე.
[269] იქვე, პარ. 261.
[270] იქვე, პარ. 263.
[271] იქვე, პარ. 267.
[272] იქვე, პარ. 242.
[273] იქვე, პარ. 172. ნიშანდობლივია, რომ 15 დღის განმავლობაში ბრალდებულები განთავსებულნი იყვნენ ერთ საკანში, რაც მათ ჩვენებების შეთანხმების საშუალებას აძლევდა (იხ. იქვე, პარ. 235). თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო 4 ადამიანი, რომელთაგან ერთს სასჯელის სახით განესაზღვრა 8 წლით, ხოლო დანარჩენ სამს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა (იხ. იქვე, პარ. 172). სააპელაციო სასამართლომ სრულიად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი (იხ. იქვე, პარ. *183), ხოლო უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სხვისი ნივთის განადგურების ნაწილში პირთა დამნაშავედ ცნობა სათანადოდ დასაბუთებული არ იყო.* ამიტომ, ამ ნაწილში მსჯავრდებულები გაამართლა და თითოეულს სასჯელის ვადა 6 თვით შეუმცირა (იხ. იქვე, პარ. 191). 2008 წლის 24 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა სანდრო გირგვლიანის საქმის მსჯავრდებულები და მათი სასჯელის მოუხდელი ნაწილი გაანახევრა. *2009 წლის 5 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ოთხი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ* ამ პირებმა მოიხადეს სასჯელის 2/3, გაითვალისწინა მათი კარგი ყოფაქცევა. შესაბამისად, სასჯელის მთლიანად მოხდა საჭირო აღარ იყო მათი გამოსწორებისთვის (იხ. იქვე, პარ. 204-205). ამგვარად, „ევროპული სასამართლო გაოცებულია სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოების – შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიების თავდაპირველი

ფაქტი **გაკრიტიკებულია ევროპის სასამართლოს მიერ, რომლის განმარტებით, სასჯელის შეფარდებისას ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს აშკარად დამამძიმებელი გარემოება - სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ მსხვერპლის მიმართ სრულიად შეგნებულად ჩადენილი დამამცირებელი და განსაკუთრებით სასტიკი მოპყრობა.**[274]

(39) მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2012)

საქმის დასახელება/ნომერი	მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 18996/06
საჩივრის წარდგენის თარიღი	29 აპრილი, 2006 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	9 ოქტომბერი, 2012 წელი
მომჩივანი	გიორგი მიქიაშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-3 მუხლი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 12 000 EUR

ეს საქმე შეეხება პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას და ამ ფაქტის არაეფექტიან გამოძიებას, მათ შორის, ეროვნული სასამართლოს მიერ მტკიცებულებების არაერთგვაროვან შეფასებას. 2005 წლის 29 ოქტომბერს პოლიციამ მომჩივანი პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დააკავა.[275] დაკავებას თან ახლდა პოლიციის მხრიდან მომჩივანზე გადამეტებული ფიზიკური ძალადობა,[276] რაც გაგრძელდა დაკავების შემდეგაც - დროებითი მოთავსების იზოლატორსა[277] და ციხეში.[278] ეროვნული სასამართლოები დაეყრდნენ ინციდენტში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს, არ გაითვალისწინეს მათი სუბიექტურობა და მიზანი, აეცილებინათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამო. ამის საპირწონედ, ეროვნულმა სასამართლომ სანდოდ არ მიიჩნია გიორგი მიქიაშვილის განცხადება, ვინაიდან შეიცავდა მომჩივნის პირად აზრსა და ბრალდებებს. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა ყოფილიყო პოლიციელთა ჩვენება და დამდგარიყო მათი პასუხისმგებლობის საკითხი, რაც არ მოხდა.[279]

(40) დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2012)

საქმის დასახელება/ნომერი	დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 19634/07
საჩივრის წარდგენის თარიღი	6 აპრილი, 2007 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	18 დეკემბერი, 2012 წელი
მომჩივანი	რევაზ დვალიშვილი

წარუმატებლობიდან გამომდინარე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მსჯავრდებულების იმავე საკანში არაკანონიერად განთავსებით, ადგილობრივი სასამართლოების მიერ პროცესების არასწორად წარმართვითა და მსჯავრდებულების ადრე გამოშვებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულების მიმართ გაუმართლებელი ლმობიერების გამოჩენით – შეთანხმებულად მოქმედებით, რაც ამ მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლისკენაა მიმართული“ (იხ. იქვე, 276).

[274] იქვე, პარ. 272.

[275] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF MIKIASHVILI v. GEORGIA)*, 18996/06, პარ. 5, 7.

[276] იქვე, პარ. 77.

[277] იქვე, პარ. 24.

[278] იქვე, პარ. 45.

[279] იქვე, პარ. 82.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-3 მუხლი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 12 000 EUR

ეს საქმე ეხება 2005 წელს პოლიციელების მხრიდან მომჩივნის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას.[280] დაკავებიდან მეორე დღეს მომჩივანს ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება, რა დროსაც დადგინდა, რომ მას ჰქონდა დაზიანებები. ამასთან დაკავშირებით მომჩივანმა განაცხადა, რომ დაკავებისას ის წაიქცა, ასევე, მან აღიარა დანაშაულის ჩადენა.[281] ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივანი დამნაშავედ ცნეს საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევისთვის და დაადგინეს, რომ არ არსებობდა მის მიმართ არასათანადო მოპყრობის დამადასტურებელი მტკიცებულება.[282] ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, ძირითადად, ეფუძნება ინციდენტში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს, მომჩივნის აღიარებით ჩვენებასა და მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების დროს ჩატარებული წინასწარი გამოძიების შედეგებს. სასამართლოსთვის გაუგებარია, რომ პასუხისმგებელი ორგანოები, არასათანადო მოპყრობის შესახებ მომჩივნის ბრალდებების შემოწმების ნაცვლად, დაეყრდნნენ მის აღიარებით ჩვენებას, რომელიც, როგორც მომჩივანმა განაცხადა, ფიზიკური ზეწოლის ქვეშ მისცა. ამასთანავე, პროკურატურამ და სასამართლოებმა, ყოველგვარი დამაჯერებელი არგუმენტების გარეშე, მხედველობაში მიიღეს პოლიციელთა ჩვენებები, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, ეს ჩვენებები იყო სუბიექტური და მიზნად ისახავდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას. მეტიც, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა უნდა დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ, ვინაიდან გამოძიებას უნდა დაედგინა მათი დისციპლინური თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.[283]

(41) A და B საქართველოს წინააღმდეგ (2022)

საქმის დასახელება/ნომერი	A და B საქართველოს წინააღმდეგ, 73975/16
საჩივრის წარდგენის თარიღი	16 სექტემბერი, 2016 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	10 თებერვალი, 2022 წელი
მომჩივნები	A (პირველი მომჩივანი) B (მეორე მომჩივანი)
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-2 მუხლი, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 35 000 EUR

ეს საქმე ეხება ოჯახში ძალადობას, კონკრეტულად, პოლიციელის (D) მიერ მისი პარტნიორის (A-ის შვილისა და B-ის დედის) მიმართ სისტემატურ ძალადობას[284] და

[280] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“*(CASE OF DVALISHVILI v. GEORGIA)*, 19634/07, პარ. 5.
[281] იქვე, პარ. 6.
[282] იქვე, პარ. 14-16.
[283] იქვე, პარ. 50.
[284] 2011 წელს 22 წლის პოლიციელმა D-მ, დაქორწინების მიზნით, მოიტაცა 17 წლის C (მომჩივნების ნათესავი). ვინაიდან C იყო მუდმივი საფრთხის ქვეშ, მან დაიწყო D-სთან თანაცხოვრება. იმავე წლიდან C და მისი ოჯახის წევრები გახდნენ D-ის მხრიდან რეგულარული სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის სამიზნეები. ის იმუქრებოდა, რომ მოკლავდა C-ს და მის მშობლებს, მიუთითებდა პოლიციელის სტატუსზე, რომ ჰქონდა ძლიერი კავშირები პოლიციაში. ამიტომ, ძირითადად, C-ს ოჯახის წევრებს ეშინოდათ ინციდენტების შესახებ პოლიციაში განცხადება, თუმცა მაინც მოახერხეს და რამდენიმე ყველაზე ძალადობრივი შემთხვევის შესახებ განაცხადეს. ადამიანის უფლებათა ევროპული

მკვლელობას,[285] რაც განაპირობა სამართალდამცავი ორგანოების პასიურმა და შემგუებლურმა დამოკიდებულებამ.[286] ქუთაისის საქალაქო სასამართლომ D დამნაშავედ ცნო ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობისთვის და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მართალია, ეროვნულმა სასამართლოებმა აღიარეს სამართალდამცავი ორგანოების წარუმატებლობა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღკვეთისა და C-ის სიცოცხლის დასაცავად ზომების მიღების კუთხით, თუმცა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოში საქმის განხილვა და გადაწყვეტილება არ მოიცავდა რაიმე გამოკვლევას დანაშაულის ჩადენაში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლო როლის შესახებ. ეროვნულ სასამართლოებს ფართოდ არ შეუსწავლიათ, იყო თუ არა გენდერული სიძულვილი ოჯახში ძალადობის განმაპირობებელი. ასევე, სასამართლოებს არ განუხილავთ, იყო თუ არა სამართალდამცავი ორგანოების შესაბამისი თანამშრომლების მხრიდან უსიტყვო ან ფარული თანხმობის ნიშნები მათი კოლეგის, D-ის მიერ გენდერული მოტივით ჩადენილ ძალადობაში.[287] გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიმართ მომჩივნების სამოქალაქო სამართალწარმოებისას შეთავაზებული ზიანის ანაზღაურება იყო არასაკმარისი.[288] შესაბამისად, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნული სასამართლოების ზემოთ ხსენებული ხარვეზები არ შეესაბამება სახელმწიფოს ვალდებულებას, აღკვეთოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები.[289]

(42) ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2022)

საქმის დასახელება/ნომერი	ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 5631/16
საჩივრის წარდგენის თარიღი	12 იანვარი, 2016 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	15 დეკემბერი, 2022 წელი
მომჩივნები	ნატალია ფერაძე გიორგი მაქარაშვილი ელენე მალაშევსკი-ჯაყელი კონსტანტინე ჩაჩანიძე ვახტანგ ქარელი ანა მამულაშვილი ირაკლი მგალობლიშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-11 მუხლი, მე-10 მუხლის გათვალისწინებით
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 1 040 EUR (თითოეულს)

სასამართლოს 2022 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „A და B საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF A. AND B. v. GEORGIA)*, 73975/16, პარ. 6, 8.

[285] 2014 წლის 25 ივლისს D აედევნა C-ს ქუჩაში. მოულოდნელად D-მ ამოიღო თავისი ტაბელური იარაღი და ახლო მანძილიდან 5-ჯერ ესროლა C-ს. იქვე, პარ. 16-17.

[286] C-მ რამდენჯერმე მიმართა პოლიციას, თუმცა - უშედეგოდ. პოლიცია ან არ რეაგირებდა, ან კიდევ C-ს უხსნიდნენ, რომ ცოლის ცემა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ამისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება არ ღირდა. იქვე, პარ. 9-10.

2013 წლის 9 სექტემბერს D-მ პროკურატურის წინაშე დადო წერილობითი ვალდებულება, რომ ის აღარასოდეს მიაყენებდა სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას C-ს ან მისი ოჯახის წევრებს. პროკურატურა ამით დაკმაყოფილდა და არ დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება, თუმცა D აგრძელებდა C-ს შეურაცხყოფას. იქვე, პარ. 11-12.

[287] იქვე, პარ. 45.

[288] იქვე.

[289] იქვე.

ეს საქმე ეხება საპროტესტო ბანერის გამო მომჩივნების დაკავებას და მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. 2015 წლის 19 ივლისს საჯარო მანიფესტაციისას დააკავეს შვიდივე მომჩივანი და დააკისრეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებული სანქცია წვრილმანი ხულიგნობისთვის.[290] ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულმა სასამართლოებმა არ განიხილეს მომჩივანთა ქცევით გამოწვეული საზოგადოებრივი ცხოვრების დარღვევის დონე. ასევე, არ იმსჯელეს დაკავების წინმსწრებ ვიდეოჩანაწერებზე, რომლებშიც ჩანდა, რომ მომჩივანთა პროტესტი იყო მშვიდობიანი და პასიური.[291] გარდა ამისა, ეროვნული სასამართლოები ფოკუსირდნენ მხოლოდ ფორმაზე და გამიჯნეს სადავო განცხადების ვულგარული ხასიათი კონტექსტისა და აშკარა მიზნისგან. ამით მათ არ აღიარეს, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) გამოიყენება არა მხოლოდ იმ ინფორმაციის ან იდეების მიმართ, რომლებიც აღიქმება დადებითად, ან მიიჩნევა, როგორც უწყინარი ან უმნიშვნელო, არამედ ისეთი ინფორმაციის ან იდეების მიმართაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოსა ან მოსახლეობის რომელიმე სექტორისთვის.[292] ევროპული სასამართლოს შეფასებით, მომჩივანთა მიერ უხამსი სიტყვის გამოყენება უკმაყოფილების გამოხატვის სტილისტური ინსტრუმენტია. საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე აზრის გამოსახატად მათ მიერ არჩეული სადავო ფორმა კი, თავისთავად, ვერ ჩაითვლება საკმარისად საჯარო მანიფესტაციაზე სიტყვის შესაზღუდად, რამეთუ მიზანი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხისადმი ყურადღების მიქცევაა და პროვოკაციული ენა ხელს უწყობს დებატებს ამ თემაზე.[293]

(43) უგულავა საქართველოს წინააღმდეგ (2023)

საქმის დასახელება/ნომერი	უგულავა საქართველოს წინააღმდეგ, 5432/15
საჩივრის წარდგენის თარიღი	27 დეკემბერი, 2014 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	9 თებერვალი, 2023 წელი
მომჩივანი	გიორგი უგულავა
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-5 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 10 000 EUR

ეს საქმე შეეხება მომჩივნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების დასაბუთების, კანონიერების საკითხებს, პატიმრობის დაუსაბუთებელ/უკანონო გახანგრძლივებას. სახელმწიფოს არგუმენტით, პატიმრობის 9-თვიანი ვადის ამოწურვის შემდგომ ხელახალი პატიმრობის შესახებ განჩინება აუცილებელი გახდა იმ პერიოდში მიღებული სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების განხორციე-

[290] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF PERADZE AND OTHERS v. GEORGIA)*, 5631/16.
2015 წლის 19 ივლისს ქ. თბილისის მერიის წინ მომჩივნებმა და მათმა თანამოაზრეებმა მოაწყვეს „პანორამა თბილისის“ მშენებლობის საპროტესტო აქცია, სადაც დააკავეს ერთ-ერთი მომჩივანი, რომელსაც ეჭირა ბანერი წარწერით „პანორამა არა, ყლე!“. სოლიდარობის ნიშნად, სხვა მომჩივნებმაც დააწერეს ბანერს ეს სიტყვები, რის შემდეგაც ისინიც დააკავეს (იხ. იქვე, პარ. 8-14). *2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით,* თბილისის საქალაქო სასამართლომ შვიდივე მომჩივანი დამნაშავედ ცნო უწესრიგო ქმედებების გამო, *რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი იდგნენ ჩუმად და ხელში ეჭირათ ზემოაღნიშნული უხამსლოზუნგიანი ბანერები, ხოლო სააპელაციო სასამართლომ* სრულად უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება (იქვე, პარ. 20, 22).

[291] იქვე, პარ. 43. კონკრეტულად, მომჩივნებს წყნარად ეჭირათ იმპროვიზებული ბანერები, არ ავლენდნენ აგრესიას პოლიციელების ან გამვლელების მიმართ.

[292] იქვე, პარ. 45.

[293] იქვე.

ლების გამო, რამაც 2015 წლის 13 მარტს მომჩივნისთვის შეცვლილი ბრალდების წაყენება განაპირობა. თუმცა, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს გარემოება არ გამომდინარეობს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების 2015 წლის 15 და 20 მარტს მიღებული გადაწყვეტილებებიდან.[294] **ევროპული სასამართლოს განმარტებით**, ეროვნულ სასამართლოებს არ უმსჯელიათ, **იყო თუ არა ახალი პატიმრობის შესახებ განჩინების მიღება გამოწვეული სისხლის სამართლის გამოძიებისას გამოვლენილი გარემოებებით**.[295] **მეტიც, სასამართლოებმა არ იმსჯელეს მომჩივნის არგუმენტებზე, რომ არ არსებობდა პატიმრობის საჭიროება**, არც **იმაზე, თუ რა იდო სასწორზე**, როდესაც **კონსტიტუციით დადგენილი წინასწარი პატიმრობის** 9-თვიან **ვადას დე ფაქტო ახანგრძლივებდნენ**.[296] საქმეში არსებული გარემოებების მხედველობაში მიღებით, ეროვნულ სასამართლოები ვალდებულები იყვნენ, წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე განესაზღვრათ პატიმრობაში ყოფნის საჭიროება, რაც მათ არ გაუკეთებიათ.[297]

(44) ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ (2023)

საქმის დასახელება/ნომერი	ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ, 14142/15
საჩივრის წარდგენის თარიღი	11 მარტი, 2015 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	16 თებერვალი, 2023 წელი
მომჩივანი	აკაკი ოჩიგავა
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-3 მუხლი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 20 000 EUR

ეს საქმე ეხება ციხეში მომჩივნის მიმართ არაერთგზის არასათანადო მოპყრობას და ამ ფაქტების არაეფექტიან გამოძიებას. 2011 წლის 2 ივნისს მომჩივანი აკაკი ოჩიგავა დააკავეს.[298] გლდანის ციხეში ყოფნისას, კონკრეტულად, 2011 წლის ივნისიდან 2012 წლის აგვისტომდე პერიოდში, ასევე, 2012 წლის 29 ოქტომბერსა და 5 დეკემბერს მომჩივანი იყო 11 პირის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი.[299] ფიზიკური ძალადობის შედეგად, აკაკი ოჩიგავამ მიიღო ხერხემლის მძიმე ტრავმა.[300] 2012 წლის ნოემბერში ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ მომჩივანი იყო ინფიცირებული C ჰეპატიტით (HCV), ჰქონდა ღვიძლის ციროზი და მრავალი მოტეხილობისგან მისი თითები იყო დეფორმირებული.[301] 2018 წლის 6 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ გლდანის ციხის 7 ოფიცერი დამნაშავედ ცნო პატიმართა მიმართ სისტემატური არასათანადო მოპყრობისთვის.[302]

---

[294] ევროპული სასამართლოს 2023 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „უგულავა საქართველოს წინააღმდეგ“ *(UGULAVA v. GEORGIA), 5432/15*, პარ. 82.

[295] იქვე.

[296] იქვე.

[297] იქვე.

[298] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის განჩინება საქმეზე „ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ“ (CASE OF OCHIGAVA v. Georgia), 14142/15, პარ. 5

[299] იქვე, პარ. 10.

[300] იქვე, პარ. 19.

[301] იქვე, პარ. 20.

[302] იქვე, პარ. 34.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებთან მიმართებით გამოვლინდა არასათანადო მოპყრობის *5 ფაქტი: 1. 2011 წლის ივნისში, ე.წ. „საკარანტინო პროცედურის“ დროს, შვიდმა ციხის ოფიცერმა მომჩივანს* სცემა რეზინის ხელკეტებით, რის შედეგადაც, მომჩივანს გაუტეხეს წინა კბილები და ნეკნები; 2. 2011 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ორმა ციხის ოფიცერმა მომჩივანს

მათ 3-9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.[303] 2015 წლის 18 ნოემბერს მომჩივანმა სამოქალაქო სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და იმ დროს მოქმედი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.[304] თბილისის საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ აკაკი ოჩიგავას სამედიცინო საქმით დასტურდებოდა ციხეში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, მომჩივანმა ვერ დაასაბუთა, რომ ეს იყო ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლების უკანონო ქმედების შედეგი.[305] მომჩივანმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში გაასაჩივრა, თუმცა - უშედეგოდ.[306]

ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ეროვნული სამოქალაქო სამართალწარმოებისას აკაკი ოჩიგავამ ვერ მიიღო კომპენსაცია. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო მსჯავრი დაედო 7 პირს, პროცესუალურად ხარვეზიანი[307] სისხლის სამართლის საქმის წარმოების შედეგები ვერ ჩაითვლება მომჩივნისთვის საკმარის მაკომპენსირებელ ღონისძიებად.[308]

(45) ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2023)

საქმის დასახელება/ნომერი	ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 31349/20
საჩივრის წარდგენის თარიღი	19 ივნისი, 2020 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	11 მაისი, 2023 წელი
მომჩივანი	ლაშა ჩხარტიშვილი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-11 მუხლი, მე-10 მუხლის გათვალისწინებით
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 1 200 EUR

ხელებში ჩაარტყეს ბეისბოლის კეტი, რის გამოც, ამ უკანასკნელმა მოიტეხა თითები ორივე ხელზე; 3. 2011 წლის დეკემბრის დასაწყისში შვიდმა ციხის ოფიცერმა კვლავ სასტიკად სცემა მომჩივანს; 4. 2011 წლის აგვისტოში სამმა ციხის ოფიცერმა სცემა მომჩივანს; *5. 2011 წლის სექტემბერში,* საკანში ხმამაღალი საუბრის გამო, ციხის ორმა ოფიცერმა მომჩივანი დასაჯა - საშხაპე ოთახში მისი გაშიშვლებით, ხელკეტებითა და წიხლებით ცემით (იხ. იქვე, პარ. 35).

[303] იქვე, პარ. 36.

[304] იქვე, პარ. 37.

[305] იქვე, პარ. 38.

[306] იქვე, პარ. 39.

[307] ევროპული სასამართლოს შეფასებით, აკაკი ოჩიგავას საქმესთან დაკავშირებით განხორციელებული მართლმსაჯულება იყო გაჭიანურებული. მომჩივანს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 2017 წელს, რომლის გარეშეც მას არ ჰქონდა უფლება, მიეღო ინფორმაცია მიმდინარე გამოძიების შესახებ (იქვე, პარ. 33, 29). 2012-2016 წლებში გამოიკვეთა აუხსნელი უმოქმედობა საგამოძიებო ორგანოების მხრიდან და კომპეტენტურ ორგანოებს დასჭირდათ 5 წელზე მეტი დრო, რათა დაედგინათ დამნაშავეები და შეეფარდებინათ მათთვის შესაბამისი სასჯელი (იხ. იქვე, პარ. 58). მიუხედავად იმისა, რომ ციხის ოფიცრებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, არ იყო გამოძიებული სხვა მნიშვნელოვანი ინციდენტები: მომჩივნის სავარაუდო ცემა 2011 წლის ნოემბრის დასაწყისში; მომჩივნის ცემა საშხაპე ოთახში, რომლის შედეგადაც, მას წაუვიდა გული და გონს მოვიდა ციხის მორგში; თვითნებური გადაწყვეტილებით, მომჩივნის სავარაუდო მოთავსება დამამცირებელ პირობებში კარცერსა და ძალიან მცირე ზომის საკანში (fuks), დისციპლინური სასჯელის საკნებში. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მომჩივანი მუდმივად და დამაჯერებლად აცხადებდა ეროვნული ორგანოების წინაშე, რომ მის მიმართ არასათანადო მოპყრობაში მონაწილეობდნენ ციხის სხვა მაღალი თანამდებობის პირებიც, თუმცა ხელისუფლების ორგანოებმა თვალი დახუჭეს დამნაშავეებსა და ციხის სხვა მაღალი თანამდებობის პირებს შორის არსებულ მჭიდრო კავშირზე (იხ. იქვე, პარ. 59).

[308] იქვე, პარ. 59.

ეს საქმე ეხება საპროტესტო აქციაზე დაკავებული დემონსტრანტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას სათანადო დასაბუთების გარეშე. 2019 წლის 29 ნოემბერს საჯარო მანიფესტაციისას დააკავეს მომჩივანი - აქტივისტი ლაშა ჩხარტიშვილი.[309] ეროვნულმა სასამართლოებმა მას, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა შეურაცხყოფისა და მათი კანონიერი ბრძანებების დაუმორჩილებლობისთვის, ადმინისტრაციული სახდელის სახით, 8-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს.[310]

მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთა განსაკუთრებით ფრთხილ მიდგომას საჭიროებს,[311] ეროვნული სასამართლოებისთვის მომჩივნის „პიროვნება“ და მის მიერ ჩადენილი საქციელის „სერიოზულობა“, საკმარისი საფუძველი იყო, რათა შემდგომი განხილვის გარეშე 8-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა თანაზომიერ სახდელად მიჩნეულიყო. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მითითება მომჩივნის „პიროვნებაზე“, შესაძლოა, ეხებოდეს წარსულში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მის ნასამართლობას, მოქმედი სამართლებრივი დებულებები არ იძლეოდა ერთ წელზე ძველი ადმინისტრაციული სახდელის გათვალისწინების უფლებას. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს შეფასებით, მხოლოდ ეს ელემენტი, სათანადო დასაბუთების გარეშე, არ იყო საკმარისი მომჩივნის არაძალადობრივი, თუნდაც, ხელისშემშლელი ქცევის გამო პატიმრობის შეფარდების გასამართლებლად.[312] მომჩივნის ქცევის „სერიოზულობა“ ეხებოდა, ზოგადად, სასჯელის დაკისრების აუცილებლობას და არა - არჩეული სასჯელის თანაზომიერებას. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად პატიმრობის 8-დღიანი ვადის დაწესების გასამართლებლად, მომჩივნის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების უფლებათა განხორციელების კონტექსტში.[313]

(46) გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (2023)

საქმის დასახელება/ნომერი	გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ, 38650/18
საჩივრის წარდგენის თარიღი	9 აგვისტო, 2018 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	15 ივნისი, 2023 წელი
მომჩივანი	ალბინა გაიდუკევიჩი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლებები	მე-2 მუხლი, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 20 000 EUR ხარჯები და დანახარჯები - 12 600 EUR

ეს საქმე ეხება ოჯახში ძალადობას, კონკრეტულად, სახელმწიფო ორგანოების მარცხს, დაეცვათ მომჩივნის ქალიშვილი მისი პარტნიორის მხრიდან განხორციელებული სისტემური ძალადობისგან, რასაც, შედეგად, მომჩივნის ქალიშვილის

[309] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF CKHARTISHVILI v. GEORGIA)*, 31349/20, პარ. 5.

[310] მომჩივანი ესროდა პოლიციელებს ლობიოს მარცვლებს და თან ყვიროდა „მონების საკვები პოლიციელებისთვის“ (იხ. იქვე, პარ. 7). 2019 წლის 29 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების შეურაცხყოფისა და მათი კანონიერი ბრძანებების დაუმორჩილებლობისთვის, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება (იქვე, პარ. 18, 23).

[311] იქვე, პარ. *60.*

[312] იქვე.

[313] იქვე.

სიკვდილი მოჰყვა.[314] სასამართლო პროცესისა და მსჯავრდების ფარგლებში არ მომხდარა დანაშაულის ჩადენაში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლო როლის გამოკვლევა.[315] ევროპული სასამართლოს შეფასებით, უზენაესმა სასამართლომ განიხილა ოჯახში ძალადობის მხოლოდ 1 ეპიზოდი, რითაც უგულებელყო მომჩივნის შვილის მიმართ წლების განმავლობაში განხორციელებული ძალადობის ფაქტები.[316] ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობა იშვიათად არის ერთჯერადი შემთხვევა. ჩვეულებრივ, ის მოიცავს ოჯახის წევრისა ან პარტნიორის მიმართ განხორციელებულ ერთობლივ და ურთიერთდაკავშირებულ ფიზიკურ, სიტყვიერ შეურაცხყოფას, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, ემოციურ, ფინანსურ ზეწოლას და სცილდება ცალკეული შემთხვევის ფარგლებს. შესაბამისად, ის შეიძლება მივიჩნიოთ უწყვეტი დანაშაულის კონკრეტულ ფორმად, რომელშიც თითოეული ინციდენტი არის ფართო სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი. ამის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს თანახმად, უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული მიდგომა შეუსაბამოა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან.[317]

(47) ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ (2024)

საქმის დასახელება/ნომერი	ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ, 20592/21
საჩივრის წარდგენის თარიღი	24 იანვარი, 2020 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	7 ნოემბერი, 2024 წელი
მომჩივანი	მაია ბაქრაძე
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვეული უფლება	მე-14 მუხლი, მე-10 და მე-11 მუხლებთან ერთობლიობაში
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 4 500 EUR

ეს საქმე შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან, **მოსამართლეების დანიშვნის პროცესში, ყოფილი მოსამართლის დისკრიმინაციას მისი კრიტიკული მოსაზრებების გამო და** ამ შემთხვევაზე არასათანადო სასამართლო კონტროლს. მომჩივანი არის ყოფილი მოსამართლე და არასამთავრობო ორგანიზაცია „მოსამართლეთა ერთობის“ დამფუძნებელი.[318] მან 2015-2016 წლებში მოსამართლეთა შესარჩევ 2 კონკურსში მიიღო მონაწილეობა, თუმცა არცერთ შემთხვევაში მოსამართლედ არ დანიშნულა.[319] იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისას მისთვის დასმული შეკითხვები იყო მიკერძოებული და ფოკუსირებული არა მისი პროფესიული უნარების შეფასებაზე, არამედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ მის მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შეფასებებზე.[320] ამასთანავე, დისკრიმინაციის ფაქტის დასადასტურებლად მომჩივანმა წარმოადგინა სტატისტიკური მონაცემები, რომელთა

[314] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF GAIDUKEVICH v. GEORGIA)*, 38650/18, პარ. 1.
გარდაცვალებამდე ოთხი წლის განმავლობაში, მომჩივნის ქალიშვილმა მინიმუმ 16-ჯერ გამოიძახა პოლიცია მისი პარტნიორის ძალადობრივი ქცევის გამო, თუმცა - უშედეგოდ. პოლიცია შემაკავებელი ორდერების გამოცემით შემოიფარგლებოდა, თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც შემაკავებელი ორდერი არ გამოცემულა, რაც ახსნეს იმ გარემოებით, რომ თავად დაზარალებულმა არ მოითხოვა შემაკავებელი ორდერის გამოცემა. იქვე, პარ. 6-21.
[315] იქვე, პარ. 68.
[316] იქვე, პარ. 67.
[317] იქვე.
[318] ევროპული სასამართლოს 2024 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ“ *(BAKRADZE v. GEORGIA),* 20592/21, პარ. 5-6.
[319] იქვე, პარ. 8-13.
[320] იქვე, პარ. 73, 75.

მიხედვითაც, „მოსამართლეთა ერთობის“ წევრები იშვიათად ინიშნებოდნენ მოსამართლეებად, რაც მათი კრიტიკული პოზიციებით იყო გამოწვეული.[321] გარდა ამისა, მისი სხვა მტკიცებულებები მოიცავდა, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრისა და საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისკრიმინაციული მიდგომების შესახებ.[322]

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულ სასამართლოებში მომჩივანმა *prima facie* დაამტკიცა დისკრიმინაციის არსებობა, რის შემდეგაც ეროვნულ სასამართლოებს მტკიცების ტვირთი იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე უნდა გადაეტანათ.[323] სწორედ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა ემტკიცებინა, რომ განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება.[324] ეროვნულ სასამართლოებს ეს არ გაუკეთებიათ და მომჩივნის სარჩელი დისკრიმინაციასთან დაკავშირებით დაუსაბუთებლად მიიჩნიეს.[325] შესაბამისად, ევროპული სასამართლოს შეფასებით, დისკრიმინაციის ფაქტზე არასათანადო სასამართლო კონტროლი განხორციელდა.[326]

(48) რომანჩენკო და ხარაზიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2025)

საქმის დასახელება/ნომერი	რომანჩენკო და ხარაზიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 33067/22, 37832/22
საჩივრის წარდგენის თარიღი	33067/22 - 29 ივნისი, 2022 წელი 37832/22 - 26 ივლისი, 2022 წელი
გადაწყვეტილების თარიღი	18 თებერვალი, 2025 წელი
მომჩივნები	ანა რომანჩენკო (33067/22) ნიკა ხარაზიშვილი (37832/22)
დარღვეული უფლებები	მე-8 მუხლი
სამართლიანი დაკმაყოფილება	ზიანი - 1 500 EUR (თითოეულს) ხარჯები და დანახარჯები - 73 EUR (თითოეულს)

საქმე ეხება სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში კომპანიის იურისტისა და მისი მეუღლის სატელეფონო საუბრების მოსმენა-ჩაწერას. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველია მოსამართლის განჩინება, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს დასაბუთებას ამ საგამოძიებო მოქმედების საჭიროებისა და პროპორციულობის შესახებ.[327] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქმეში არსებული განკარგულებით არ იყო დასაბუთებული ამ ღონისძიების გამოყენება კონკრეტული პირების მიმართ.[328] ასევე, ეროვნულმა სასამართლომ არ შეაფასა, იყო თუ არა განმცხადებელთა მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ის, უბრალოდ, დაეყრდნო კანონმდებლობაში მითითებულ ზოგად ფორმულირებებს და მიუთითა, რომ მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედებით მოპოვებული ინფორმაცია არსებითი მნიშვნელობის იყო გამოძიებისთვის

[321] იქვე, პარ. 73-74.
[322] იქვე, პარ. 73, 80.
[323] იქვე, პარ. 82.
[324] იქვე.
[325] იქვე.
[326] იქვე, პარ. 84-85.
[327] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2025 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „რომანჩენკო და ხარაზიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (CASE OF ROMANCHENKO AND KHARAZISHVILI v. GEORGIA), 33067/22, 37832/22, პარ. 53.
[328] იქვე, პარ. 54.

და სხვა საშუალებებით მათი მიღება შეუძლებელი იქნებოდა ან საჭიროებდა არაგონივრულად დიდ ძალისხმევას. თუმცა, სასამართლოს არ განუმარტავს, როგორ მივიდა ამ დასკვნამდე.[329]

ამასთანავე, ევროპული სასამართლოს თანახმად, ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ შეაფასეს ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობა. მეტიც, თბილისის სააპელაციო სასამართლომ იცოდა განმცხადებლის ადვოკატის სტატუსი და აღნიშნა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას პრაქტიკოსი ადვოკატები არ სარგებლობენ იმუნიტეტით. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ასეთი პრაქტიკა, ფაქტობრივად, ძირს უთხრის ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობას.[330]

[329] იქვე, პარ. 56.
[330] იქვე, პარ. 60.

3. ეროვნულ დონეზე საქმეთა განხილვაში მონაწილე მოსამართლეები

1. ***აკობია ნატრული - პირველი ინსტანციაში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: კალანდია საქართველოს წინააღმდეგ.***

2016 წლის თებერვლიდან არის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2019 წლის თებერვლიდან თანამდებობაზე განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, ხოლო 2022 წლის ივნისიდან დანიშნულია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.[331]

2. ***არდაზიშვილი ხატია - პირველ ინსტანციაში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.***

2019 წლის ივნისიდან არის თბილისის საapელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე.[332]

3. ***ბადრიაშვილი გელა - საapელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ.***

2012 წლის ივლისიდან არის თბილისის საapელაციო სასამართლოს მოსამართლე.[333]

4. ***ბარბაქაძე ნათია - საapელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ; ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.***

2015 წლის დეკემბრიდან არის თბილისის საapელაციო სასამართლოს მოსამართლე.[334]

5. ***ბებიაშვილი მიხეილ - საapელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.***

2024 წლის 7 ოქტომბრიდან არის ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე თერჯოლის მუნიციპალიტეტში.[335]

6. ***ბეჟანიშვილი თამარ - პირველ ინსტანციაში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ხავშაბოვა საქართველოს წინააღმდეგ.***

2017 მაისიდან არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, ხოლო 2019 წლის ოქტომბრიდან თანამდებობაზე განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.[336]

7. ***ბუგიანიშვილი ბესიკ - პირველ ინსტანციაში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ.***

---

[331] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ნატრული-აკობია1.html [14.11.2024].
[332] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ხატია-არდაზიშვილი.html [07.11.2024].
[333] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/გელა-ბადრიაშვილი.html [14.11.2024].
[334] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ნათია-ბარბაქაძე.html [07.11.2024].
[335] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მიხეილ-ბებიაშვილი.html [07.11.2024].
[336] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/თამარ-ბეჟანიშვილი.html [07.11.2024].

2019 წლის ივნისიდან დანიშნულია თბილისის საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.[337]

8. ***გაბინაშვილი მერაბ - უზენაეს სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: უგულავა (N2) საქართველოს წინააღმდეგ.***

2019 წლის დეკემბრიდან არჩეულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, ხოლო 2020 წლის სექტემბრიდან არის საკვალიფიკაციო პალატის წევრი და თავმჯდომარე.[338]

9. ***გიგიტაშვილი ნაირა - საკასაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ; მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.***

2013 წლის ივნისიდან არის ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2019 წლის ივნისიდან თანამდებობაზე განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.[339]

10. ***ერემაძე მირანდა - უზენაეს სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: წულუკიძე და რუსულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.***

2019 წლის დეკემბრიდან არჩეულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. 2019 წლის დეკემბრიდან არის უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის წევრი.[340]

11. ***ვაჩაძე მაია - უზენაეს სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ; ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ.***

2019 წლის დეკემბრიდან არჩეულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.[341]

12. ***თადუმაძე შალვა - უზენაეს სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: უგულავა (N2) საქართველოს წინააღმდეგ; კეზერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.***

2019 წლის დეკემბერში აირჩიეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. ასევე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე. ამჟამად ის აღარ არის მოქმედი მოსამართლე, ვინაიდან 2024 წლის 30 დეკემბრიდან დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.[342]

13. ***თავართქილაძე ლაშა - საკასაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.***

2018 წლიდან მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნულია უვადოდ, კანონით და-

---

[337] http://hcoj.gov.ge/ka/ბესიკ-ბუგიანიშვილი.html [07.11.2024].
[338] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მერაბ-გაბინაშვილი.html [07.11.2024].
[339] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ნაირა-გიგიტაშვილი.html [07.11.2024].
[340] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მირანდა-ერემაძე.html [07.11.2024].
[341] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მაია-ვაჩაძე1.html [14.11.2024].
[342] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/შალვა-თადუმაძე1.html [07.11.2024].

დგენილი ასაკის მიღწევამდე, ხოლო 2021 წლის მარტიდან არის თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.[343]

14. ***თევზაძე ლევან - საპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: უგულავა საქართველოს წინააღმდეგ.***

2021 წლის ივლისიდან არჩეულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.[344]

15. ***თეთრაული მაია - საპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ; მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.***

2012 წლიდან არის თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე. 2017 წლის ოქტომბრიდან თანამდებობაზე ***განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.***[345]

16. ***იმერლიშვილი მარინე - საპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ; კალანდია საქართველოს წინააღმდეგ.***

2005 წლიდან არის ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე.[346]

17. ***კაკაბაძე ვლადიმერ - უზენაეს სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: წულუკიძე და რუსულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.***

2019 წლის დეკემბრიდან არჩეულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.[347]

18. ***კაპანაძე მანუჩარ - პირველი ინსტანციის სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ. საპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ; უგულავა საქართველოს წინააღმდეგ; ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.***

2010 წლიდან არის თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, ხოლო 2018 წლის თებერვლიდან თანამდებობაზე ***განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.***[348]

19. ***კაპანაძე მურთაზ - საპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ; კალანდია საქართველოს წინააღმდეგ.***

2017 წლის მაისიდან არის სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, ხოლო 2019 წლის ოქტომბრიდან თანამდებობაზე ***განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.***[349]

---

[343] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ლაშა-თავართქილაძე.html [14.11.2024].
[344] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ლევან-თევზაძე3.html [14.11.2024].
[345] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მაია-თეთრაული.html [14.11.2024].
[346] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მარინე-იმერლიშვილი.html [14.11.2024].
[347] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ვლადიმერ-კაკაბაძე.html [14.11.2024].
[348] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მანუჩარ-კაპანაძე.html [14.11.2024].
[349] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მურთაზ-კაპანაძე.html [14.11.2024].

20. ***კახეთელიძე გერონტი - სააპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე:*** *გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ.*

2012 წლის იანვრიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.[350]

21. ***კიკილაშვილი ხვიჩა - პირველ ინსტანციაში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ხაჭაპურიძე და ხაჩიძე საქართველოს წინააღმდეგ.***[351]

2020 წლის 3 აპრილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებით დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად.[352]

22. ***ლომიძე მერაბ - სააპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ.***

2018 წლის თებერვლიდან თანამდებობაზე ***განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. 2019 წლის ივნისიდან უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.***[353]

23. ***მამულაშვილი ლეილა - სააპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.***

2019 წლის ივლისიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე.[354]

24. ***მაჭავარიანი კახაბერ - სააპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: უგულავა საქართველოს წინააღმდეგ.***

2012 წლის ივლისიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე.[355]

25. ***მიქაბერიძე ლევან - უზენაეს სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: წულუკიძე და რუსულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.***

2019 წლის დეკემბრიდან არჩეულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. 2020 წლის 8 მაისიდან არის საკვალიფიკაციო პალატის წევრი. 2021 წლის 26 მაისს მოსამართლეთა კონფერენციამ ***ის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩია.***[356]

26. ***მურუსიძე ლევან - იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ; გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ; მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ; მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ; ტურავა და სხვები***

---

[350] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/გერონტი-კახეთელიძე.html [14.11.2024].
[351] იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/იყენებს-თუ-არა-იუსტიციის-უმაღლესი-საბჭოს-მდივანი-თანამდებობას-ბოროტად/29507026.html [14.11.2024].
[352] იხ.https://www.constcourt.ge/ka/court/justices/current_justices/ხვიჩა-კიკილაშვილი.html [14.11.2024].
[353] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მერაბ-ლომიძე.html [14.11.2024]
[354] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ლეილა-მამულაშვილი.html [14.11.2024].
[355] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/კახაბერ-მაჭავარიანი.html [14.11.2024].
[356] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ლევან-მიქაბერიძე1.html [14.11.2024].

საქართველოს წინააღმდეგ; მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ; ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ; როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.[357]

2016 წლის იანვრიდან არის თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე. 2018 წლის დეკემბრიდან თანამდებობაზე ***განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. 2022 წლის 23 ოქტომბერს მოსამართლეთა კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩია.***[358]

27. ნადოი რეზო - პირველ ინსტანციაში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.

2020 წლის დეკემბრიდან არის მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დუშეთის მუნიციპალიტეტში.[359]

28. როინიშვილი ვასილ - უზენაეს სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ; ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ.

2020 წლის 29 მაისს დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ხოლო ამავე წლის 25 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ***პლენუმმა ის აირჩია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და პირველი კოლეგიის თავმჯდომარედ.***[360]

29. სილაგაძე პაატა - უზენაეს სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ; მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ; ხავშაბოვა საქართველოს წინააღმდეგ; მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ; ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ; ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.

2019 წლის ივნისში დაინიშნა თბილისის საპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. 2021 წლის სექტემბრიდან არის თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე, ხოლო 2021 წლის 31 ოქტომბერს მოსამართლეთა კონფერენციამ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩია.[361]

30. სირაძე მარინა - პირველ ინსტანციაში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ; კალანდია საქართველოს წინააღმდეგ.

2012 წლიდან არის ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, ხოლო 2019 წლის ოქტომბრიდან თანამდებობაზე ***განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.***[362]

---

[357] **საქმეთა ნაწილი იდენტიფიცირდა საიას ხელთ არსებული მასალებით, ვინაიდან ეს საქმეები საიამ აწარმოვა**, ხოლო **დანარჩენ საქმეთა იდენტიფიცირება შესაძლებელი გახდა საჯაროდ გამოქვეყნებული წყაროებიდან**, იხ. https://transparency.ge/ge/post/levan-murusizis-5-gadacqvetilebaze-strasburgis-sasamartloshi-dargveva-dadginda [14.11.2024].

[358] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ლევან-მურუსიძე1.html [14.11.2024].

[359] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/რეზო-ნადოი.html [14.11.2024].

[360] იხ. https://constcourt.ge/ka/court/justices/current_justices/ვასილ-როინიშვილი.html [14.11.2024].

[361] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/პაატა-სილაგაძე2.html [14.11.2024].

[362] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მარინა-სირაძე.html [14.11.2024].

31. ***სხირტლაძე ნუგზარ - უზენაეს სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ.***

2019 წლის დეკემბრიდან არჩეულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.[363]

32. ***ფარქოსაძე დიანა - პირველ ინსტანციაში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ.***

2015 წლის მაისიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. 2018 წლის მაისიდან თანამდებობაზე ***განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. 2018 წლის მაისიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სპიკერ-მოსამართლე.***[364]

33. ***ფილიშვილი ვალერიანე - პირველ ინსტანციაში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ; ბოხონკო საქართველოს წინააღმდეგ; მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ; ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.***

2019 წლის ივლისიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, ხოლო 2018 წლის დეკემბრიდან თანამდებობაზე ***განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.***[365]

34. ***ქათამაძე პაატა - უზენაეს სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ; ხავშაბოვა საქართველოს წინააღმდეგ; გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ.***

2020 წლის დეკემბრიდან არის თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.[366]

35. ***ყაველაშვილი შორენა - საპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.***

2013 წლიდან არის თბილისის საპელაციო სასამართლოს მოსამართლე. 2019 წლის ოქტომბრიდან თანამდებობაზე ***განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.***[367]

36. ***შავლიაშვილი გიორგი - უზენაეს სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეებზე: მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ; ხავშაბოვა საქართველოს წინააღმდეგ; უგულავა (N2) საქართველოს წინააღმდეგ; გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ; ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.***

2010 წლის ივნისიდან არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.[368]

---

[363] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ნუგზარ-სხირტლაძე.html [14.11.2024].
[364] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/დიანა-ფარქოსაძე.html [14.11.2024].
[365] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ვალერიანე-ფილიშვილი.html [14.11.2024].
[366] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/პაატა-ქათამაძე1.html [14.11.2024].
[367] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/შორენა-ყაველაშვილი.html [14.11.2024].
[368] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/გიორგი-შავლიაშვილი.html [14.11.2024].

37. შენგელია ირაკლი - სააპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.

2016 წლის ივლისიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე. 2016 წლის აგვისტოდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე. 2017-2021 წლებში საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე არჩეული იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად. 2019 წლის ოქტომბერში აირჩიეს საპროკურორო საბჭოს წევრად. 2021 წლის ივლისიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.[369]

38. შოშიაშვილი მაია - პირველი ინსტანციის სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: უგულავა საქართველოს წინააღმდეგ.

2020 წლიდან არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე გარდაბნის მუნიციპალიტეტში.[370]

39. ცანავა ლელა - პირველი ინსტანციის სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.

2016 წლიდან არის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2017 წლის ივნისიდან, ***მივლინების საფუძველზე, მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. 2018 წლის თებერვლიდან თანამდებობაზე განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.***[371]

40. ცისკაძე მარიამ - სააპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ.

2017 წლის მაისიდან დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა მოსამართლედ.[372]

41. ჭიჭილეიშვილი ნანა - სააპელაციო სასამართლოში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.

2019 წლის სექტემბრიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე.[373]

42. ხუჯაძე ნატო - პირველი ინსტანციაში იყო მოსამართლე შემდგომში ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულ საქმეზე: მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.

2021 წლის სექტემბრიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე.[374]

---

[369] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ირაკლი-შენგელია1.html [14.11.2024].
[370] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მაია-შოშიაშვილი.html [14.11.2024].
[371] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ლელა-ცანავა.html [14.11.2024].
[372] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/მარიამ-ცისკაძე.html [14.11.2024].
[373] იხ. http://hcoj.gov.ge/ka/ნანა-ჭიჭილეიშვილი.html [14.11.2024].
[374] იხ.http://hcoj.gov.ge/ka/ნატო-ხუჯაძე1.html [14.11.2024].

4. ძირითადი მიგნებები

გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა

კვლევაში განხილული გადაწყვეტილებების მიხედვით, გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთება არის ზოგადი, თვითნებური და არ პასუხობს მხარეების არგუმენტებს; სასამართლოს მიერ არასათანადოდ ან საერთოდ არ არის გამოკვლეული მნიშვნელოვანი გარემოებები.[375] კვლავ გამოწვევაა სასამართლოს გადაწყვეტილებების არასათანადო დასაბუთება.[376] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოიცავს ეროვნული სასამართლოების ვალდებულებას, საკმარისად დაასაბუთონ საკუთარი გადაწყვეტილება. სასამართლო ვალდებულია, უპასუხოს მხარის მთავარ არგუმენტებს.[377] ასევე, განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა გამოიკვლიოს შუამდგომლობები, რომლებიც კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით დაცული უფლებების დარღვევას შეეხება.[378]

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა

კვლევაში განხილულ საქმეებში, ზოგ შემთხვევაში, დაირღვა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რაც გამოიხატა მხარისთვის არასათანადო განმარტების მიცემაში,[379] მხარის არგუმენტების გაუთვალისწინებლობასა და მტკიცებულებების გამოკვლევაზე უარში,[380] ბრალდების თვითნებურ გადაკვალიფიცირებაში.[381] მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა სასამართლოსთვის. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N17 ანგარიშის მიხედვით, რამდენიმე გახმაურებულ საქმეში გამოიკვეთა მოსამართლის მხრიდან ამ პრინციპის დარღვევა.[382] აღსანიშნავია, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი სამართლიანი პროცესის განუყოფელი ნაწილია. ეს გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის, მათ შორის, მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომლებიც მას, ოპონენტთან შედარებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში არ აყენებს.[383]

---

[375] მაგ. იხ. „მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, „როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, „კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ“.

[376] მაგალითად, საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N18 ანგარიშის მიხედვით, მაღალია გირაოსა და პატიმრობის დაუსაბუთებლად ან არასათანადო დასაბუთებით გამოყენების მაჩვენებელი. ანგარიშის მიხედვით, სასამართლომ 16 (25%) პირის მიმართ გამოიყენა პატიმრობა დაუსაბუთებლად ან/და არასათანადო დასაბუთებით (იხ. საია, სისხლის სამართლის პროცესის მონიტორინგის ანგარიში N18, 2024, 9,
https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/18_geo.pdf_01722590039.pdf [05.11.2024].

[377] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „დონაძე საქართველოს წინააღმდეგ“ *(DONADZE v. GEORGIA),* 74644/01, პარ. 35.

[378] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *WAGNER AND J.M.W.L. v. LUXEMBOURG,* 76240/01, პარ. 96.

[379] იხ. „ბართაია საქართველოს წინააღმდეგ“.

[380] იხ. „მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“.

[381] იხ. „გელენიძე საქართველოს წინააღმდეგ“.

[382] საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N17, 2024, 67, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%2017.pdf_01722587844.pdf [05.11.2024].

[383] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *JOKŠAS v. LITHUANIA*, 25330/07, პარ. 55.

გაჭიანურებული მართლმსაჯულება

კონვენციის მე-6 მუხლი განსაზღვრავს საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას. „გონივრული დრო“ კონკრეტული საქმის გარემოებების შესაბამისად, შემდეგი კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს: საქმის კომპლექსურობა; მომჩივნის და სახელმწიფოს ქცევა; რა არის დავის მოსალოდნელი შედეგი მომჩივნისთვის.[384] აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმეების ქრონიკული დაგროვება არ არის გადამეტებული დაყოვნების დასაბუთებული ახსნა, ამასთანავე, სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს სასამართლოს ორგანიზებაზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყოველი მოქალაქის უფლება, დაიცვან საკუთარი უფლებები გონივრულ ვადაში.[385] კვლევაში განხილულ საქმეებში, ევროპულმა სასამართლომ, ზოგიერთ შემთხვევაში, დარღვევა დაადგინა გაჭიანურებული მართლმსაჯულების გამო. ეს ეხება როგორც სისხლის სამართლის,[386] ისე სამოქალაქო[387] საქმეებს. გაჭიანურებული მართლმსაჯულება დღემდე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი ავლენს არაერთ გახმაურებულ საქმეს, რომელთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში წლობით მიმდინარეობს, ისე, რომ კონკრეტული შედეგი არ დამდგარა.[388] გაჭიანურებული სამართალწარმოების ხარისხი დაბალია, რთულდება მოწმეების მიყვანა, მათი მეხსიერება შეიძლება გაუარესებული იყოს და არ ახსოვდეთ საქმის გარემოებები ისე დეტალურად, როგორც გამოკითხვის დროს და ა.შ.[389] მართლმსაჯულების გაჭიანურების კონტექსტში მნიშვნელოვანი გამოწვევაა სასამართლოების გადატვირთულობა და საქმეების დაგროვება. ევროპული კომისიის შეფასებით, საქმეთა დიდი რაოდენობით გამოწვეული გაჭიანურება და საერთო სასამართლოების გადატვირთულობის არაეფექტიანი მენეჯმენტი უარყოფითად მოქმედებს მართლმსაჯულების ხარისხზე.[390]

---

[384] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *SÜRMELI v. GERMANY*, 75529/01, პარ. 128.

[385] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ *(CASE OF KHARITONASHVILI v. GEORGIA)*, 41957/04, პარ. 44.

[386] იხ. „კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ“.

[387] იხ. „ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

[388] ქართული მართლმსაჯულების გაჭიანურების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ბათუმის ციხის ყოფილი უფროსების საქმეა, რომელსაც ბათუმის საქალაქო სასამართლო 2014 წლიდან განიხილავს და 2019 წლის 1-ელ იანვარს უნდა დასრულებულიყო. ამ დროისთვის, უკვე მეათე წელია, საქმის განხილვა კვლავ არ დასრულება. ამ საქმეში ცალსახად იკვეთება სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. გარდა ამისა, ისევ არ დასრულებულა ისეთი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეები, როგორებიცაა: ე.წ. 7 ნოემბრის საქმე, ე.წ. პიჯაკების საქმე, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმე, ბუტა რობაქიძის საქმე (ზურაბ ადეიშვილისა და ირაკლი ოქრუაშვილის ბრალდების ნაწილი), კარტოგრაფების საქმე, ისნის საოლქოს საქმე, ნიკა მელიას ბრალდების საქმე. იხ. საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N18, 2024, 54, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/18_geo.pdf_01722590039.pdf [05.11.2024]; ასევე, საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N17, 2024, 51-53, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%2017.pdf_01722587844.pdf [05.11.2024].

[389] საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N17, 2024, 52, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%2017.pdf_01722587844.pdf [05.11.2024].

[390] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2024 Report, SWD(2024) 697 final, Brussels, 30.10.2024, 35, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf [04.11.2024].

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა

კვლევაში განხილულ საქმეებთან მიმართებით, ზოგ შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რაც ხელისუფლების წარმომადგენლებისა[391] და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის[392] განცხადებებით იყო განპირობებული. უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს წინასწარგანწყობა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე.[393] მტკიცების ტვირთი ეკისრება პროკურატურას, ხოლო ყველა ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.[394] უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა კვლავ გამოწვევად რჩება როგორც სასამართლოს, ისე ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების ქმედებების გამო, რაც, მათ შორის, იდენტიფიცირებულია საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N17 და N18 ანგარიშებში.[395]

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება სათანადო დასაბუთების გარეშე

გადაწყვეტილების დასაბუთების და მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წინა მიგნებებში განხილული სტანდარტების საწინააღმდეგოდ, როგორც კვლევაში გაანალიზებული საქმეებიდან იკვეთება, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში განსაკუთრებით პრობლემურია სასამართლოების მიდგომა, როდესაც არ ფასდება სადავო ქცევა და მისი კონტექსტი,[396] ასევე, დაკისრებული პასუხისმგებლობის პროპორციულობა,[397] ან მომეტებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიციელთა ჩვენებებს, რაც, ფაქტობრივად, იწვევს მტკიცების ტვირთის გადატანას პირის საწინააღმდეგოდ.[398]

არსებული მდგომარეობით, მწვავე პრობლემაა ის, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს სახელმწიფო აქტიურად იყენებს პროტესტის ჩასახშობად. გამოწვევაა სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული დადგენილებების დასაბუთების ხარისხიც.[399] როგორც წესი, დადგენილებებში არ არის მოცემული ექსპლიციტური განმარტება მთავარ კითხვაზე, რა ქმედებით ჩაიდინეს პირებმა სამართალდარღვევა.[400] შესაბამისად, სასამართლოს დასაბუთება მოკლებულია საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე არგუმე-

---

[391] იხ. „მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ“, „მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

[392] იხ. „მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

[393] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *JANOSEVIC v. SWEDEN*, 34619/97, პარ. 97.

[394] იქვე.

[395] საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N18, 2024, 15, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/18_geo.pdf_01722590039.pdf [05.11.2024], საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N17, 2024, 67-68, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%2017.pdf_01722587844.pdf [05.11.2024].

[396] იხ. „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“.

[397] იხ. „ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

[398] იხ. „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“.

[399] საია, საქართველო 2023 წელს, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასება, 2024, 23, https://gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%202023%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1.pdf [11.05.2024].

[400] იქვე.

ნტებზე მსჯელობას, რაც შეუთავსებელია როგორც ადგილობრივ კანონმდებლობასთან, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტთან.[401]

ადვოკატით სარგებლობის უფლების დარღვევა

ადვოკატით სარგებლობის უფლება სამართლიანი პროცესის ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელია.[402] როგორც წესი, ბრალდებულს ადვოკატის მომსახურებაზე წვდომა უნდა ჰქონდეს პოლიციის მიერ მისი დაკავების მომენტიდანვე.[403] ამ კვლევაში განხილულ საქმეთა ნაწილში იდენტიფიცირებულია ფაქტები, როდესაც მომჩივანს არ მიეცა ადვოკატზე წვდომის შესაძლებლობა,[404] რითაც, ცალკეულ შემთხვევებში, დაირღვა სამართალწარმოებაში მისი ეფექტიანი მონაწილეობის უფლება,[405] ასევე, არ ჰქონდა საქმეში მის მიერ არჩეული ადვოკატის ჩართვის საშუალება,[406] ან სასამართლოს არ უმსჯელია, რა გავლენა მოახდინა დაკავების საწყის საათებში ადვოკატზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვამ პროცესის ზოგად სამართლიანობაზე.[407]

მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებული გამოწვევები

სასამართლოების გადატვირთულობის და საქმეთა განხილვის გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობაა. მნიშვნელოვანია, მოსამართლეთა რაოდენობა გაიზარდოს, თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაჭარბებული გავლენა იუსტიციის უმაღლეს სკოლასა და მოსამართლეთა კარიერის განმსაზღვრელ საკითხებზე აბრკოლებს სისტემაში ახალი კადრების შედინებას.[408] ამ თანამდებობაზე უნდა დაინიშნონ კვალიფიციური პირები, თუმცა გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც პირი იყო კვალიფიციური და, იუსტიციის საბჭოს მიმართ კრიტიკული პოზიციის გამო, მოსამართლედ არ დაინიშნა.[409] დღესდღეობით, საფუძვლიანი კითხვები არსებობს სასამართლო სისტემაში მაღალ თანამდებობაზე დანიშნული/არჩეული პირების კეთილსინდისიერებასთან მიმართებით, თუმცა შესაბამისი შემოწმების მექანიზმის დანერგვას პოლიტიკური ხელისუფლება და სასამართლოს წარმომადგენლები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან და საკითხს დახურულად აცხადებენ. ხოლო 10-მდე მოსამართლეს, რომლებმაც განსხვავებული მოსაზრება გამოხატეს, პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლები მადისკრედიტირებელი კამპანიით/განცხადებებით პასუხობენ.[410]

---

[401] იქვე.

[402] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე SALDUZ v. TURKEY, 36391/02, პარ. 51.

[403] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე DAYANAN v. TURKEY, 7377/03, პარ. 31.

[404] იხ. „მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

[405] იხ. „ბართაია საქართველოს წინააღმდეგ“.

[406] იხ. „კიკაბიძე საქართველოს წინააღმდეგ“.

[407] იხ. „რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

[408] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები, 2023, 9, https://gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/untitled%20folder/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90_GEO_1684843236.pdf [20.11.2024].

[409] იხ. „ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ“.

[410] სამოქალაქო საზოგადოების ფონდი; GRASS; GFSIS; საია; ISFED; სასამართლოს გუშაგი; სოციალური

ასევე, გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც პირმა მოსამართლედ დანიშვნის შესახებ უარი გაასაჩივრა საკვალიფიკაციო პალატაში, რომელმაც საჩივარი არ განიხილა. ამით მომჩივანს შეეზღუდა სასამართლოზე წვდომის უფლება.[411] მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამოსამართლო კონკურსის ფარგლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, ჯერ კიდევ არ არსებობს ნორმა, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებაზე/განკარგულებაზე საჩივრის განმხილველი ორგანოს - უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის - გადაწყვეტილების სავალდებულო ხასიათს.[412] მართალია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ითვალისწინებენ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებას,[413] თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, ვინაიდან ხსენებული ტერმინი არ გულისხმობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების პატივისცემასა და დაცვას, რაც სავალდებულოა.[414]

დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება მოსამართლეების წინააღმდეგ

წარმოდგენილ კვლევაში განხილულ საქმეებში, გარკვეულ შემთხვევებში, დაირღვა მოსამართლეთა უფლებაც სამართლიან პროცესზე, რაც გამოწვეული იყო მათ წინააღმდეგ მიკერძოებული დისციპლინური წარმოებით.[415]

2021 **წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით, საზოგადოების ჩართულობის და მოსამართლეებთან კონსულტაციების გარეშე, მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც, ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიების შემცირების პარალელურად, კიდევ უფრო გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძალაუფლება.**[416] **შესაბამისად, გაძლიერდა სისტემაში არსებული შიდა კორპორატივიზმი და არაფორმალური გავლენებიც.**[417] **ამ ცვლილებებმა განსაკუთრებით მწვავე კრიტიკა დაიმსახურა ვენეციის კომისიის მხრიდან. მოსამართლეთა ნაწილმა კი, ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა.**[418] **ეს ცვლილებები, მათ შორის, მოსამართლეთა მივლინების ახალი საკანონმდებლო მოწესრიგება მნიშვნელოვნად ზრდიდა**

სამართლიანობის ცენტრი; IDFI; GMC; DRI; GDI; საფარი; 9 ნაბიჯი ევროკავშირისკენ, შესრულების მდგომარეობა 2023 წლის 8 ნოემბრიდან 2024 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით, 52.

[411] იხ. „გლოველი საქართველოს წინააღმდეგ“.

[412] სამოქალაქო საზოგადოების ფონდი; GRASS; GFSIS; საია; ISFED; სასამართლოს გუშაგი; სოციალური სამართლიანობის ცენტრი; IDFI; GMC; DRI; GDI; საფარი; 9 ნაბიჯი ევროკავშირისკენ, შესრულების მდგომარეობა 2023 წლის 8 ნოემბრიდან 2024 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით, 41.

[413] საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 34^3 (12, 13).

[414] Follow-up opinion on previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, adopted by the Venice Commission at its 136th Plenary Session (Venice, 6-7 October 2023), 2023, 8, par. 34-36.

[415] იხ. „მერაბ ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, „სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“.

[416] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები, 2023, 7, https://gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/untitled%20folder/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90_GEO_1684843236.pdf [25.11.2024].

[417] იქვე.

[418] იქვე. ასევე, იხ. კონსტიტუციური სარჩელი N1693, **ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა წიკლაური და თამარ ხაჟომია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ**, 2022 **წლის** 11 **აპრილი**, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13488 [25.11.2024].

ინდივიდუალურ მოსამართლეებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გავლენას, რაც, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე.[419]

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლებიც შეეხება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ ვენეციის კომისიის მნიშვნელოვან რეკომენდაციას.[420] კომისიის განმარტებით, ცვლილებები ასევე მოიცავს რამდენიმე მცირე პოზიტიურ ელემენტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობასა და მისი შემადგენლობის პერიოდულ განახლებასთან დაკავშირებით, თუმცა ეს არ არის მართლმსაჯულების სისტემის ჰოლისტური და ეფექტიანი რეფორმა.[421] ამ ცვლილებების მიხედვით, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერა,[422] თუმცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის ბალანსი კვლავ არ არის დაცული.[423] შესაბამისად, ვენეციის კომისიის რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს მინიმუმ სამი არამოსამართლე წევრის მონაწილეობით მოსამართლეთა დისციპლინურ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას, გათვალისწინებული არ არის.[424] ამასთანავე, 2023 წელს, 2 წლის დაგვიანებით, პარლამენტმა არამოსამართლე წევრებად ისეთ კანდიდატებს დაუჭირა მხარი, რომ ამან, პლურალიზმის ნაცვლად, გავლენიანი ჯგუფის გაძლიერებას შეუწყო ხელი. არადა, დამოუკიდებელი, კრიტიკული აზრის მქონე კანდიდატების დანიშვნა საბჭოში, შესაძლოა, მისი გაჯანსაღების საფუძველი გამხდარიყო, რაც ასევე დადებითად აისახებოდა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე.[425]

---

[419] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები, 2023, 41, https://gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/untitled%20folder/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90_GEO_1684843236.pdf [25.11.2024].

[420] VENICE COMMISSION, GEORGIA FOLLOW-UP OPINION TO PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2023)033, 9 October 2023, https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)033-e [06.11.2024].

[421] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2024 Report, SWD(2024) 697 final, Brussels, 30.10.2024, 24, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf [04.11.2024].

[422] მანამდე, 2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ კვორუმი 2/3-იდან უბრალო უმრავლესობამდე შემცირდა. იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები, 2023, 44, https://gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/untitled%20folder/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90_GEO_1684843236.pdf [25.11.2024].

[423] სამოქალაქო საზოგადოების ფონდი; GRASS; GFSIS; საია; ISFED; სასამართლოს გუშაგი; სოციალური სამართლიანობის ცენტრი; IDFI; GMC; DRI; GDI; საფარი; 9 ნაბიჯი ევროკავშირისკენ, შესრულების მდგომარეობა 2023 წლის 8 ნოემბრიდან 2024 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით, 47.

[424] იქვე.

[425] საია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №12, 2024, 7,12.

მოსამართლის თანაშემწეთა მიუკერძოებლობის გარანტიები

დღესდღეობით, საქართველოში არ არსებობს მოსამართლის თანაშემწის ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი წესები და პრაქტიკა. კვლევაში განხილულ ერთ-ერთ საქმეზე, ამ პრობლემის გამო, დადგინდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა.[426] აუცილებელია, სასამართლოს თანაშემწეებთან დაკავშირებით მოქმედებდეს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ რეგულაციები.[427] მეტიც, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა იმსჯელონ ისეთი წესების შემოღებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს მოსამართლის თანაშემწეების მიმართ იმავე კრიტერიუმების გავრცელებას, რომლებიც მოსამართლის აცილების შემთხვევაში გამოიყენება.[428]

მოსამართლეთა მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა

კვლევაში განხილულ საქმეთა ნაწილში იკვეთება სასამართლოს მიერ მიუკერძოებლობისა და ადამიანის უფლებათა მნიშვნელობანი დარღვევები, რაც, სავარაუდოდ, საქმის პოლიტიკურ ბუნებასთან არის დაკავშირებული.[429] სასამართლოს მიუკერძოებლობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ევროპული კომისიის შეფასებით, მართლმსაჯულების მიუკერძოებლობა პრობლემატურია და ყოვლისმომცველ რეფორმას საჭიროებს.[430] აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, მოსამართლეები მოწყვლადები არიან პოლიტიკური წნეხის მიმართ, რომელიც როგორც სასამართლო სისტემის შიგნიდან, ასევე გარედან მომდინარეობს.[431] აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მოქმედ და ყოფილი მოსამართლეებს - მიხეილ ჩინჩალაძის, ლევან მურუსიძის, ვალერიან ცერცვაძისა და ირაკლი შენგელიას, მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობის გამო, ქვეყანაში შესვლაზე პერსონალური შეზღუდვები დაეკისრათ, რაც სასამართლო სისტემაში შექმნილ მძიმე ვითარებას ადასტურებს.[432]

კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირდნენ ის მოსამართლეები, რომელთა გადაწყვეტილებები უკავშირდება გახმაურებულ საქმეებზე ადამიანის უფლებების არსებით დარღვევებს და რომლებიც დღეს სასამართლო სისტემაში მაღალ თანამდებობებს იკავებენ. მათ შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მესამე თავში.

---

[426] იხ. „წულუკიძე და რუსულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.
[427] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა no 22,2019.
[428] იქვე.
[429] მაგ. იხ. „მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, „კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“.
[430] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2024 Report, SWD(2024) 697 final, Brussels, 30.10.2024, 33, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf [04.11.2024].
[431] US Department of State, 2023 Country Reports on Human Rights Practices: Georgia, 13 https://www.state.gov/wp-content/uploads/2024/03/528267-GEORGIA-2023-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf [05.11.2024].
[432] Public Designations of Mikheil Chinchaladze, Levan Murusidze, Irakli Shengelia, and Valerian Tsertsvadze, Due to Involvement in Significant Corruption, Press Statement, U.S. Department of State, 5 April 2023, available at: https://www.state.gov/public-designations-of-mikheil-chinchaladze-levan-murusidze-irakli-shengelia-and-valerian-tsertsvadze-due-to-involvement-in-significant-corruption/, accessed: 2.10.24.